ახალი უნივერსიტეტი

85

31 მაისი, ხუთშაბათი, 2012 წ. №7

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

„საქართველოს ისტორია“, რომელიც გამოცემისთანავე გაიყიდა

გვ. 16

„კორპუსული რევოლუციის“ აუცილებლობა ლექსიკოგრაფიაში

გვ. 10

უნივერსიტეტის კეთილდღეობისთვის ზრუნვაზე აღებული პასუხისმგებლობა ყველას აერთიანებს

გვესაუბრება თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი

— როგორ შეაფასებთ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების მიმდინარეობის პროცესს — ცალკე წინასაარჩევნო კამპანიას და შემდეგ შედეგებს?

— სტუდენტებთან შეხვედრების დროს ჩვენ მათ დავპირდით, რომ არჩევნები ცივილიზებულად წარიმართებოდა და რომ ეს არ იქნებოდა რაღაც გაუკულმართებული პროცესი. სტუდენტებს ავუხსენით, რომ ჩვენ რამდენადაც ვერ ვერევით თვითმმართველობის საქმიანობაში, აქედან გამომდინარე, ერთადერთი, რაც ადმინისტრაციას შეეძლო გაეკეთებინა — ეს იყო ყოველგვარი პრობლემის გარეშე მაქსიმალურად სუფთა არჩევნების ჩატარებისთვის შესაბამისი ხელშეწყობა. ამისთვის ყველა უბანზე დამონტაჟებული იყო კამერები, რომლებიც პირდაპირ რეჟიმში მუშაობდა და, ასევე, გაკეთდა არჩევნების მთელი პროცესის ჩანაწერიც, ანუ მთელი 9 საათიანი პროცესია ჩაწერილი. შესაბამისი სამსახური აწარმოებდა როგორც საარჩევნო უბნების, ასევე, უნივერსიტეტის კორპუსების მიმდებარე ტერიტორიების მონიტორინგს, რათა არ მომხდარიყო რაიმე გაუგებრობა. ეს იყო გარანტი იმისა, რომ ხმის მიცემის პროცესს ხელი არ შეშლოდა. არჩევნების დღეს მოწვეული იყო ბევრი დამკვირვებელიც.

მე-3 გვერდზე

ეკონომისტის ალღო — მორგებული დასავლურ ფორმულაზე

იური ანანიაშვილი:

მეშვიდე კლასი რომ დავამთავრე, მამამ პირველად ჩამომიყვანა თბილისში და უნივერსიტეტი დამათვალიერებინა. მაშინ დავინახე, რაოდენ დიდი სიყვარული და მოწიწება გააჩნდა მას ამ კედლებისადმი და გადავწყვიტე, რომ აქ მესწავლა. შემდეგ ისე მოხდა, რომ მთელი ჩემი ცხოვრება უნივერსიტეტს დაუკავშირდა.

გვ. 14

რა გადაწყვეტს სასწავლო ლიტერატურის ნაკლებობის პრობლემას? გვ. 2

თვითმმართველობის პირველ კრებაზე გვ. 3

შეხვედრა პრეზიდენტთან და ვიცე-პრეზიდენტებთან

გვ. 6-7, 16

„სტუდენტი გახდა ქულებსა და კრედიტებზე მონადირე!“ გვ. 4

საჭიროა თუ არა სამოქალაქო ღირებულებების „პოპულარიზაცია“? გვ. 6

სიახლე გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში გვ. 13

ქრონიკა

გვ. 8-9

ოპტიმალური კომპრომისები ემერიტუსის წოდების მისანიჭებლად

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ 28 მაისს ასოცირებული და სრული პროფესორებისთვის ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ დებულებაზე იმსჯელა. როგორც აკადემიური საბჭოს წევრები აცხადებენ, გამოინახა კომპრომისული და ოპტიმალური ვარიანტი, რომლის მიხედვითაც გარდამავალ ეტაპზე ემერიტუსის წოდება შესაძლებელია მიენიჭოს როგორც სრულ, ასევე, ასოცირებულ პროფესორებს, რომელთაც აქვთ უნივერსიტეტში მუშაობის 30 წლიანი და სრულ (ასოცირებულ) პროფესორად მუშაობის 6 წლიანი სტაჟი. გარდამავალი პერიოდის შემდეგ ეს დებულება გავრცელდება მხოლოდ სრულ პროფესორებზე.

ალექსანდრე შენგელაია,
აკადემიური საბჭოს წევრი:

— აქამდე უნივერსიტეტში არ არსებობდა დებულება ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ. დღეს აკადემიურმა საბჭომ იმსჯელა იმ კრიტერიუმებზე, რის მიხედვითაც დამსახურებულ პროფესორებს ემერიტუსის წოდება მიენიჭებათ. ეს დებულება შეეხება გარდამავალ პერიოდს.

ჩვენ გავითვალისწინეთ, რომ უნივერსიტეტში არიან გამონაკლისები, რომლებმაც 30-40 წელი იმუშავეს და ამჟამადაც ასოცირებული პროფესორები არიან. ახალი დებულებით გარდამავალ პერიოდში კონკურსის წესით არჩეულ პროფესორებს და ასოცირებულ პროფესორებს, ვინც დადგენილ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, შეუძლიათ მიიღონ ემერიტუს-პროფესორის წოდება. მომავალში ამ წოდებით მხოლოდ სრული პროფესორები ისარგებლებენ.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ადამიანები უნივერსიტეტიდან წავლენ. მათ ეძლევათ საშუალება შეინარჩუნონ ლაბორატორიები, გააგრძელონ

სამეცნიერო მუშაობა, წაიკითხონ ლექციები და თავი იგრძნონ უნივერსიტეტის სრულფასოვან წევრებად.

ამ დებულებით ჩვენ გვინდა, ერთი მხრივ, დამსახურებული ადამიანები დაფასებულები იყვნენ უნივერსიტეტში და მეორე მხრივ, უნივერსიტეტს არ შეექმნ ას დიდი ფინანსური ტვირთი, რომელსაც სასწავლებელი უბრალოდ ვერ დაფარავს. ამიტომ მივიღეთ კომპრომისული — ოპტიმალური გადაწყვეტილება.

ქეთევან მარშავა,
აკადემიური საბჭოს წევრი:

— უნივერსიტეტის ახალ სტატუსზე გადასვლას მოჰყვა ის, რომ ახლა მაქსიმალურად გათვალისწინებულია პროფესორების დამსახურება, მათი მუშაობის სტაჟი და ღვაწლი იმ დარგში, რომელშიც იგი მოღვაწეობს. დღეს მიღებული გადაწყვეტილებით, გარდა იმისა, რომ პროფესორს ენიჭება ემერიტუსის წოდება, მას ეძლევა ლექციების კითხვის საშუალება სურვილის შემთხვევაში, ასევე თვითრეალიზების შანსი სხვა სფეროსა თუ სხვა მიმართულებებში. ეს ის გადაწყვეტილებაა, რომელსაც ყველა ჩვენგანი ელოდა.

არჩევნები 2012

18 მაისს გამართულ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში, ცესკოს შემაჯამებელი ოქმის მონაცემებით, „ერთიანმა სტუდენტურმა მოძრაობამ“ ხმათა უმრავლესობით ყველა ფაკულტეტის ყველა კურსზე გაიმარჯვა, გამონაკლისია მხოლოდ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსზე გასული 4 დამოუკიდებელი კანდიდატი — ლევან ლორთქიფანიძე, ოთარ კობახიძე, ასლან ართმელაძე და ლევან სალამაძე, რომლებიც თავიანთ კურსზე ასევე ხმათა უმრავლესობით მოხვდნენ სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოში. ასე რომ, 120 დელეგატიდან 116 „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ წევრია, ხოლო 4 მეორეკურსელი „ნარინჯისფერ კანდიდატთა“ ჯგუფს წარმოადგენს.

მე-4 გვერდზე

რა გადაწყვეტს სასწავლო ლიტერატურის ნაკლებობის პრობლემას?

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დროს დამოუკიდებელ კანდიდატებთან საუბარში რამდენიმე პრობლემა გამოიკვეთა. ჩვენი გაზეთის 17 მაისის ნომერში, დღეს უკვე თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრის, ლევან ლორთქიფანიძის ინტერვიუში ნათქვამია: „არ გამოდის ისეთი ჟურნალი, სადაც სტუდენტები თავიანთ სამეცნიერო ნაშრომებს დაბეჭდავენ... აქტუალური თანამედროვე ლიტერატურა ნაკლებად არის ბიბლიოთეკაში. იქ არის ძველი, ძალიან საინტერესო წიგნები, მაგრამ იმ „ძველი წიგნების“ შესწავლასაც უნდა ბიძგის მიცემა...“ ეს ფრაზა სხვა სტუდენტთა მოსაზრებასაც გამოხატავს, ამიტომაც დავინტერესდით, რა წიგნადი ფონდია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და რამდენად პასუხობს იგი სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის მოთხოვნებს? ამ საკითხებზე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი *გვესაუბრა:*

მაია ტორაძე

— რამდენად არის თსუ-ის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი განახლებული და რა სირთულეებია ახალი ლიტერატურის შეძენის თვალსაზრისით?

— ჩვენი ბიბლიოთეკა საქართველოში ერთერთი უმდიდრესი ბიბლიოთეკაა, რადგან აქ დაცულია უნიკალური წიგნები მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულებების გამო.

ერთი წლის განმავლობაში ჩვენ დავითვალეთ მილიონამდე წიგნი, რომელსაც გაუკეთდა შესაბამისი ბარ-კოდი. რაც შეეხება ელექტრონულ კატალოგს, ეს გაცილებით დიდ დროს მოითხოვს და ამ დრომდე მილიონამდე წიგნიდან კატალოგში მხოლოდ 35 000 წიგნის შეტანა მოვახერხეთ. დღეისათვის, თვალით რომ გადავხედავთ, საცავების დაახლოებით მესამედიც არ არის დათვლილი. ამიტომ, საბოლოოდ, მართლაც ვვარაუდობთ, რომ საცავში 4 მილიონამდე წიგნი უნდა იყოს.

რაც შეეხება წიგნების შინაარსს, ფონდის დიდი წილი მართლაც საბჭოთა პერიოდშია შეძენილი, რადგან უნივერსიტეტის წიგნსაცავი 1921 წლიდან საბჭოური საბიბლიოთეკო ქსელის ნაწილი გახლდათ. მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს ფონდების ხარისხს, რადგან საერთო ფონდში იმ საბიბლიოთეკო დოკუმენტების წილი, რომელსაც საბჭოურ-კომუნისტური იდეოლოგიური ელფერი აქვთ, არ არის დიდი. იმაში, რომ წიგნი საბჭოთა პერიოდში გამოიცა, მე ცუდს ვერაფერს ვხედავ. ამ პერიოდში ისეთი წიგნებიც გამოდიოდა, რომელიც მარადიულ ჭეშმარიტებას ამკვიდრებდა პროზის, პოეზიისა და სამეცნიერო მიღწევების თვალსაზრისით.

ვერ ვიტყვი, რომ ძველი წიგნებიდან ყველა გამოუსადეგარია. არსებობს ორგვარი ფონდი — აქტიური ლიტერატურის და პასიური ლიტერატურის. პასიური ლიტერატურა, როგორც წესი, ნებისმიერი საბიბლიოთეკო ფონდების დიდ ნაწილს შეადგენს.

მეორე მომენტია — რამდენად განვტვირთავთ საცავებს იმ წიგნებისაგან, რომლებიც ამ რაოდენობით არ უნდა ინახებოდეს. თუმცა ეს არ არის მხოლოდ ჩვენი პრობლემა, რადგან ის დღემდე ვერ გადაწყდა ვერც ერთ სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. ამ საკითხზე ზემდგომი ორგანოების მიერ არის მისაღები გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ვიმოქმედებთ.

საბჭოურ პერიოდში შეძენილ წიგნებთან ერთად, ბუნებრივია, ჩვენს სიამაყეს წარმოადგენს ბიბლიოთეკის შექმნის პირველ წლებში შემოსული წიგნები. სწორედ ეს წიგნებია ის სიმდიდრე, რომელითაც ჩვენ კი არა, ნებისმიერი

ზურაბ გაიპარაშვილი

ევროპული ბიბლიოთეკა იამაყებდა. საუბარია რარიტეტულ გამოცემებზე — ძველ ევროპულ და ძველ ქართულ გამოცემებზე, რომელიც ჩვენთან ინახება. ის ჩვენთან შემოდიოდა, ერთი მხრივ, მეცენატების დახმარებით, რომლებიც ბიბლიოთეკას წიგნებს და ზოგჯერ პირად ბიბლიოთეკებს ჩუქნიდნენ, მეორე მხრივ, ბიბლიოთეკა ივსებოდა გაუქმებული ორგანიზაციების ბიბლიოთეკების გადმოტანის შედეგად და ჩვენი პროფესორების ძალისხმევით.

მინდა სტუდენტებმა იცოდნენ, რომ უნივერსიტეტის დამფუძნებლები ყველანაირად გამორჩეულნი იყვნენ არა მხოლოდ თავიანთი ნიჭითა და განათლებით, ასევე მოქალაქეობრივი ღირსებითა და პასუხისმგებლობით. ისინი ხშირად საკუთარი ფულით ყიდულობდნენ წიგნებს საქართველოსა და ევროპაში და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოჰქონდათ. ჩვენს საცავებში დაცულ უნიკალურ წიგნებს შორის ინახება XV საუკუნის ევროპაში დაბეჭდილი წიგნები, იტალიაში გამოცემული პირველი ქართული წიგნები, ასევე ვახტანგისეული და არჩილისეული გამოცემები...

— სტუდენტთა მოთხოვნა, რომ ბიბლიოთეკა პერმანენტულად ივსებოდეს ახალი ლიტერატურით, საფუძველს მოკლებული არაა. რამდენად არის შესაძლებელი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ სისტემატურად შეიძინოს ახალი სასწავლო, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა?

— ეს ის საკითხია, რომელზეც ჩვენ გამუდმებით ვმუშაობთ. საქმე ისაა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წიგნების შეძენა განსაკუთრებით გაჭირდა, რადგანაც წიგნებით მომარაგების აწყობილი სისტემა მოიშალა.

დღეს საქართველოში მოქმედი გამომცემლობები ვალდებულნი არიან, რომ მხოლოდ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას მიაწოდონ წიგნები. ცნობისათვის გეტყვით, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყველგან არ მოშლილა სახელმწიფოს მზრუნველობა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების მიმართ. მაგალითად, ვარშავის ბიბლიოთეკა დღესაც განებივრებულია ამგვარი ყურადღებით და დღესაც უსასყიდლოდ, სახელმწიფოს მიერ დაკისრებული დავალების თანახმად მარაგდება გამომცემლობების მიერ.

ლიტერატურის შეძენა და შემოტანა დაკავშირებულია ფინანსებთან და ამავე დროს მექანიზმთან, რომელიც ჯერ დასახვეწია. ჩვენ არ ვიცით, ყოველ წუთს რა წიგნები გამოდის საქართველოსა და მსოფლიოს მასშტაბით. ამიტომ გამოიცა თსუ-ის რექტორის ბრძანება, რომლის მიხედვითაც იქმნება გარკვეული წრე, რომელიც პროფესორსა და ბიბლიოთეკას ერთმანეთთან მჭიდროდ დააკავშირებს. ამის შედეგად, ჩვენ შესაძლებლობა გვექნება, სილაბუსში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა იყოს ბიბლიოთეკაში შემოტანილი და დაცული. ამავე ბრძანებით, უნივერსიტეტში სასწავლო პროგრამა არ დამტკიცდება, თუ მასში მითითებული ლიტერატურა ბიბლიოთეკის საცავში არ იქნება. ვფიქრობ, სასწავლო ლიტერატურის ნაკლებობის პრობლემას ეს გადაწყვეტს.

— არის თუ არა დამატებით შემუშავებული პროგრამა, რომელიც ბიბლიოთეკის თანამედროვე ლიტერატურით უზრუნველყოფას დააჩქარებს?

— გარდა რექტორის ბრძანებით გათვალისწინებული ქმედებებისა, ჩვენ ასევე მოვახერხეთ ქართულ გამომცემლობებთან კონტაქტის დამყარება. უნივერსიტეტმა მათთან გააფორმა მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ, რომლის თანახმადაც ისინი თავიანთი გამოცემების გამორჩეულ ეგზემპლარებს გვჩუქნიან. ესენია გამომცემლობა „პეგასი“, „ინტელექტი“, „არტანუჯი“, საპატრიარქოს გამომცემლობა, „პალიტრა L“. სამწუხაროდ, სხვა გამომცემლობებთან, ჯერჯერობით, ასეთი კონტაქტი არ შედგა.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად აქტიურნი არიან სტუდენტები სასწავლო პერიოდში? ბევრი სარგებლობს ბიბლიოთეკით?

— თუ გადახედავთ უნივერსიტეტის სააბონენტო განყოფილებას, ის მართლა აქტიურად არის დატვირთული – სწორედ აქედან გააქვთ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს წიგნები სახლში. დღის განმავლობაში კი, თუნდაც პირველი კორპუსის სამკითხველოს, 350 მკითხველზე ნაკლები არ სტუმრობს. ეს სტატისტიკა გვეუბნება იმას, რომ ჩვენი სტუდენტები წიგნთან მეგობრობენ. მათი ხელშეწყობა კი ჩვენი პრიორიტეტიც არის.

გარდა წიგნებისა, თქვენ იცით, რომ ჩვენთან შესაძლებელია ელექტრონული ბაზებით სარგებლობაც. ჩვენი ბიბლიოთეკა ამის შესაძლებლობას იძლევა.

რაც მთავარია, ყველას, ვისაც რამე პრეტენზია უჩნდება ბიბლიოთეკის მისამართით, ვთხოვ, გვაცნობოს ამის შესახებ. მე დიდი სიამოვნებით და მადლიერებით მივიღებ ნებისმიერ რჩევას.

მინდა ყველას ვთხოვო: თუ სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა იციან, რომ გამოვიდა რომელიმე წიგნი, რომელიც აუცილებელია ჩვენი სტუდენტების განათლებისათვის და უნდა ინახებოდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, გვაცნობონ და შემოგვთავაზონ. ჩვენი სურვილია, ახალგაზრდებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ ბიბლიოთეკა, ნახონ, რა სიმდიდრეს ვინახავთ, ისარგებლონ ამ საუნჯით.

თსუ-ის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი გთავაზობთ სასერტიფიკატო კურსებს:

მენეჯმენტის გამოწვევები და ლიდერის როლი ორგანიზაციაში

- რა არის თანამედროვე მენეჯმენტი და რა როლი აქვს მას ორგანიზაციის და ქვეყნის განვითარებაში;
- რა არის ლიდერობა და რა როლი აქვს მას თანამდეროვე, მოქნილი, ეფექტიანი მენეჯმენტის განვითარებაში;
- რა როლი აქვს ლიდერობას პირად, პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმეში წარმატების მისაღწევად;

ინტენსიური ტრენინგ-კურსი
ხანგრძლივობა: 6 დღე (დღეში 3 საათი)
ღირებულება: 200 ლარი
თსუ-ის თანამშრომლებისათვის — 170 ლარი
თსუ-ის სტუდენტებისათვის – 150 ლარი

სასერტიფიკატო კურსი

ხანგრძლივობა: 6 კვირა (კვირაში ორი 3 საათიანი შეხვედრა)
ღირებულება: 400 ლარი
თსუ-ის თანამშრომლებისათვის — 370 ლარი
თსუ-ის სტუდენტებისათვის — 350 ლარი

კეთილდღეობის ფსიქოლოგია

კეთილდღეობა გაგებულია როგორც წარმატების მიღწევის, ბედნიერების გრძნობის მაღალი ინდექსისა და ფინანსური წინსვლა-დამოუკიდებლობის ერთიანობა. ტრენინგის მიზანია, მსმენელებს გამოუმუშავდეთ პირადი ცხოვრების, კარიერული და ფინანსური წინსვლისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

ხანგრძლივობა: 6 დღე (დღეში 6 საათი)
ღირებულება: 190 ლარი
თსუ-ის თანამშრომლებისათვის — 170 ლარი
თსუ-ის სტუდენტებისათვის — 150 ლარი

სამგანზომილებიანი (3D) კომპიუტერული გრაფიკა — მოდელირებისა და რენდერინგის საფუძვლები

მსმენელები გაეცნობიან სამგანზომილებიანი (3D) კომპიუტერული გრაფიკის თეორიულ საფუძვლებს, განუვითარდებათ სივრცული აზროვნება, გამოუმუშავდებათ სამგანზომილებიან პროგრამებთან მუშაობის მტკიცე პრაქტიკული უნარ-ჩვევები. შეისწავლება სამგანზომილებიანი მოდელირების სხვადასხვა მეთოდები. სამგანზომილებიან ობიექტებზე ტექსტურების დანიშვნა, ვირტუალურ განათებასთან მუშაობა და რენდერინგი, ასევე ანიმაციის ელემენტალური საფუძვლები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა განათების რთული ეფექტების შექმნას (Volumic light, Caustic, Global illumination, Final gathering).

ხანგრძლივობა: 16 დღე (დღეში 2 საათი)
ღირებულება: 300 ლარი.
თსუ-ის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის — 210 ლარი.

SPSS-სა და STATA-ში

1. კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის კურსი დამწყებთათვის;
2. კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის გაღრმავებული კურსი;
3. კომპიუტერული პროგრამის STATA-ს გამოყენებით მონაცემების დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის კურსი დამწყებთათვის;
4. კომპიუტერული პროგრამის STATA-ს გამოყენებით მონაცემების დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის გაღრმავებული კურსი.

თითოეული კურსის ხანგრძლივობა:
12 დღე (დღეში 2 საათი)
ღირებულება: 400 ლარი

დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ თსუ-ის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრს

მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 3, ოთახი № 103, ტელ.: 2 22 36 52,

ელფოსტა: tsuLLL@tsu.ge

ან იხილეთ ვებ გვერდი:
www.tsu.edu.ge/ge/departments/lll...

Facebook:
თსუ უწყვეტი განათლება — TSU LLL

უნივერსიტეტის კეთილდღეობისთვის ზრუნვაზე აღებული პასუხისმგებლობა ყველას აერთიანებს

გვესაუბრება თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება წინასაარჩევნო პროცესს, მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას — ვინც მონაწილეობდა არჩევნებში, როგორც საარჩევნო სუბიექტი და როგორც ამომრჩეველი, რამეთუ არჩევნები მათი ჩართულობის ფონზე კორექტულად და ცივილურად წარიმართა. თუმცა შიშიც არ გვქონდა, რომ რაღაც არასასიამოვნო შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ სასიხარულოა, რომ ყველამ

მე უკვე დავესწარი სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანოს პირველ სხდომას, რომელზეც მეტად კორექტული და ცივილური დისკუსიები წარიმართა და იმედი მაქვს, რომ ბოლომდე ასე გაგრძელდება. არ შეიძლება, ყველას ერთნაირი პოზიცია ჰქონდეს ყველაფერზე, ყველა სტუდენტი ვერ იქნება ერთ აზრზე, მაგრამ უნივერსიტეტის კეთილდღეობისა და განვითარებისთვის ზრუნვაზე აღებული პასუხისმგებლობა ყველა მათგანს აერთიანებს. სწორედ აქედან გამომდინარე, მჯერა, რომ სტუდენტებს შორის შეხების წერტილები მოიძებნება და შესაბამისადაც იმოქმედებენ.

ფის ნაწილი გახდა. კიდევ ძალიან ნასიამოვნები ვარ იმ მონაცემებით, რაც სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეულ სტუდენტებზე გავიგე — ყველანი არიან წარმატებულნი სწავლაში და ყველას აქვს სურვილი — უნივერსიტეტი უფრო გაძლიერდეს და ყველასთვის საამაყო გახდეს. მათი დახმარება აუცილებელიც კია ამ პროცესში, რადგან ვერც ადმინისტრაცია და ვერც პროფესურა უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლებაზე, სტუდენტთა ჩართულობის გარეშე, დამოუკიდებლად ვერ იზრუნებს.

თანაბრად, ამბიციების უკან მოტოვებით, უნივერსიტეტი და მისი სახელი დააყენა წინ — ეს ძალიან სასიამოვნო და მისასალმებელი ფაქტია.

არჩევნებში გაიმარჯვა ერთმა ორგანიზაციამ და 4-მა დამოუკიდებელმა კანდიდატმა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ოპონირების რეჟიმში ნორმალური წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვით შესაძლებელია მოხვდე თსუ-ის სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოში. ეს კარგია იმ თვალსაზრისით, რომ ნაკლებად იქნება საუბრები იმის თაობაზე, რომ ვიღაცა თვითმმართველობის წევრი არ არის და ამიტომ არ აიტერესებს რას აკეთებენ ამ ორგანოში, რომელსაც ზოგიერთი ბრმად აკრიტიკებს. ამიტომ კარგია, რომ 4 ადამიანი, რომელთაც შედარებით განსხვავებული პოზიციები აქვთ, ამ ჯგუ-

მე უკვე დავესწარი სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანოს პირველ სხდომას, რომელზეც მეტად კორექტული და ცივილური დისკუსიები წარიმართა და იმედი მაქვს, რომ ბოლომდე ასე გაგრძელდება. არ შეიძლება, ყველას ერთნაირი პოზიცია ჰქონდეს ყველაფერზე, ყველა სტუდენტი ვერ იქნება ერთ აზრზე, მაგრამ უნივერსიტეტის კეთილდღეობისა და განვითარებისთვის ზრუნვაზე აღებული პასუხისმგებლობა ყველა მათგანს აერთიანებს. სწორედ აქედან გამომდინარე, მჯერა, რომ სტუდენტებს შორის შეხების წერტილები მოიძებნება და შესაბამისადაც იმოქმედებენ.

აქტუალურ საკითხებზე რექტორთან ინტერვიუ გაზეთის მომავალ ნომერში დაიბეჭდება

თვითმმართველობის პირველ კრებაზე

23 მაისს მეოთხე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის პირველი საერთო კრება გაიმართა, რომელსაც 107 დელეგატი დაესწრო. სხდომა სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დიმიტრი გეგენავას მიჰყავდა. სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხების მიხედვით, სხდომის თავმჯდომარემ პირველ რიგში დააყენა მეოთხე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების ცნობის საკითხი. საერთო კრებამ 107-ივე დელეგატის თანხმობით ცნო ახალარჩეული სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება.

დელეგატებს სიტყვით მიმართა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, რომელმაც ყველა მათგანს მიულოცა არჩევა და უსურვა წარმატებები მათ მომავალ საქმიანობაში. რექტორმა იმედი გამოთქვა, რომ სტუდენტური თვითმმართველობა კიდევ უფრო აქტიური იქნება და დაიცავს სტუდენტთა ინტერესებს.

დღის წესრიგის თანახმად, არჩევნებში გამარჯვებულმა სტუდენტურმა ორგანიზაციამ — „ერთიანმა სტუდენტურმა მოძრაობამ" პრეზიდენტის თანამდებობაზე წამოაყენა ვასილ (დაჩი) გუბაძის კანდიდატურა, რომელსაც მხარი დაუჭირა 98-მა დელეგატმა. მხოლოდ 5 იყო წინააღმდეგი. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ვასილ (დაჩი) გუბაძე თვითმმართველობის პრეზიდენტად აირჩიეს.

სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატმა ბექა ბენდელიანმა წარმოადგინა სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტი და აღნიშნა, რომ აღნიშნული ცვლილებები გამოწვეულია უნივერსიტეტის სტატუსის შეცვლით. ფაკულტეტის საბჭოები გადავიდა ე.წ. ,,მცირე საბჭოს" მოდელზე, შესაბამისად, სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭომ საკუთარი შემადგენლობიდან უნდა აირჩიოს წევრები ფაკულტეტის საბჭოში, რისთვისაც საჭიროა დებულებით დადგენილი წესი.

სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტი ითვალისწინებდა:

1. შევიდეს ცვლილება თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ღ") ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს შესაბამისი საფაკულტეტო საბჭოს მიერ ამ დებულებით დადგენილი წესით არჩეულ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს";

2. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 43[1]-ე მუხლი:

„მუხლი 43[1]

- სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭო საკუთარი წევრებიდან სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს წევრებს სტუდენტური თვითმმართველობის ქვოტით.
- ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელების უფლება გააჩნია:

ა) საფაკულტეტო საბჭოს არანაკლებ 1/4-ს;

ბ) საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარეს;

გ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს.

3) ფაკულტეტის საბჭოში შემავალი საფაკულტეტო საბჭოს წევრების რაოდენობა განისაზღვრება თსუ-ის წესდებით დადგენილი წესით."

კენჭისყრის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების თანახმად დამტკიცდა სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში ცვლილებები და დამატებები.

არჩევნების შედეგები

დიმიტრი გეგენავა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 23 000-მდე სტუდენტია, თუმცა აქედან მხოლოდ 17 900 სტუდენტია აქტიური, რაც გულისხმობს იმას, რომ სწორედ ეს რაოდენობა არის რეგისტრირებული გაზაფხულის სემესტრში და ახორციელებს განათლების უფლებას. აქტიური სტუდენტებიდან არჩევნებში მონაწილეთა პროცენტული მაჩვენებელი, დაახლოებით, 40%-ს შეადგენს, ანუ საუბარია 7 307 სტუდენტზე. ეს აქტიურობა გაცილებით მაღალია წინა არჩევნებთან შედარებით.

სტუდენტი გახდა ქულებსა და კრედიტებზე მონადირე!

ინტერვიუ სტუდენტური თვითმმართველობის ცესკო-ს თავმჯდომარესთან დიმიტრი გეგენავასთან

საარჩევნო კომისიის მოწვევით არჩევნებს 3 საერთაშორისო ორგანიზაცია — „IFES", „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და „საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი" აკვირდებოდა.

ნინო კაკულია

— რამდენად კმაყოფილი ხართ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შედეგებით? ასახავს თუ არა მიღებული შედეგი სტუდენტების განწყობების რეალურ სურათს?

— კმაყოფილი ვარ არჩევნების და კენჭისყრის მიმდინარეობით, ვინაიდან არ დაფიქსირებულა არც ერთი დარღვევა, არც ერთი ფაქტი, რასაც შეეძლო შედეგებზე გავლენის მოხდენა. ეს არის ნამდვილად საამაყო, რომ არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა და არავითარი ექსცესი არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება სტუდენტთა განწყობას, ამაზე დეტალურად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ შემიძლია განვაცხადო, რომ ის დამოკიდებულება და პასუხისმგებლობის ნაკლები გრძნობა, ნიჰილიზმი, გულგრილობა ყველაფრის მიმართ, რაც, ზოგადად, სტუდენტებში შეიგრძნობა, საბოლოოდ მათსავე საზიანოდ მოქმედებს. ეს არ არის კარგი, არც მათი პროფესიონალური საქმიანობისთვის, და არც საზოგადოებრივი აქტივობის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ძალიან ბევრი, დაახლოებით, 7300 სტუდენტი მოვიდა არჩევნებზე — წინა არჩევნებთან შედარებით ეს გაცილებით უკეთესი მონაცემია.

— თქვენი აზრით, ის 4 დამოუკიდებელი კანდიდატი, რომელიც წარმომადგენლობით ორგანოში მოხვდა, მოახდენს გარკვეულ ზეგავლენას „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის" პოზიციებზე?

— რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მათ არჩევნებში გაიმარჯვეს, ნამდვილად მისასალმებელია, რადგან ამ ადამიანებმა იბრძოლეს, დაანახეს ხალხს, რომ ძალიან მარტივად, ყოველგვარი თანხებისა და რესურსების გამოყენების გარეშე შესაძლებელია წარმატების მიღწევა საკუთარი პოზიციების საზოგადოებისთვის გაცნობის გზით. მათ არ დაუქირავებიათ ცნობილი მომღერლები და არ ჩამოუყვანიათ უცხოეთიდან ჯგუფები და პატარა მასშტაბითაც კი არ გაუკეთებიათ ისეთი რამ, რაც ვინმეს რაიმე ეჭვის საფუძველს მაინც მისცემდა. ეს იყო სამაგალითო სტუდენტური აქტივობა იმ თვალსაზრისით, რომ სხვამაც გაიგოს — როგორ უნდა მოაგროვო მხარდამჭერები და მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, შემდეგ კი, როგორ უნდა იბრძოლო მიზნის მისაღწევად. ასე რომ, ახლაც მათ აქტივობაზეა დამოკიდებული თვითმმართველობის შიგნით პროცესებზე ზეგავლენის მოხდენა. გარდა ამისა, ნებისმიერ სტუდენტს, არ აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა იგი დელეგატი, თავისუფლად შეუძლია გავლენა იქონიოს „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის" მუშაობაზე, ჩაერთოს კიდეც პროცესებში და განახორციელოს ყველა ის პროექტი, რაც სურს. მთავარია აქტიურობა!

— თქვენი აზრით, რაზე მიუთითებს ალტერნატიულ კანდიდატთა სიმწირე არჩევნების დროს?

— ეს მიანიშნებს იმაზე, რომ სტუდენტების მხრიდან, მეტ-ნაკლებად, შეცვლილია დამოკიდებულება. სტუდენტი გახდა ქულებსა და კრედიტებზე მონადირე! მათი მთავარი მიზანია — დააგროვოს კრედიტი და რაც შეიძლება მალე დაამთავროს უნივერსიტეტი, ანუ გარდა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო საქმიანობისა, უმეტესობას არ აინტერესებს ის არეალი, რასაც უნივერსიტეტი მათ სთავაზობს. ვისურვებდი, რომ გასჩენოდეთ სხვა საზრუნავიც, რაც დაკავშირებული იქნება მათ სტუდენტურ აქტივობასთან.

— თქვენი აზრით, რამდენად ჰქონდა ამ არჩევნებში ბრძოლას აზრი იმ თვალსაზრისით, რომ ყველას გავლენიან კონკურენტად „ერთიანი სტუდენტური მოძრაობა" მოიაზრებოდა?

— რომ დამდგარიყო 2-3 კაცი ერთად კურსზე ან ფაკულტეტზე და რაციონალურად, მიზანმიმართულად, ეტაპობრივად მოეგროვებინათ ხმები, ეწარმოებინათ აგიტაცია, შეხვედროდნენ თავიანთ ამომრჩევლებს, ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ შედეგს ვერ მიაღწევდნენ.

სრულიად არ სჭირდება რაიმე დიდი კამპანია იმას, რომ შეხვდე შენს კურსელებს და დაელაპარაკო იმ პრობლემებზე, რაც მათ აწუხებთ. ამას სჭირდება ლექციებს შორის შესვენების დროს შეხვედრები, საუბრები... და რაც მთავარია, თავად უნდა იყო პოპულარული და აქტიური კურსზე, ანუ გქონდეს კარგი აკადემიური მოსწრება ან სპორტული მიღწევები და სხვა. სრულიად უცნობი ადამიანი სტუდენტების სიმპათიას ვერ მოიპოვებს. დიდი ბოდიში, მაგრამ კანდიდატების ნაწილმა, ვინც დარეგისტრირებას ცდილობდა და ვისაც ხარვეზები დაუდგინდა, გადაავლოს თვალი საკუთარ მოღვაწეობას. ბევრი მათგანის სახელი კურსზეც არ არის ცნობილი. შესაბამისად, როდესაც კურსელი პირველად გხედავს არჩევნების დღეს ან რეგისტრაციის დროს, რა თქმა უნდა, გამარჯვების პრობლემა გექნება. ეს თემაც მენტალობასთან არის დაკავშირებული.

— „ერთიან სტუდენტურ მოძრაობას" არაპოპულარული კანდიდატები არ ჰყოლია?

— არ ვიცი. ,,ერთიანი სტუდენტური მოძრაობიდან" ვიცნობ სულ რამდენიმეს, ვინც მეკონტაქტებოდა, ისევე როგორც, დამოუკიდებელი კანდიდატებიდან ვიცნობ ნაწილს. ,,ერთიანი სტუდენტური მოძრაობის" წევრები პირველად ვნახე საერთო კრების დღეს.

დიმიტრი გეგენავა: შეიძლება საარჩევნო დებულება უნაკლო არ არის. ეს გახლავთ იმ სტუდენტური თვითმმართველობის მიერ მიღებული საარჩევნო დებულება, რომელშიც სტუდენტები შედიან და ეს მათი პოზიციაა — როგორი უნდა იყოს საარჩევნო გარემო, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით გვაქვს გარკვეული მოსაზრებები, რასაც საბოლოო მოხსენებაში, ანუ დასკვნის სახით, ცესკო წარადგენს. ჩვენ დავაფიქსირებთ იმ რეკომენდაციებს, რაც დაგვანახა ამ არჩევნების მიმდინარეობამ.

***მოამზადა* ნინო კაკულიამ**

ცნობისთვის:

იურიდიული ფაკულტეტზე არჩევნებზე გამოცხადებული სტუდენტების საერთო რაოდენობაა **1654**

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არჩევნებზე გამოცხადებულ სტუდენტთა საერთო რაოდენობაა **1541**

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არჩევნებზე გამოცხადებულ სტუდენტთა რაოდენობაა **1299**

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე არჩევნებზე გამოცხადებულ სტუდენტთა საერთო რაოდენობაა **1192**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არჩევნებზე გამოცხადებულ სტუდენტთა საერთო რაოდენობაა **1027**

მედიცინის ფაკულტეტზე არჩევნებზე გამოცხადებულ სტუდენტთა საერთო რაოდენობაა **302**

ალტერნატიული ხედვა და ინიციატივა

სტუდენტურ თვითმმართველობაში წარმოდგენილი 4 დელეგატი ,,ნარინჯისფერთა ჯგუფიდან" პირველივე კრების დასრულებისთანავე ახალი ინიციატივებით გამოდის.

ლევან ლორთქიფანიძე:

„როგორც პრეზიდენტი დაჩი გუბაძე აცხადებს, თვითმმართველობის ბიუჯეტის რაღაც ნაწილს წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები არ განკარგავენ და აღნიშნული თანხა საგრანტო კონკურსების სახით გამოიყოფა სტუდენტებისათვის. ჩვენ, „ნარინჯისფერი" დელეგატები, როგორც უწყების ადმინისტრაციული და ფინანსური დეცენტრალიზაციის მომხრენი, მათ ვთავაზობთ, რომ სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტის 40-50 % გამოიყოს სტუდენტური გრანტებისათვის. ეს ნაბიჯი თანაბარ შესაძლებლობას ქმნის უამრავი სტუდენტისთვის და თავიდან აგვაცილებს გასულ წლებში გამოვლენილ ფინანსების განკარგვის უარყოფით ტენდენციებს".

„ნარინჯისფერი" დელეგატები ახმოვანებენ ინიციატივას — საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა და ევროპისა თუ ამერიკის ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის მსგავსად, თსუ-ის ყველა ფაკულტეტზე, წესდებისა და ეთიკური ნორმების დარღვევაზე რეაგირების მიზნით, ჩამოყალიბდეს დისციპლინარული კომიტეტები ან რაიმე სხვა მსგავსი ფუნქციის სტრუქტურები (თუნდაც ეთიკის კომისია), რომლის შემადგენლობის გარკვეულ ნაწილს სტუდენტებიც დააკომპლექტებენ.

ამ ინიციატივებზე „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის" წევრთა პოზიციები ჩვენთვის, ამ ეტაპზე, უცნობია. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ უნივერსიტეტს უკვე კარგა ხანია აქვს „ეთიკის კოდექსი" და შემუშავებული „უნივერსიტეტის შინაგანაწესი" და „დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები".

ლევან ლორთქიფანიძე

ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲪ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲐᲪ ᲗᲐᲜᲐᲑᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲔᲗ!

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრება ბოლო წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა. უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტური თვითმმართველობის ინსტიტუტის დაფუძნების შემდეგ საგანმანათლებლო, სპორტული, კულტურული სახის პროექტების რიცხვმა მოიმატა. სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნების მიზნით ღონისძიებების ნაწილი უკვე საერთაშორისო მასშტაბითაც ტარდება. თუმცა თსუ-ის თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ სტუდენტებში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაც არსებობს. ახალგაზრდების ერთ ნაწილს სპორტული, კულტურული და გასართობი ღონისძიებების ჩატარების სიხშირეს არ მოსწონს. ზოგიერთი სტუდენტი თვლის, რომ თსუ-ში უფრო ნაკლები რაოდენობის, მასშტაბისა და ხარისხის საგანმანათლებლო პროექტები ხორციელდება, რაც, თითქოსდა, სტუდენტების მოთხოვნებს არ პასუხობს. მათი აზრით, სტუდენტური თვითმმართველობის მიერ, მაგალითად, ექსკურსიებისათვის გამოყოფილი თანხები გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებსა და სამეცნიერო კონფერენციების უკეთ ორგანიზებას უნდა მოხმარდეს.

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

„პირველი სემესტრის განმავლობაში არ დამიტოვებია არც ერთი ღონისძიება — ვესწრებოდი კინოკლუბებს, კულტურულ შეხვედრებს და ა.შ. დავასკვენი, რომ ჩვენს ფაკულტეტზე არის დიდი პოტენციალი და რესურსი. გვყავს ნიჭიერი სტუდენტები სხვადასხვა სფეროში და ვფიქრობ, რომ მათთვის არ არის დამაკმაყოფილებელი ისეთი ღონისძიებების გამართვა, რომლებშიც მათი მონაწილეობა მხოლოდ მაყურებლის როლით და ტაშის დაკვრით შემოიფარგლება. ვფიქრობ, უკეთესია ისეთი პროექტები განვახორციელოთ, რომლებიც სტუდენტს მისცემს კარგ რესურსს და თვითრეალიზაციის საშუალებას. ეს პროექტები გათვლილი უნდა იყოს მათი ცოდნისა და ნიჭის გაფართოების ხელშეწყობაზე.

როდესაც ატარებ ღონისძიებას და ხარჯავ თანხას, უნდა დაუკვირდე, ეს ღონისძიება ერთჯერადია თუ მომავალზეც არის გათვლილი. ვფიქრობ, რომ პრიორიტეტებია განსასაზღვრი. უნდა გამოიკვეთოს, რას უნდა აკეთებდეს თვითმმართველობა და რა არის მისი ძირითადი დანიშნულება — ფასადური ღონისძიებები თუ პრობლემების ძირეული მოგვარება. ისიც ვიცით, რომ ძირეული პრობლემების მოგვარებისთვის მარტო ჩვენ არ ვართ საკმარისი, რადგან შესაბამისი ბერკეტები არ გვაქვს. ბერკეტად შეიძლება იქცეს სტუდენტური მხარდაჭერა. გვინდა, სტუდენტებმა გააცნობიერონ, რომ განზე გადგომა პრობლემებს არ აგვარებს. თითოეულმა უნდა იცოდეს, რომ უფლება აქვს, თავად შეიქმნას სტუდენტური ცხოვრება, თავად იყოს აქტიური და, თუ რამე არ მოსწონს, პირველ რიგში საკუთარ თავს მოსთხოვოს, რომ ამის შესაცვლელად ნაბიჯები გადადგას“, — გვითხრა საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების პირველკურსელმა **მარიამ შარიამ**.

„მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის ტრიბუნას ფასი უნდა ჰქონდეს და გართობის მიზნით არ უნდა მოვიწვიოთ ისეთი ადამიანები, რომლებიც ნაკლებად საინტერესონი არიან სტუდენტთა დიდი ნაწილისთვის. მაგალითად, ფსიქოლოგიური მიმართულებების სტუდენტებს უნდა ეძლეოდეთ საშუალება — რომელიმე ცნობილი ფსიქოლოგის საჯარო ლექციას დაესწრონ; საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტები უნდა შეხვდნენ ცნობილ დიპლომატს და ა.შ. არ მიმაჩნია, რომ რომელიმე პოეტის ლექსების წაკითხვა რაღაც განსაკუთრებული ღონისძიებაა. პრობლემა არის ისიც, რომ დღესდღეობით დიდი თანხები იხარჯება გართობაზე და არა აკადემიურ ღონისძიებებზე. ხშირ შემთხვევაში, კონფერენციების დიდი ნაწილი არის უბრალოდ კონფერენცია კონფერენციისთვის. კონფერენციის გამართვა დიდ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული. თანხების დიდი ნაწილი უნდა მოხმარდეს განათლებას, გაცვლით პროგრამებში გამარჯვებული სტუდენტების დაფინანსებას და მათ მივლინებებს. ჩვენ ვთვლით, რომ ერთი ექსკურსიის საფასურად რამდენიმე კონფერენციის ჩატარება შეიძლება“, — აცხადებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი **ოთარ კობახიძე**.

სწავლით გადაღლილი სტუდენტები გართობას უფრო ცდილობენ...

როგორ მუშაობს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა? რა არის მისი საქმიანობის პრიორიტეტი? როგორ განსაზღვრავს — რომელი ღონისძიებები უნდა გაიმართოს და რა სიხშირით? როგორ წყვეტს საზოგადოების რომელი წარმომადგენელი მოიწვიოს? რომელი სფერო აინტერესებთ უფრო მეტად სტუდენტებს? — ეს კითხვები თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის თავმჯდომარის მოადგილეს დავით ჩქოტუას დავუსვით. როგორც გაირკვა, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა ფინანსურ თუ მატერიალურ რესურსებს ყველა მიმართულებით თანაბრად ანაწილებს, თუმცა საგანმანათლებლო პროექტები უფრო პრიორიტეტულია. მიუხედავად ამისა, მისი ინფორმაციით, სტუდენტების უმრავლესობას კულტურული, გასართობი და ინტელექტუალური თამაშები უფრო მეტად იზიდავთ. ამდენად, სტუდენტური თვითმმართველობაც თავისი საქმიანობის განხორციელებისას ახალგაზრდების მოთხოვნებს ითვალისწინებს.

„ყველაზე ხშირად პროექტებს სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი ახორციელებს. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, სტუდენტები ამის შესახებ არ არიან ინფორმირებულნი და ამ ვაკუუმის გამო ფიგურირებს უფრო, რომ ექსკურსიები და სხვა მსგავსი სახის ღონისძიებები ტარდება. მიმაჩნია, რომ ამის მიზეზია მხოლოდ ის, რომ სტუდენტების ძირითადი მასის ინტერესი უფრო გართობაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, ამ სფეროსაც დიდ ყურადღებას ვუთმობთ. ტარდება მასშტაბური ჩემპიონატები სპორტის სახეობებში. წელს სტუდენტებმა მოითხოვეს ექსკურსიები და, შესაბამისად, რამდენიმე ექსკურსია მოეწყო ყველა ფაკულტეტსა და კურსზე. მოწვეული სტუმრების შესახებ მინდა აღვნიშნო, როდესაც გივი სიხარულიძე მოვიწვიეთ, ყველა აპროტესტებდა — რატომ მოიყვანესო, მაგრამ მასთან შეხვედრაზე დარბაზი სავსე იყო. ხოლო, როდესაც სტუმრად ცნობილი ჟურნალისტები იმყოფებიან, შეხვედრაზე მხოლოდ რამდენიმე სტუდენტი მოდის. სტუდენტების ინტერესი რატომღაც ასეთია. გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ სწავლით გადაღლილი სტუდენტები ლექციების შემდეგ გართობას ცდილობენ. რაც შეეხება საგანმანათლებლო ღონისძიებებს, სტუდენტური თვითმმართველობა ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრ ღონისძიებას მართავს და ამის შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზეც იდება. გებლოდ გამოყენება. დეპარტამენტში არსებობს სტატისტიკური მონაცემები, რის მიხედვითაც ამ ღონისძიებებში ასეულობით სტუდენტია ჩართული.

„უნივერსიტეტში არიან სხვადასხვა ინტერესების მქონე ადამიანები და, შესაბამისად, ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები. ჩვენ 22 000 სტუდენტი გვყავს უნივერსიტეტში და ყველა მათგანის მოთხოვნებს უნდა ვუპასუხოთ. ზოგს კულტურა აინტერესებს, ზოგს სპორტი, ზოგს

თუ სტუდენტი მოტივირებული და დაინტერესებულია, იგი აუცილებლად ნახავს და მიიღებს მასში მონაწილეობას. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტების გარკვეულ ნაწილს უფრო მეტი საგანმანათლებლო ღონისძიებების გამართვა სურს, მოიტანონ პროექტები და, დარწმუნებული ვარ, ადმინისტრაციაც და სტუდენტური თვითმმართველობაც მათ განხორციელებაში დაეხმარება.

თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირაკლი ხარჯავანიძემ.

თუ რომელი სფეროა პრიორიტეტული სტუდენტებისათვის, ამის გასარკვევად თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულმა საინიციატივო ჯგუფმა გამოკითხვაც ჩაატარა. შედეგების მიხედვით, ახალგაზრდებს სამეცნიერო კონფერენციები უფრო აინტერესებთ. თუმცა კვლევის ორგანიზატორები ამ ინფორმაციის რეალობასთან შესაბამისობას მაინც ეჭვქვეშ აყენებენ.

„გამოკითხვა ერთია და ფაქტი — მეორე. მაგალითად, ექსკურსიებზე (ამ მხრივ სტუდენტურ თვითმმართველობას ყველაზე მეტად აკრიტიკებენ) ერთ ნაკადად მიდის 450 სტუდენტი. სხვა გასართობ ღონისძიებებსაც რომ დავაკვირდეთ, უფრო მეტი ადამიანია მასში ჩართული, ვიდრე სამეცნიერო კონფერენციებში. თუმცა საკითხს მაგალითად, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავატარეთ იმიტირებული პროცესები, რაც სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას უწყობს ხელს. ვისაც ასეთი სახის უფრო მეტი პროექტის განხორციელება სურს — მოგვმართონ, განვიხილავთ მათ იდეებს და დავეხმარებით“, — აღნიშნა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელმა დავით ჩქოტუამ.

ცნობილია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპორტული და კულტურული პროექტები, ძირითადად, სტუდენტური თვითმმართველობისა და თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ერთობლივი ორგანიზებით ტარდება. მათი გამართვის მიზანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და მათი თავისუფალი დროის სასარკი საგანმანათლებლო ღონისძიებები. თუმცა თსუ სასწავლო დაწესებულებაა და უფრო მეტი რაოდენობით სწორედ სამეცნიერო პროექტები ხორციელდება. ამის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება სპეციალურად გამოყოფილ სტენდებზე და სოციალური ქსელების დახმარებით. თუ სტუდენტი მოტივირებული და დაინტერესებულია, იგი აუცილებლად ნახავს და მიიღებს მასში მონაწილეობას. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტების გარკვეულ ნაწილს უფრო მეტი საგანმანათლებლო ღონისძიების გამართვა სურს, მოიტანონ პროექტები და, დარწმუნებული ვარ, ადმინისტრაციაც და სტუდენტური თვითმმართველობაც მათ განხორციელებაში დაეხმარება. მთავარია აქტიური კომუნიკაცია იყოს სტუდენტსა და თვითმმართველობას, სტუდენტსა და ადმინისტრაციას შორის“, — აღნიშნა მაინც არ დავაყენებდი ასე, თუ რომელი უფრო ურჩევნიათ სტუდენტებს, რადგან, მაგალითად, მე თუ ერთ კვირას რომელიმე საგანმანათლებლო ღონისძიებაში მივიღებ მონაწილეობას, მეორე კვირას უკვე გართობა და განტვირთვა მჭირდება. ვთვლი, რომ დღეს უნივერსიტეტში საკმაოდ ბევრი სამეცნიერო კონფერენცია ტარდება, თუმცა აუცილებლად უნდა გაიზარდოს მათი ხარისხი. ინფორმაციაც ვრცელდება ამ ღონისძიებების გამართვის შესახებ და დაინტერესებული სტუდენტი მას ადვილად მოიძიებს. ჩვენი ორგანიზაცია ინფორმაციული განვითარების ინსტიტუტია და ვახორციელებთ საგანმანათლებლო ღონისძიებებს. გვაქვს სადისკუსიო კლუბი, ვთანამშრომლობთ თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტთან“. ახლა ვგეგმავთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სასწავლო გარემოს კვლევის დაწყებას. გამოცდილებამ დაგვანახა, რომ მხოლოდ ამ მიმართულებით საქმიანობა აუდიტორიის ინტერესს არა თუ საფაკულტეტო დონეზე უზრუნველყოფს, არამედ მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით“, — გვითხრა სადისკუსიო კლუბის წარმომადგენელმა გიორგი გრიგოლაშვილმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ცხოვრება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემაც შეაფასა.

„უნივერსიტეტის სტუდენტს სამეცნიერო კვლევებიც აინტერესებს და, როგორც ახალგაზრდა ადამიანს, გასართობი ღონისძიებებიც. ეს შეიძლება ნაკლებად არის დაკავშირებული აკადემიურ სფეროსთან, მაგრამ ძალიან მჭიდრო კავშირშია, ზოგადად, ადამიანის ცხოვრებასთან. ახალგაზრდებს ერთიც სჭირდებათ და მეორეც, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ სტუდენტობას ნაკლებად აინტერესებს სამეცნიერო-აკადემიური სფერო. გვყავს სტუდენტები, რომლებიც ყოველ წელს რამდენიმე სამეცნიერო კონფერენციაზე კითხულობენ მოხსენებებს, აქვეყნებენ თავიანთ ნაშრომებს და თავადაც აწყობენ ღონისძიებებს როგორც უნივერსიტეტის, ასევე, ქვეყნის მასშტაბითაც. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, კავკასიის მასშტაბით, მაღალი დონის სამეცნიერო კონფერენცია გამართეს. ჩვენს ფაკულტეტზე მუშაობს სპეციალური წრეები, სნორედ აქ წაკითხული მოხსენებები გადის შემდეგ სხვადასხვა კონფერენციებზე. გვყავს სტუდენტები, რომლებიც მხოლოდ სასწავლო კურსით გათვალისწინებულ პროგრამას ასრულებენ და დანარჩენ დროს სპორტულ ან კულტურულ საქმიანობას უთმობენ. უნივერსიტეტში ორივე ინტერესის მქონე სტუდენტები უნდა სწავლობდნენ. უმაღლეს სასწავლებელში უნდა ტარდებოდეს კულტურული, სპორტული თუ ინტელექტუალური ღონისძიებები. ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტები ხშირად სამეცნიერო-შემეცნებით და გასართობ ელემენტებსაც მოიცავს. მაგალითად, აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების სტუდენტებმა „აღმოსავლური საღამო“ მოაწყვეს, სადაც წარმოდგენილი იყო პრეზენტაციები აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ, მოეწყო ამ ქვეყნების კულინარიული ნაწარმის და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, ბოლოს კი პატარა კონცერტიც გაიმართა. დამეთანხმებით, ეს უბრალო გართობაზე მეტია და საკმაოდ საინტერესოც. ასეთი ღონისძიებების გამართვას ჩვენც ყველანაირად შევუწყობთ ხელს“, — განაცხადა დარეჯან თვალთვაძემ.

თსუ-ის ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ცხოვრების შესახებ კრიტიკულად განწყობილ ახალგაზრდებს დიალოგისკენ მოუწოდებენ. მათი თქმით, აქტიური კომუნიკაცია და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება აუცილებლად დადებით შედეგს გამოიღებს.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ „ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐ“?

18 მაისს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატთა და სტუდენტ-ამომრჩეველთა ჩართულობის დონე, რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით, აჩენს კითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის სტუდენტური კორპუსი მზად აქტიურობისთვის? თუ რამდენად ავლენენ კონკრეტულ შემთხვევებში სტუდენტები მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას და მართლაც არის თუ არა მათში ნიჰილიზმი ჩანერგილი? ამ კითხვებზე არგუმენტირებული პასუხების გაცემას კვლევა სჭირდება, თუმცა ჩვენ, ამ ეტაპზე, დავინტერესდით, უთმობენ თუ არა ლექტორები ,,თავისუფალი საუბრებისას" დროს სტუდენტთა ერთგვარ აღზრდას და მათში მოქალაქეობრივი შეგნებისა თუ პოლიტიკური კულტურის ამაღლებისთვის ზრუნვას. როდესაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იმიჯზე ვსაუბრობთ, საზოგადოების რეალური განწყობიდან და ისტორიული მეხსიერებიდან გამომდინარე, დიდია მოლოდინი საუნივერსიტეტო საზოგადოების მხრიდან მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობების გამოვლინებაზე. ამ ფაქტორის გათვალისწინებითაც დავინტერესდით პროფესორ-მასწავლებელთა უნივერსიტეტში მოღვაწეობის სტილზე. ამ მიზნით დავსვით შეკითხვაც:

— ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲔᲜ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲧᲝᲤᲘᲗ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲖᲔᲪ...

ᲘᲐᲒᲝ ᲙᲐᲭᲙᲐᲭᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი:

— მე, სამწუხაროდ, ურთიერთობა მხოლოდ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან მაქვს და აღფრთოვანებული ვარ ჩვენი სტუდენტებით — მათ სიყალბეს ვერ შეაპარებ. ვფიქრობ, რომ ისინი არიან მართლაც სასწავლო პროცესისა და ლექტორების უშუალო მაკონტროლებელი „აქტიორები".

რაც შეეხება კითხვას, ვუთმობ თუ არა დროს სტუდენტებთან თავისუფალ საუბრებს, შემიძლია ვთქვა, რომ მათ ჩემი ინიციატივით ვესაუბრები.

მტკიცება არ სჭირდება იმ გარემოებას, რომ ამ ქვეყანაში ვინმეს პოლიტიკური ორიენტაცია ნეიტრალური ფაქტორი არ არის. ადამიანები ფრთხილობენ თავიანთი შეხედულებების გამჟღავნებას, ამიტომაც ლექტორები სტუდენტებთან ამ თვალსაზრისით ღია არ არიან. თუმცა ვთვლი, რომ სამოქალაქო ღირებულებების „პოპულარიზაცია" საჭიროა, რადგან უნივერსიტეტი არის ერთერთი დაწესებულება, სადაც ეს უნდა ხდებოდეს ლექციების კითხვის პარალელურად, თავისუფალ დროს. ძალიან სამწუხაროა, თუ ჩემი კოლეგები ამას არ აკეთებენ. მე, მაგალითად, სემინარების დროს სხვადასხვა საკითხზე ძალიან მწვავე დებატები მაქვს, მათ შორის ღირებულებით ორიენტაციებზე — სამოქალაქო საზოგადოების პრინციპებზე, სამოქალაქო ღირებულებებზე და მოქალაქეთა ჩართულობაზე...

სამწუხაროა, თუ სხვა ლექტორები თავს არიდებენ სტუდენტებთან თავისუფალ საუბრებს.

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲯᲝᲠᲑᲔᲜᲐᲫᲔ,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

— საუბარი ასეთ თემებზე შეიძლება იყოს პიროვნებებს შორის ან თავად სტუდენტს აინტერესებდეს შენი მოსაზრება კონკრეტულ საკითხზე და, შესაბამისად, მოგმართოს, როგორც უფროს ადამიანს და მასწავლებელს.

არის მომენტი, როცა თავად სასწავლო კურსი მოიცავს დიალოგს და დებატებს საჯარო პოლიტიკის საკითხებზე. ასეთ შემთხვევაში სტუდენტებთან მოქალაქეობრივი, პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებაზე საუბარი შეიძლება. ისე, რომ ამ საკითხებზე განსაკუთრებულად ჩავუტარო სტუდენტს სემინარი, ჩემს შემთხვევაში არ ხდება, რადგანაც ლექციის თითოეული წუთი ზუსტად არის გათვლილი საგნის შესწავლის პროცესზე.

სხვათა შორის, ვფიქრობ, რომ ახალგაზრდა ადამიანისთვის რაიმე სახის აქტივობისკენ მითითება შეურაცხყოფს სტუდენტის უფლებასაც და უნივერსიტეტის იდეასაც. ,,უნივერსიტეტს" არ ევალება, სტუდენტს რაიმე სახის აქტივობისკენ მოუწოდოს. სტუდენტისთვის მაღალი ხარისხის ცოდნის მიცემა აქტიურ მოქალაქეს თავისთავად ჩამოაყალიბებს.

***მოამზადა* ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐᲛ**

ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲠᲩᲣᲐᲨᲘ

23 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲕᲐᲡᲘᲚ (ᲓᲐᲩᲘ) ᲒᲣᲒᲐᲫᲔᲛ ᲬᲐᲛᲝᲐᲧᲔᲜᲐ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ: ᲒᲔᲥᲐ ᲒᲔᲜᲓᲔᲚᲘᲐᲜᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲣᲙᲒᲐᲜᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲘᲝ ᲩᲘᲢᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲮᲛᲐᲗᲐ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲗ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲓ ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ. ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ, ᲛᲐᲗ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲖᲔ ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲔᲙᲘᲡᲠᲔᲑᲐᲗ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲓᲐᲕᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲘᲗ ᲗᲘᲗᲝᲗᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘᲗ.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲞᲔᲠᲛᲐᲜᲔᲜᲢᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲗ

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ I ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲔᲥᲐ ᲒᲔᲜᲓᲔᲚᲘᲐᲜᲘ:

— როგორც სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი, ამ ამპლუაში, პირველად ხართ?

— წინა მოწვევის სტუდენტურ თვითმმართველობაში ბოლო ორი თვე ვასრულებდი ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას უჩა ჯღამაძის ნაცვლად, რომელმაც პოსტი პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა. ამჟამად, მეოთხე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრებაზე ამირჩიეს ვიცე-პრეზიდენტად.

— რა მიმართულებას უხელმძღვანელებთ და როგორ წარმოგიდგენია ამ პოსტზე საკუთარი თავი და საქმიანობა?

— დებულების მიხედვით, ჩემი მოვალეობაა სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტების საქმიანობის ერთგვარი კონტროლი. ეს დეპარტამენტები დაკომპლექტდება შემდეგი კვირიდან, რაზეც მუშაობა დაწყებულია. ჩვენ გვაქვს 4 დეპარტამენტი, ესენია: განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი, კულტურის დეპარტამენტი, სპორტის დეპარტამენტი და ტურიზმის დეპარტამენტი. ოთხივე დეპარტამენტის საქმიანობა დაკავშირებული იქნება ჩემთან. ეს ის ოთხი დეპარტამენტია, რომელიც უზრუნველყოფს ყველა იმ შესაძლო ღონისძიებების გამართვას, რასაც სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტებს პერიოდულად სთავაზობს. ჩემი პრიორიტეტი იქნება განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის მთელი დატვირთვით ამუშავება.

— სტუდენტთა უფლებების დაცვის კუთხით რომელი დეპარტამენტი იმუშავებს?

— ჩვენ გვყავს მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სწორედ ამ სამსახურს ევალება სტუდენტთა უფლებების დაცვა. გარდა ამისა, ამ მიმართულებით აქცენტის გასაკეთებლად ჩატარდება გამოკითხვები და ყოველი სემესტრის ბოლოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შევთავაზებთ ჩვენს დასკვნას — თუ როგორ იქცეოდა ადმინისტრაციის კონკრეტული წევრი, ლექტორი, საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი სტუდენტების მიმართ.

— რადგან პრიორიტეტად ასახელებთ განათლებას და მეცნიერებას, საინტერესოა, რა ღონისძიებებს გაატარებთ?

— შევიკრიბებით უახლოეს მომავალში და ჩამოვწერთ ღონისძიებებს, რომლის განხორციელებაც მომავალი სასწავლო წლიდან, ანუ პირველი სემესტრიდან გვსურს. ჩვენ მიერ ორგანიზებულ ყველა სახის ღონისძიებებს, თუნდაც საგანმანათლებლო ღონისძიებებს, ძალიან ბევრი სტუდენტი ესწრება, შესაბამისად, ამ მხრივ, სტუდენტთა ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით.

ᲗᲣ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ III ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲝᲤᲘᲝ ᲩᲘᲢᲐᲫᲔ:

— როგორ განიხილავთ საკუთარ თავს ვიცე-პრეზიდენტის ამპლუაში?

— ჩვენი დებულების თანახმად, რაც მეორე ვიცე-პრეზიდენტს ევალება, ეს არის ყველა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობისთვის ხელშეწყობა. მე მათი მუშაობის ხარისხზე ვარ პასუხისმგებელი.

ვიცე-პრეზიდენტის ამპლუაში ჩემ საქმიანობას კვლავაც გავაგრძელებ ისე, რომ სტუდენტები მაქსიმალურად იყვნენ კმაყოფილნი.

— თუკი ნაწილი არ არის კმაყოფილი, ამ შემთხვევაში რა ხერხს მიმართავთ?

— ზოგადად, მიმაჩნია, რომ შეუძლებელია მთელ საქართველოში ყველა ადამიანი იყოს კმაყოფილი, თუმცა ვთვლი, რომ ჩვენი საქმიანობა იმდენად მრავალფეროვანია თუნდაც ამ 4 დეპარტამენტის ფუნქციონირების ფონზე, რომ ეს ყოველივე განსხვავებული გემოვნებისა თუ შეხედულების სტუდენტებზეც არის გათვლილი. ვფიქრობ, რომ მაქსიმალურად ვცდილობთ — ყველა სექტორი მოვიცვათ.

— თვითმმართველობები ფაკულტეტებზე თავმჯდომარეებს როდის აირჩევს?

— შემდეგ კვირაში მოხდება თვითმმართველობის ადმინისტრაციის ფორმირება. აირჩევა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ყველა თავმჯდომარე და მოადგილე,

ᲡᲝᲤᲘᲝ ᲩᲘᲢᲐᲫᲔ

ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲕᲐᲠ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ III ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲣᲙᲒᲐᲜᲘᲐᲜᲘ:

— როგორ გრძნობ თავს ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე?

— დებულების შესაბამისად მე გახლავართ მესამე ვიცე-პრეზიდენტი და ჩემი საქმიანობა დაუკავშირდება სტუდენტური თვითმმართველობის სამსახურებს — საგარეო ურთიერთობათა სამსახურს, მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ვეცდები, რომ კარგად გავართვა თავი დაკისრებულ პასუხისმგებლობას.

— რამდენადაც გავარკვიეთ, სტუდენტთა უფლებების დაცვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსაც ეხება. რამდენად დაინტერესდები — გაეცნო ვითარებას ამ კუთხით უნივერსიტეტის მასშტაბით?

— წინა მოწვევის თვითმმართველობაში, დაახლოებით, 2 წელია ვარ. მაშინ ცალკე არსებობდა სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი, ახლა კი მისი ფუნქცია მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაეკისრა. სანამ ეს მოხდებოდა, ამ სამსახურის ხელმძღვანელი ვიყავი. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით სერიოზული სამუშაოები ჯერ კიდევ არჩევნებამდე ჩავატარეთ. დაახლოებით 3-4 თვით ადრე მე ვხელმძღვანელობდი ამ საქმიანობას. ყველა ფაკულტეტის სტუდენტთა ნაწილი მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გამოიკითხა — თუ რა მოსაზრებები ჰქონდათ მათ აკადემიურ პერსონალთან ურთიერთობასა და, ასევე, თვითმმართველობის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე. კითხვარი დამუშავდა, რომელიც სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტებს მივაწოდეთ, რაც ერთგვარი გზამკვლევი იქნება მათთვის — რა სახით განაგრძონ საქმიანობა და რაზე გააკეთონ აქცენტი.

— როდესაც არსებობს პრეტენზიები იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტში სტუდენტთა უფლებები ირღვევა, სიტყვის თავისუფლება იზღუდება, თვითგამოხატვა ზოგჯერ ისჯება კიდეც და ა.შ., თქვენ როგორ რეაგირებთ ამაზე?

— ამაზე მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: ყოველდღიურად მიწევს ძალიან ბევრ სტუდენტთან კონტაქტი. ჩემი 324 ამომრჩევლის გარდა, უშუალო შეხება მაქვს ყველა ჩემს კურსელთან და ვიცი, თითოეულ მათგანს რა პრეტენზია გააჩნია. მაგრამ, ვისაც რაიმე პრობლემა აქვს, უნდა მოვიდეს ჩვენთან, ისე არავის დაესიზმრება — რას აპროტესტებს ესა თუ ის სტუდენტი კულუარულად. თუკი სტუდენტს აქვს რაიმე პრეტენზია, კითხვა ან შენიშვნა, თავისუფლად შეუძლია მიაკითხოს ფაკულტეტის თვითმმართველობას და მერწმუნეთ, რომ რეაგირების გარეშე არ დარჩება არავის მომართვა.

რაც შეეხება სიტყვის თავისუფლებას, ვიტყვი, რომ სტუდენტური გამოსვლების დროს მათ საჯაროდ დააფიქსირეს თავიანთი აზრი. მიუხედავად იმისა, რომ იყო ცოტა შეურაცხმყოფელი გამოსვლებიც, ამაზე არავის რეაქცია არ ჰქონია. მოვიდნენ, გამოხატეს თავიანთი აზრი, ჩვენ მოვისმინეთ და შემდეგ მშვიდობიანად დაიშალნენ...

ᲛᲔ-7 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

სტუდენტური თვითმმართველობა თავად არის „სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი“

18 მაისს თსუ-ის სტუდენტებმა IV მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობა აირჩიეს. სტუდენტების წარმომადგენლობით ორგანოში უმრავლესობაში კვლავ „ერთიანი სტუდენტური მოძრაობაა“. რა იქნება 2012-2013 სასწავლო წელს მათი მუშაობის პრიორიტეტები? რა სიახლეები განხორციელდება საერთაშორისო ურთიერთობების, სტუდენტთა უფლებების დაცვის, მათი გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის და დაბალი მატერიალური შესაძლებლობების სტუდენტთა სწავლის საფასურის დაფინანსების მიმართულებით? — ამ კითხვებს პასუხს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი სცემს. **დაჩი გუგაძე** *თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას უკვე მეორე ვადით ხელმძღვანელობს.*

ნატო ოგოლაძე

— „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანია შემოიფარგლა პოსტერებისა და ბანერების დაბეჭდვა-გავრცელებით, რაც საინფორმაციო ხასიათისა იყო. მათზე მითითებული გვქონდა იმ ღონისძიებების რაოდენობა, რომელთაც, გასული ორი წლის განმავლობაში, ორგანიზება გავუწიეთ. ეს ინფორმაცია გვიჩვენებდა, თუ რამდენი სტუდენტი იყო ჩართული თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პროექტებში. ამჯერადაც, ჩვენი მუშაობის პრიორიტეტი იქნება თსუ-ის სტუდენტებისთვის რაც შეიძლება მეტი, მაღალი ხარისხის, კარგად ორგანიზებული კულტურული, სპორტული, გასართობი და სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარება. განსაკუთრებული მნიშვნელობა საგანმანათლებლო პროექტებს მიენიჭება. ანალოგიური პრიორიტეტები ჰქონდა მესამე მოწვევის სტუდენტურ თვითმმართველობასაც, რომლის მუშაობის ანგარიშსაც უახლოესი 2 კვირის მანძილზე ჟურნალის სახით გამოვცემთ. ჩვენ, დაახლოებით, 150-მდე სპორტული, 100-ზე მეტი კულტურული ღონისძიება ჩავატარეთ და 200-ზე მეტი საგანმანათლებლო პროექტი განვახორციელეთ. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი გრანდიოზული მასშტაბის არ იყო, მაგრამ გარკვეული ნაწილი თბილისში ყველაზე დიდი ახალგაზრდული ღონისძიება გახლდათ. მაგალითად, ინტელექტუალური შეჯიბრი „რა? სად? როდის?“, რომელშიც 900 სტუდენტი იღებს მონაწილეობას, მინიფეხბურთი, სადაც 800-მდე ახალგაზრდა არის ჩართული და ა.შ.

— სტუდენტების ერთი ნაწილი უკმაყოფილოა თქვენს მიერ ჩატარებული საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარისხით...

— სასურველია, ამ სტუდენტებმა გვითხრან — კონკრეტულად რას გულისხმობენ დაბალ ხარისხში. თითოეულ სამეცნიერო კონფერენციაში, მინიმუმ, 30-დან 50-მდე სტუდენტი იღებდა მონაწილეობას. ზოგადად, არც არის სასურველი, რომ ასეთი სახის ღონისძიებაში 200 ან 300 ახალგაზრდა იყოს ჩართული. რაც შეეხება კონფერენციების რაოდენობას, სემესტრში 18 კონფერენცია ტარდებოდა, ანუ თვეში 6. რა თქმა უნდა, ყველაფერი იდეალური ხარისხის არ იყო, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი იხვეწება და ვითარდება. ის ფაქტიც, რომ ბევრი სტუდენტი იღებს ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობას, მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი პროექტები მათ ინტერესებს ემსახურება.

— რაც შეეხება სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტს, იქნება თუ არა ამ მიმართულების გააქტიურება IV მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობის ერთ-ერთი პრიორიტეტი?

— თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობაში სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი აღარ გვაქვს. ამ დეპარტამენტის მუშაობა არ იყო ეფექტური, რადგან იგი დაკავშირებული იყო ბიუროკრატიასთან და გარკვეული ცვლილებების გატარება გახდა საჭირო. მინდა გითხრათ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში თვითმმართველობის ინსტიტუცია სტუდენტების უფლებების დასაცავად ჩამოყალიბდა. შესაბამისად, თსუ-ის თვითმმართველობის ყველა წევრი ვალდებულია, რომ დაეხმაროს ნებისმიერ იმ სტუდენტს, რომელსაც უნივერსიტეტში პრობლემები აქვს, ანუ მთლიანად სტუდენტური თვითმმართველობა არის „სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი“. თუ რომელიმე სტუდენტი მიიჩნევს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი უფლებები დაირღვა, უნდა მიმართოს მისი ფაკულტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას.

— ხომ არ გეგმავთ გაცვლით პროგრამებში გამარჯვებული სტუდენტებისთვის დაფინანსების გაზრდას?

— გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების დაფინანსება თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას აღარ ეხება. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად ვისაუბრეთ და გადაწყდა,

რომ შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების დაფინანსებას განიხილავს. ამ ცვლილების განხორციელების მიზეზი კი გახლდათ შემდეგი: იმ სტუდენტებს, რომლებსაც გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა სურდათ, ვაფინანსებდით მათ მიერ წარმოდგენილი აკადემიური მოსწრების შეფასების მაჩვენებლის (GPA), CV-ის და ერთ-ერთი პროფესორ-მასწავლებლის რეკომენდაციის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, სტუდენტებში იგრძნობოდა უარყოფითი განწყობა იმ მიზეზით, რომ მათი ნაწილი ვერ ფინანსდებოდა. ახლა ამ საკითხს უკვე სპეციალური კომისია განიხილავს.

— სტუდენტების დიდი ნაწილი დაბალი მატერიალური შესაძლებლობებისაა და უჭირთ სწავლის საფასურის გადახდა. აპირებთ თუ არა მათთვის დახმარების გაწევას?

— ის თანხა, რომელსაც სტუდენტური თვითმმართველობა განკარგავს, გამიზნულია სტუდენტური ღონისძიებებისთვის. შესაბამისად, ფიზიკურად შეუძლებელია ამ ფინანსების სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდისთვის გამოყენება. თუმცა ჩვენ გვაქვს ერთი საკმაოდ საინტერესო ინიციატივა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვატარებთ საკმაოდ ბევრ საქველმოქმედო ღონისძიებას, შემოსული რესურსებით კი ვეხმარებით სხვადასხვა ბავშვთა სახლებს, სოციალურად დაუცველ ადამიანებს და ა.შ. ახლა ვგეგმავთ ჩამოვაყალიბოთ სპეციალური საქველმოქმედო ფონდი, რისი საშუალებითაც დაბალი მატერიალური შესაძლებლობების მქონე სტუდენტებს სწავლის საფასურის გადახდაში დავეხმარებით. ამ ფონდის არსებობის თაობაზე ინფორმაციას ყველგან გავავრცელებთ.

— გასულ წელს ჩაატარეთ საერთაშორისო ახალგაზრდული ფესტივალი „ერთა ხმა“, იგეგმება თუ არა წელსაც მსგავსი მასშტაბების ღონისძიებების ჩატარება?

— 1-დან 5 ივნისის ჩათვლით ბათუმში „საქართველოს სტუდენტური თვითმმართველობების საერთაშორისო ფორუმი“ გაიმართება. ჩამოდის 60-ზე მეტი ქვეყნის სტუდენტური თვითმმართველობების 100 წევრი. მათ შორის არიან ოქსფორდის, ჰარვარდის უნივერსიტეტების, მოსკოვის, მონღოლეთის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებიც. ჩვენ ერთად ვიმუშავებთ მემორანდუმზე, რომლის მიზანიც გახლავთ — უკეთ გავეცნოთ ევროპის, აზიის, ამერიკის სტუდენტურ ცხოვრებას. ეს იქნება ყველაზე მასშტაბური ახალგაზრდული ღონისძიება საქართველოში. რაც შეეხება საერთაშორისო ახალგაზრდულ ფესტივალს „ერთა ხმას“, წელს მის ჩატარებას არ ვგეგმავთ.

— ცნობილია, რომ ნებისმიერი წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობა გაცილებით პროდუქტიულია, თუ მასში განსხვავებული მოსაზრებებისა და შეხედულებების მქონე წევრები არიან. IV მოწვევის თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის 120 დელეგატიდან მხოლოდ 4-ია დამოუკიდებელი კანდიდატი, დანარჩენი 116 კი „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის” წევრია. როგორ ფიქრობთ, რამდენად ეფექტური იქნება თქვენი მუშაობა?

— IV მოწვევის თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობაში 4 დამოუკიდებელი კანდიდატია. ჩვენ დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებთ მათთან. კარგია, როდესაც ადამიანს შედარებით სხვანაირი მოსაზრებები აქვს. თუმცა იმისათვის, რომ თვითმმართველობის წევრს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეს, არ არის აუცილებელი, რომ ის სხვა სტუდენტური ორგანიზაციის წარმომადგენელი იყოს. „ერთიან სტუდენტურ მოძრაობაში“ ბევრია ისეთი ახალგაზრდა, რომელსაც ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა აზრი აქვს და სწორედ ამის შედეგად ვახორციელებთ ამდენ საინტერესო პროექტს.

ვიცე-პრეზიდენტების ამპლუაში

ბექა ბენდელიანი

მეექვსე გვერდიდან

— სტუდენტთა ნაწილი ითხოვს, რომ უნივერსიტეტის გარედანაც მოიწვიოთ საინტერესო ექსპერტები ლექციების წასაკითხად... რამდენად შეძლებთ ამის უზრუნველყოფას?

— განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი რეგულარულად ატარებს სტუდენტებში გამოკითხვას — თუ ვისი მოწვევა სურთ და შესაბამისადაც ვგეგმავთ ღონისძიებებს. ამიტომ არის დამსწრეთა რაოდენობაც დიდი.

სოფიო ჩიტაძე

ასევე, ყველა ის წარმომადგენელი, რომლის არჩევაც დებულებით არის გათვალისწინებული. ყველა მათგანი შეუდგება შესაბამის საქმიანობას და სტუდენტებზე ზრუნვას.

გარდა ცენტრალური ღონისძიებებისა, რომელსაც ეს დეპარტამენტები სტუდენტებს სთავაზობენ, ჩვენ მზად ვართ ყველა იმ იდეისა თუ პროექტის განხორციელებისთვის, რასაც ფაკულტეტებიდან სტუდენტები მოგვანწდიან. წინა სემესტრის მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან საინტერესო იდეები ჰქონდათ ბავშვებს, რომელთაც კარგი პროექტების რეალიზებაში დავეხმარეთ.

თუ პროექტი კარგია, ყველასთვის გზა ხსნილი იქნება.

გიორგი მუკბანიანი

— თუ ეცნობით „ბლოგებს” და თუ ინტერესდებით — სოციალურ ქსელებში ვინ რას წერს?

— მეც ერთერთი აქტიური მომხმარებელი ვარ სოციალური ქსელის. რაზეც ხელი მიმიწვდება, ყველაფერს ვეცნობი, ახლა მითუმეტეს, როდესაც თვითმმართველობაში ამირჩიეს. ზოგადად, ძალიან დადებითად ვარ განწყობილი კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანებისადმი და, მართალი გითხრათ, მსიამოვნებს კიდეც მათთან საუბარი. საბედნიეროდ, ბევრი არ არის აგრესიული ტიპაჟი. მათ მოსაზრებებს, ეს იქნება სოციალურ ქსელებში დაფიქსირებული თუ პირადი ურთიერთობისას გაჟღერებული, პატივს ვცემ. მათთან ხშირი შეხვედრების მომხრე ვარ, რათა ვფლობდეთ ვითარებას და ვიცოდეთ განწყობები.

ქ რ ო ნ ი კ ა

SUMMER JOB-ში მონაწილეობის მსურველთათვის ხელახალი რეგისტრაცია ცხადდება

სტუდენტური დასაქმების პროგრამა

2012 წლის 4 ივნისს პროექტ Summer Job-ში მონაწილეობის მსურველი ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის ხელახალი რეგისტრაცია იწყება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, საიტზე www.summerjob.ge რეგისტრაცია დილის 09:00 საათიდან იქნება შესაძლებელი. დღეიდან კი, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ წინასწარ შეარჩიონ სასურველი სამუშაო ადგილი.

ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მოძიება მათ ვებ-გვერდზე შეუძლიათ, რაც საშუალებას მისცემთ, რეგისტაციის დღეს სასურველი სამუშაოს არჩევაში დრო აღარ დაკარგონ და პირდაპირ რეგისტრაცია გაიარონ. სტუდენტებისთვის ვაკანტური 1500-ზე მეტი ადგილია.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, პროგრამა Summer Job-ში სტუდენტთა რეგისტრაცია 20 მარტიდან დაიწყო და ინტერნეტით, დასწრების პრინციპით განხორციელდა. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დარეგისტრირებულ სტუდენტთა ნაწილის გეგმები შეიცვალა, ისინი პროექტს გამოეთიშნენ. ამ სტუდენტთა რაოდენობა 7%-ზე ნაკლებია. გამოთავისუფლებულ სამუშაო ადგილებზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 4 ივნისიდან ხელახალ რეგისტრაციას აცხადებს.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტი Summer Job საქართველოში წელს პირველად ხორციელდება. პროექტი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ზაფხულის არდადეგების პერიოდში 20 ივლისს ამოქმედდება და 20 აგვისტომდე გასტანს. მასში მონაწილეობა საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტების ბაკალავრიატის სტუდენტებს შეუძლიათ. პროექტის ფარგლებში ოცდახუთი ათასი სტუდენტი დასაქმდება და მათი ხელფასი 500 ლარი იქნება.

სამინისტროს ინფორმაციით, სტუდენტები სამოცდაათამდე სფეროში დასაქმდებიან, კერძოდ: სახელმწიფო დაწესებულებებში, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორებში, იურიდიულ კომპანიებში, მუზეუმებში, საავადმყოფოებში, თვითმართველობის ორგანოებში და ა.შ. საპრეზიდენტო პროექტში სახელმწიფო უწყებები და კერძო სექტორია ჩართული.

„პროექტი Summer Job გამიზნულია იმისათვის, რომ სტუდენტებმა კვალიფიკაციის ამაღლება და გამოცდილების მიღება შეძლონ. გამომუშავებული თანხით კი საკუთარი სწავლა დააფინანსონ ან შემეცნების, მოგზაურობის, დასვენებისათვის და ა.შ. საკუთარი სურვილისამებრ გამოიყენონ. ამგვარი პრაქტიკა დანერგილია და წარმატებით ხორციელდება დასავლეთის ქვეყნებში", — აცხადებენ განათლების სამინისტროში.

სსფ-ის მმართველი დირექტორის მოადგილე თსუ-ში

21 მაისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის მოადგილე მინ ჟუმ სტუდენტებისთვის და პროფესორ-მასწავლებლებისთვის საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „გლობალური ეკონომიკა - სავალუტო ფონდის ხედვები."

მინ ჟუმ ისაუბრა მსოფლიო ფინანსური ცვლილებების, ტენდენციების, გლობალიზაციასა და გამოწვევის შესახებ; მიმოიხილა როგორც მსოფლიო, ასევე განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის, ვაჭრობის და სავაჭრო წილის ზრდის ტენდენციები.

ღონისძიებას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე დაესწრნენ. ალექსანდრე კვიტაშვილი უნივერსიტეტის სახელით მიესალმა და მადლობა გადაუხადა სტუმარს გაწეული თანადგომისთვის.

ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ სტუდენტებთან მინ ჟუს პროფესიონალიზმსა და მის უდიდეს თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებაზე ისაუბრა. „დღევანდელი ლექცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გლობალური გამოწვევის და დინამიკის შესახებ მიიღონ და გაიზიარონ პირველწყაროსგან მინოდებული ინფორმაცია" — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

ევროპის დღეები საქართველოში

11 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკოლოგიის მიმართულების ქართულ-ფრანგულმა ჯგუფმა და მარი ბროსეს ქართულ-ფრანგულმა სკოლამ რობერ შუმანის ევროპული სასწავლებლის მოსწავლეებთან ერთად გამართა საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიება თემაზე — „უარი პოლიეთილენის პარკებს" — ჯანსაღი კვება, ეკოლოგიური შეფუთვა".

ღონისძიება გაიმართა თსუ-ისა და რობერ შუმანის ევროპულ სასწავლებელს შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე, თსუ-ში მოქმედი „საბავშვო უნივერსიტეტის" ფარგლებში და ევროპის დღეების კვირეულს მიეძღვნა.

მასში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ორგანიზაციები, მათ შორის, საფრანგეთის საელჩოს და ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენლები საქართველოში, ახალი ჰიპერმარკეტი „კარფური"-ს თანამშრომლები, ასევე, სხვადასხვა სასწავლებლების მოსწავლეები და სტუდენტები.

ეკოლოგიური დღის პროგრამა მიზნად ისახავდა ინფორმაციის გავრცელებას პოლიეთილენის პარკების შესახებ, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობას ეკოლოგიურ საფრთხეს უქმნის. ახალგაზრდებმა პოლიეთილენისგან გააკეთეს „საფრთხობელა" და გაავრცელეს საინფორმაციო ფლაერები სლოგანით: „არა პოლიეთილენს". მათ საზოგადოებასა და ახლომდებარე მაღაზიებს დაურიგეს საინფორმაციო ფლაერები და მეორადი გამოყენების, ეკოლოგიურად სუფთა ქაღალდის პარკები.

გარდა ამისა, ღონისძიებაზე მოიწვიეს ჟან-ჟაკ ჟაკობი, რომელმაც იმსჯელა ჯანსაღი კვების პოპულარიზაციაზე, შემდეგ კი მოეწყო ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიების მსვლელობას მუსიკალურად აფორმებდა ბენდი Zenith და ევგენი მიქელაძის სახელობის მეორე ცენტრალური მუსიკალური სასწავლებლის მუსიკოსი ინსტრუმენტალისტები.

სკოლის მოსწავლეებისთვის გაიმართა კონკურსი „არა პოლიეთილენს", ასევე, სპორტული ღონისძიებები, ფლეშმობი და სხვა, რომელთა გამარჯვებულებსაც წამახალისებელი პრიზები გადაეცათ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები.

„საქართველოსა და გერმანიის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა"

15 მაისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა გამოფენა — „საქართველოსა და გერმანიის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა".

თსუ და DAAD-ის საინფორმაციო ცენტრის გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს უნივერსიტეტებმა, რომელთაც გერმანიის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისა და ერთობლივი პროგრამები წარმოადგინეს.

თსუ-ის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით, „გამოფენა გერმანიაში სწავლის მსურველ ქართული უნივერსიტეტების სტუდენტებს სწორი არჩევანის გაკეთებაში შეუწყობს ხელს. თსუ-ში რამდენიმე სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით. ჩვენი სტუდენტები როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ კურსს გადიან გერმანიაში."

DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელის ელისაბედ ფენორის ინფორმაციით — „გერმანიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის 20 წლისთავთან დაკავშირებით იმართება გერმანიის კვირეული. სწორედ ამ კვირეულის ფარგლებში მოეწყო გერმანული უნივერსიტეტების გამოფენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქართველი სტუდენტები მიიღებენ ყველა საჭირო ინფორმაციას გერმანიაში სწავლასთან დაკავშირებით. გაიმართება დისკუსია, რომლის დროსაც საუბარი შეეხება სწავლის შესაძლებლობებს, პირობებს, ნაჩვენები იქნება მაგალითები — თუ როგორ სწავლობენ ქართველი სტუდენტები გერმანიაში."

აკადემიურ სფეროში გერმანიასა და საქართველოს ურთიერთთანამშრომლობა ათწლეულების მანძილზე გრძელდება. ორი ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის მრავალრიცხოვანი პარტნიორული ურთიერთობა და ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა არსებობს (ქართულ და ინგლისურ ენებზე). ასევე მნიშვნელოვანია ორი ქვეყნის უნივერსიტეტების ფაკულტეტებს შორის თანამშრომლობა გერმანისტიკასა და არქეოლოგიაში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

მემორანდუმი თსუ-სა და GIZ-ს შორის

თსუ-სა და გერმანიის საერთაშორისო დახმარების საზოგადოებას (GIZ) შორის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის თანახმად, GIZ-ის „კერძო სექტორის განვითარების პროგრამები" თსუ-ს ქიმიური ლაბორატორიის ტექნიკოსების მოსამზადებელ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში დაეხმარება.

თსუ-ის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით, მემორანდუმი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტებს, რომლებიც ქიმიის მიმართულებით სწავლობენ, აძლევს შანსს, სხვადასხვა კომპანიებში პრაქტიკული გამოცდილება შეიძინონ.

პროგრამის — „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში" ხელმძღვანელმა საქართველოში, ბრანკო ვენერტიმ აღნიშნა, „პროექტი თსუ" ქიმიური ლაბორატოორიისა და ამ მიმართულებით სასწავლო კურსის განვითარებას შეუწყობს ხელს. პროგრამა ძირითადად პრაქტიკულ მეთოდოლოგიაზე იქნება დაფუძნებული, სადაც სხვადასხვა კომპანიები იქნებიან ჩართული.

პროექტის მიზანია ქიმიური, ფარმაცევტული, კვების, კოსმეტიკური და გარემოს დაცვის ინდუსტრიისთვის ქიმიური ლაბორატორიის ტექნიკოსის პროფესიული კადრების მომზადება. პროექტის პარტნიორები არიან ქართული კომპანიები და საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის CHEM-LAB პროექტის კონსორციუმის წევრებთან ერთად (გერმანიის, პოლონეთის, თურქეთის და საბერძნეთის უნივერსიტეტები, განათლების სამინისტრო, პროფესიული გაერთიანებები და კომპანიები).

ქ რ ო ნ ი კ ა

ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები ცუკუბას უნივერსიტეტთან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის ინიციატივით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის მიზნით მოწვეული იყო ცუკუბას (იაპონია) უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი ნეანტრო საავედრა-რივანო. მისი სალექციო კურსი ეძღვნებოდა „განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის" პრობლემატიკას, კერძოდ: ეკონომიკური განვითარების თეორიები და კრიტერიუმები; კონცეფციები ადამიანური კაპიტალის შესახებ; საზოგადოება და განვითარება; ეკონომიკური განვითარების მექანიზმები; პოლიტიკური ინსტიტუციები და ეკონომიკურ-პოლიტიკური შედეგები; პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური სისტემების როლი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

ცუკუბას უნივერსიტეტის პროფესორი ნეანტრო საავედრა-რივანო პირველად მოწვეული იყო თსუ-ის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე 2009 წლის ნოემბერში, ხოლო შემდეგ 2010 წლის მაისში. მან თსუ-ში ეკონომიკის მიმართულების მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს შეთავაზა ლექციების კურსი - „განვითარების ეკონომიკა". ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა რევაზ გველესიანმა აღნიშნა, რომ ბატონი საავედრა-რივანო ცუკუბას უნივერსიტეტში ეკონომიკური და სახელმწიფო პოლიტიკის მართვის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელია. იგი ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე მუშაობს და მისი კვლევის უშუალო საგანი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების შესწავლაა.

„საქართველოში პირველი ვიზიტის დროს ძალიან დავინტერესდი ამ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით. როგორც მოგეხსენებათ, საქართველო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაა და ამიტომ გადავწყვიტე ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობა. ცუკუბას უნივერსიტეტში განვითარების ეკონომიკის პრობლემებს ვიკვლევ და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების შესწავლა ჩემი პირდაპირი პროფილია. ამ თვალსაზრიდან ნამდვილად საინტერესო იყო ჩემთვის აქ ჩამოსვლა და საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის ადგილზე შესწავლა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქართულ მხარეს - ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის თანამშრომლებს, ჩემს ქართველ კოლეგებს, პროფესორებს რევაზ გველესიანს, ეთერ ხარაიშვილს, ეკა ლეკაშვილს, ელგუჯა მექვაბიშვილს – საინტერესო სამეცნიერო თანამშრომლობისა და გულთბილი მასპინძლობისათვის," — აღნიშნა პროფესორი ნეანტრო საავედრა-რივანომ.

პროფესორ რევაზ გველესიანის ინიციატივას ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავების შესახებ ბატონი ნეანტრო საავედრა-რივანო დიდი ინტერესით გამოეხმაურა და ამ მიმართულებით ერთობლივი პროგრამის შესამუშავებლად მზადყოფნაც გამოთქვა.

„ცუკუბას უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები მეტად ინტერნაციონალურია და სტუდენტთა კონტინგენტიც — მრავალფეროვანი. როდესაც მათი მომზადების დონეს ქართველი სტუდენტებისას ვადარებ, ვფიქრობ, რომ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის რეალურად განხორციელება და დანერგვა პრობლემა არ უნდა იყოს. გარდა ამისა, მე ვგეგმავ ქართველ კოლეგებთან მეტად საინტერესო ერთობლივი სამეცნიერო კვლევების გამოქვეყნებას საერთაშორისო რეიტინგულ ჟურნალებში," — აღნიშნა ბატონმა ნეანტრო საავედრა-რივანომ.

აღნიშნული მიზნების გარდა, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანულ ინსტიტუტს სხვა გეგმებიც აქვს, რაზეც მეტყველებს პროფესორების ელგუჯა მექვაბიშვილის, ეთერ ხარაიშვილისა და ეკა ლეკაშვილის ინფორმაციაც: „ინსტიტუტის წევრები რამდენიმე დღეში ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში საქმიანი ვიზიტით მივემგზავრებით, სადაც ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა" განხორციელებისათვის არსებულ შეთანხმებას ოფიციალურ სახეს მივცემთ. იმედია, მსგავსი პროექტი ცუკუბას უნივერსიტეტთანაც შედგება და თსუ-ის ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის თაოსნობით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს პრესტიჟულ უცხოურ უნივერსიტეტებთან უკვე ორი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ექნება".

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის წევრი გიორგი გაფრინდაშვილი თვლის, რომ ინსტიტუტს დიდი შემოქმედებითი რესურსი გააჩნია ეფექტიანი და წარმატებული მოღვაწეობისათვის. „საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, მრავალი ღონისძიება და საქმიანი შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ გვეძლევა შესაძლებლობა უცხოელი პროფესორების სალექციო კურსები თსუ-ში სოლიდური თანხის გადახდის გარეშე მოვისმინოთ. უცხოელი პროფესორების გამოცდილების გაზიარებით სტუდენტებს განვითარებულ ქვეყნებთან პარალელების გავლება უადვილდებათ, რაც ანალიტიკური აზროვნების განვითარებასაც უწყობს ხელს", — აღნიშნა გიორგი გაფრინდაშვილმა.

თამარ დადიანი

პროფესორ შტეფან მიტნიკის ვიზიტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

7-10 მაისს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სტუმრად იმყოფებოდა მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის სტატისტიკის ფაკულტეტის ფინანსური ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი შტეფან მიტნიკი, რომელმაც სტუდენტებისთვის წაიკითხა ლექციების ციკლი ბაკალავრიატის სავალდებულო საგანში — „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში".

სალექციო თემატიკა მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა „ეკონომიკური დროითი მწკრივების ძირითადი კომპონენტები, დეკომპოზიცია"; „დროითი მწკრივების მოსწორების თანამედროვე მეთოდები"; „ციკლური და სეზონური კომპონენტების სტატისტიკური ანალიზი დროით მწკრივებში"; „კორელაციური ანალიზის სტატისტიკური მეთოდები" და სხვ. პროფესორ შტეფან მიტნიკის ლექციებმა სტუდენტების დიდი ინტერესი გამოიწვია.

პროფესორ მიტნიკის აკადემიური მასპინძელი და კოორდინატორია ეკონომიკური სტატისტიკის კათედრა და პირადად მისი ხელმძღვანელი, სრული პროფესორი ბატონი სიმონ გელაშვილი.

სიმონ გელაშვილი, პროფესორი: „შტეფან მიტნიკი გავიცანი 12 წლის წინ, კილის უნივერსიტეტის სტატისტიკის ინსტიტუტში ვიზიტის დროს და ჯერ კიდევ მაშინ დავსახეთ ჩვენი შემდგომი თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები.

ბატონი მიტნიკი არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერია სტატისტიკასა და ეკონომეტრიკაში. იგი სხვადასხვა დროს ლექციების წასაკითხად მიწვეული იყო 12 ქვეყნის უნივერსიტეტებში. მიმდინარე წლის შემოდგომის სემესტრში 4 თვით მიემგზავრება ნიუ-იორკის უნივერსიტეტში. ეს ნათლად მეტყველებს მის საერთაშორისო აღიარებაზე".

შტეფან მიტნიკი, პროფესორი: „საქართველოში პირველად ჩემი კოლეგა პროფესორ გელაშვილის მოწვევით ჩამოვედი. აქვე მინდა გამოვხატო ჩემი აღტაცება თქვენი ქვეყნის სილამაზით და იმ ევროპული წესრიგით, რაც თბილისში ვნახე. მე ასევე გაოცებული ვარ ეკონომიკური სტატისტიკის კათედრაზე არსებული უნიკალური გერმანულენოვანი წიგნადი ფონდით, რაც, ალბათ, არა აქვს გერმანიაში არცერთ ანალოგიურ კათედრას. მე ამის შესახებ აუცილებლად მოვუყვები ჩემს კოლეგებს და ასევე სტუდენტებს გერმანიაში".

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან, ბატონ აკაკი ხელაძესთან შეხვედრისას პროფესორმა მიტნიკმა ისაუბრა მისი ჩამოსვლის მიზნებსა და ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ მომავალ წელს სიამოვნებით ჩამოვა უფრო ხანგრძლივად სალექციო კურსის წასაკითხად. გარდა ამისა, იგი აუცილებლად განახორციელებს ერთობლივ სასწავლო და კვლევით პროექტებს პროფესორ სიმონ გელაშვილთან ერთად, რომელიც მიიწვია მიუნხენის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად.

უჩა გოგიშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი

„გახდი ერთი დღით პრივატბანკის დირექტორი"

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაცია სტუდენტთა დასაქმების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას გეგმავს. წლის ბოლოსთვის თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდება 300-მდე ორგანიზაციასთან და ფაკულტეტის სტუდენტების დიდი ნაწილი დასაქმდება.

სტუდენტები აქტიურად ახორციელებენ იმ პროექტებს, რომელიც მათ კარიერულ ზრდას, წარმატებულ სასწავლო პრაქტიკასა და პროფესიონალად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. მათი ინიციატივით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ,,პრივატბანკთან" ერთად ახორციელებს პროექტს „გახდი ერთი დღით პრივატბანკის დირექტორი". პროექტი თსუ-ის დოქტორანტ ვახტანგ ჭარაიასა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების: ნინო ტოპეშაშვილის, დეა ტვილდიანისა და მიხეილ ჯორჯიაშვილის ავტორობითა და ორგანიზებით ხორციელდება.

„პროექტის იდეა ვახტანგ ჭარაიას ბიზნეს სიმულაციური თამაშის გაცნობის შემდეგ გაჩნდა. დავუკავშირდით პრივატბანკს და მუშაობას შევუდექით. ბანკში სასიამოვნო გარემო და კეთილგანწყობილი მენეჯერები დაგვხვდნენ. საბურთალოს სერვის–ცენტრის მმართველმა ანა ტატიშვილმა პროექტი ბანკის ხელმძღვანელობას გააცნო და თანამშრომლობაც შედგა. ბანკის მხარდაჭერის შემდეგ, თამაში უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს აკაკი ხელაძეს გავაცანით, რომელმაც პროექტი მოგვიწონა და სრული დახმარება აღგვითქვა. ასე შედგა თანამშრომლობა თსუ-სა და პრივატბანკს შორის", — აღნიშნა პროექტის ერთერთმა ორგანიზატორმა ნინო ტოპეშაშვილმა.

პროექტის პირველი ეტაპი 24 მაისს უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში გაიხსნა. ცერემონიას ესწრებოდნენ: თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი უჩა გოგიშვილი, პრივატბანკის წარმომადგენლები: დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზურა მაისურაძე, კადრების სწავლის და განვითარების წამყვანი სპეციალისტი ელენა კუტანიძე, საბურთალოს სერვის-ცენტრის მმართველი ანა ტატიშვილი, რეკლამისა და მარკეტინგის დეპარტამენტის წარმომადგენელი მარი აბდალაძე და სხვები.

პროექტი „გახდი ერთი დღით პრივატბანკის დირექტორი" 3 ეტაპისგან შედგება. პირველ ეტაპზე მონაწილეობა მიიღო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 36–მა სტუდენტმა. ისინი 7 გუნდად დაიყვნენ და ბიზნეს სიმულაციურ თამაშში ჩაერთვნენ. გამოვლინდა 7 აქტიური მონაწილე და გამარჯვებული გუნდი, რომელიც 5 წევრისგან შედგებოდა. მეორე ეტაპზე სულ 12 სტუდენტი გადავიდა. ისინი პრივატბანკისგან სპეციალურად შერჩეულ დავალებას შეასრულებენ.

მესამე ეტაპზე გადავა 5 მონაწილე. ფინალისტები „პრივატბანკის" დავალებას შეასრულებენ. გამარჯვებულს სპეციალურად შერჩეული ჟიური გამოავლენს, რომელიც ერთ სამუშაო დღეს „პრივატბანკის" დირექტორთან ერთად გაატარებს, ხოლო ყველა ფინალისტი ბანკში სტაჟირებას გაივლის. დანარჩენ მონაწილეებს კი „პრივატბანკში" ტრენინგები ჩაუტარდებათ.

„პროექტი საინტერესო და ინოვაციურია. პროექტის იდეა სტუდენტებს ეკუთვნით და ორგანიზატორებიც ისინი არიან. ჩვენ მივესალმებით ყველა სტუდენტურ ინიციატივას, რომელიც სწავლების ხარისხის ამაღლებასა და სტუდენტთა დასაქმებას შეუწყობს ხელს", — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა მადლობა გადაუხადა პრივატბანკის ხელმძღვანელობას პროექტის მხარდაჭერისთვის.

ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზურა მაისურაძემ პროექტის მონაწილეებს აქტიურობისკენ მოუწოდა და წარმატებები უსურვა.

თამარ დადიანი

„კორპუსული რევოლუციის“ აუცილებლობა ლექსიკოგრაფიაში

მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი

დღეს ქართული ენა ახალი გამოწვევების წინაშე დგას. გახსნილი ინტერნეტ-სივრცე და უცხოეთთან ინტენსიური კომუნიკაცია ენაში ბარბარიზმების შემოჭრას უწყობს ხელს. ახალგაზრდების სამეტყველო ლექსიკაში აქტიურად იმკვიდრებს ადგილს სლენგი და ანგლიციზმები. უცხო სიტყვებს და ტერმინებს მედიის წარმომადგენლებისგანაც ხშირად გაიგონებთ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანის ქართული შესატყვისი არსებობს. რიგ შემთხვევებში კი უცხოური ტერმინები არასწორი დატვირთვითაც გამოიყენება.

ენათმეცნიერები და ლექსიკოგრაფები პრობლემის საფუძველს სასწავლო პროცესში ქართული ენის განმარტებითი და ორენოვანი ლექსიკონების პასიურ გამოყენებაში ხედავენ. ასევე აღნიშნავენ, რომ დიდი ხნის განმავლობაში ლექსიკოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დარგის, იგნორირებამ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ევროპული სტანდარტების ლექსიკონების დეფიციტი გამოიწვია, რამაც ქართული ენის ლექსიკასა და უცხო ენების ხარისხიან სწავლებაზე უარყოფითი გავლენა იქონია.

ნატო ოგოლაძე

მაია ტორაძე

ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარებისთვის აუცილებელი საკითხების განსახილველად მიმდინარე წლის 18 მაისს ბათუმში ლექსიკოგრაფების II საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა. სამეცნიერო ფორუმს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო ცენტრების წამყვანი მეცნიერები ესწრებოდნენ. სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად იტალიის, გერმანიის, ჰოლანდიის, ისრაელის, შვედეთის, პორტუგალიის, ლატვიის, რუსეთის და უკრაინის ცნობილი ლექსიკოგრაფები ჩამოვიდნენ. მათ შორის იყვნენ ჰოლანდიის ფრიზული აკადემიის წარმომადგენელი ანე დეიკსტრა, ტურინის უნივერსიტეტის პროფესორი კარლა მარელო, მაინის ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორი იოსტ გიპერტი და სხვები.

ქართველმა სპეციალისტებმა უცხოელ კოლეგებთან ერთად იმსჯელეს ლექსიკოგრაფიის ეროვნული პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესახებ, განიხილეს ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიისა და ახალი ტიპის ლექსიკონების დანერგვის საკითხები, ისაუბრეს საქართველოში ელექტრონული ლექსიკონების გამოყენების პერსპექტივებზე. ღონისძიებაზე, ასევე, მოეწყო ბოლო წლებში შექმნილი ლექსიკონებისა და ლექსიკოგრაფიული პროექტების პრეზენტაციებიც.

„სასიამოვნოა, რომ სიმპოზიუმში მონაწილეობდა უამრავი ადამიანი, რომლებიც მსგავს თემატიკასა და პრობლემატიკაზე მუშაობენ. მათ შორის აღსანიშნავია ქალბატონი თინათინ მარგალიტაძე, რომელიც ძალიან აქტიურად იღვწის საქართველოში ლექსიკოგრაფიის განვითარებისთვის. შთამბეჭდავია ელექტრონული ლექსიკონების უხვად წარმოდგენილი მაგალითები და თანამედროვე ლექსიკოგრაფიული კვლევები, რომლებიც აქ ტარდება. ამ სიმპოზიუმში მონაწილეობით დიდი სიამოვნება მივიღე,“ — განაცხადა ჰოლანდიის ფრიზული აკადემიის წარმომადგენელმა ანე დეიკსტრამ.

II საერთაშორისო სიმპოზიუმზე ლექსიკოგრაფიაში 5 თემატური სექცია მუშაობდა: „დასრულებული და მიმდინარე ლექსიკოგრაფიული პროექტები“, „დარგობრივი ტერმინოლოგია და სპეციალური ენები, ლექსიკოგრაფიის ისტორია“, „ლექსიკოგრაფია და თანამედროვე ტექნოლოგიები“, „ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ლექსიკოლოგიური პრობლემატიკა“ და „ლექსიკონთა აგების პრინციპები, სალექსიკონო ერთეულის პრობლემა და ლექსიკოგრაფია ენების სწავლებისათვის“. მრგვალი მაგიდის ფორმატში ლექსიკოგრაფებმა ქართული ეროვნული დიაქრონიული კორპუსის შექმნის აუცილებლობის შესახებაც იმსჯელეს.

ლექსიკოგრაფების II საერთაშორისო სიმპოზიუმი თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრის, თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ სიმპოზიუმზე ქართული ლექსიკოგრაფიის სამი ყველაზე აქტუალური საკითხი დაისვა: ეროვნული კორპუსის შექმნა, ქართული ტერმინთშემოქმედების განვითარება და აკადემიური ლექსიკონების გამოყენების საკითხი უცხო ენების შესწავლის დროს. საერთაშორისო ფორუმზე აღნიშნული პრობლემების მოგვარების თემაზე აქტიური დისკუსიები მიმდინარეობდა.

ახალი ლექსიკონებისა და ლექსიკოგრაფიული პროექტების პრეზენტაცია

II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში 3 დღის განმავლობაში გაგრძელდა და ყველა იმ ელექტრონული თუ ბეჭდური ლექსიკონების პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მომზადდა. მათ შორის არის როგორც ორენოვანი, ასევე განმარტებითი ლექსიკონებიც. მაგალითად: იამზე გაგუას (თსუ) „ლათინური ენის მორფემათა ლექსიკონი“, რომელიც 2011 წელს გამოიცა; თამარ ვაშაკიძის (თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი) „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“; ნინო ფიცხელაურის (თსუ) „გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული თეოლოგიური ლექსიკონი“; მარინე ფუთურიძის (თსუ) „ილუსტრირებული არქეოლოგიური ინლაინ-ლექსიკონის ვერსია“; მაკა ქამუშაძის (თსუ) „ახალბერძნულ-ქართული ლექსიკონი“; დამანა მელიქიშვილის (თსუ) „ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი“; ავთანდილ არაბულის, რატი სხირტლაძის, ლევან ვაშაკიძის (თსუ-ის არნოლად ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი) „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ელექტრონული ვერსია.

თსუ-ის ლექსიკოგრაფიულმა ცენტრმა სიმპოზიუმის პლენარულ სხდომებზე სამი მოხსენება წარადგინა: „ეკვივალენტობის პრობლემის

სიმპოზიუმზე ქართული ლექსიკოგრაფიის სამი ყველაზე აქტუალური საკითხი დაისვა: ეროვნული კორპუსის შექმნა, ქართული ტერმინთშემოქმედების განვითარება და აკადემიური ლექსიკონების გამოყენების საკითხი უცხო ენების შესწავლის დროს.

გადაჭრის გზები დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში“ (თინათინ მარგალიტაძე), რომელშიც ავტორმა წარმოაჩინა ის სიახლე, რაც ინგლისურ-ქართული ლექსიკონის გუნდმა დანერგა ინგლისურ-ქართულ ლექსიკოგრაფიაში; „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი – ორენოვანი ევროპულ-ქართული ლექსიკონების საფუძველი“ (თინათინ მარგალიტაძე, გიორგი მელაძე) და „ორენოვანი ლექსიკონების მნიშვნელობა უცხო ენების სწავლისა და სწავლებისათვის“ (გიორგი მელაძე), რომელშიც საკითხის თეორიული ასპექტები იყო გაშუქებული.

„თანამედროვე კომუნიკაციის ეპოქაში ლექსიკოგრაფია ნამდვილად არის ამ პროცესის ავანგარდი. დღეს არაფერი წყდება ლექსიკოგრაფიის გარეშე. სიმპოზიუმმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ამ მიმართულებით არაერთი სერიოზული პროექტი მუშავდება, მაგრამ ამავე დროს გვიჩვენებს იმასაც, რომ ჩვენს ქვეყანაში ლექსიკოგრაფია საკმაოდ ჩამორჩენილია. ეს შეეხება როგორც ტრადიციულ აკადემიურ ლექსიკონებს, რომლების განახლებული ვარიანტები მხოლოდ ახლა კეთდება, ასევე, ელექტრონულ კორპუსებსა და ელექტრონულ ლექსიკონებს.ამ ლექსიკონების წარმოება მთელი ინდუსტრიაა და მას სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდება. რა პრობლემა გვაქვს ჩვენ? პირველი — ამ დარგში მომუშავე სპეციალისტების ანაზღაურება ძალიან მცირეა, მეორე — შექმნილია კადრების უზარმაზარი დეფიციტი, რადგან დარგის არაპრესტიჟულობისა და არაპრიორიტეტულობის გამო ახალგაზრდები ლექსიკოლოგიაში სამუშაოდ აღარ მოდიან. მესამე პრობლემა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების უმაღლეს სასწავლებლებთან გაერთიანებას უკავშირდება. უნივერსიტეტები თავისი ახლანდელი სტატუსისა და ბიუჯეტის შეზღუდულობის გამო არ აღმოჩნდნენ მზად უკეთესი პირობები შეექმნათ კვლევითი ინსტიტუტებისთვის. ასევე იკლო ლექსიკონებზე მოთხოვნამ, რაც ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონის შედეგია. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 500 ეგზემპლარად დაიბეჭდა და ჯერ ნახევარიც არ გაყიდულა. წარმოუდგენელია უნივერსიტეტი და სკოლა განმარტებითი ლექსიკონის გარეშე, საქართველოში კი ასობით სკოლაა. როდესაც მოთხოვნა არ არის, სტიმულიც ნაკლებია. ეს სიმპოზიუმი ორ წელიწადში ერთხელ იმართება. პირველ სიმპოზიუმზე ჩვენ მივიღეთ მიმართვა, რამაც გარკვეული შედეგი გამოიღო — შეიქმნა სახელმწიფო ლექსიკოგრაფიული კომისია. ახლაც გვაქვს წინადადებები და ვნახოთ, ამჯერად რა იქნება,“ — განაცხადა თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ არაბულმა.

აღსანიშნავია თსუ-ის პროფესორების ნაირა ბეპიევისა და ნინო პოპიაშვილის მიერ შედგენილი ქარული-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონები. ეს არის ქართველი და ოსი ხალხების ისტორიაში მსგავსი მასშტაბის ლექსიკონის გამოცემის პირველი შემთხვევა. ნაშრომის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ოსმა აკადემიკოსმა ნაფი ჯუსოითმა, მთარგმნელმა და მწერალმა მერი ცხოვრებოვმა. პირველ ქართულ-ოსურ და ოსურ-ქართულ ლექსიკონში 50 000 სიტყვა-სტატია არის შესული.

„აქ წარმოვადგინეთ ბეჭდური ლექსიკონი, მაგრამ დაინტერესებულ პირებს მისი ელექტრონული ვერსიის ნახვა ინტერნეტშიც შეუძლიათ. ამ გამოცემის მომზადების იდეა დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა და საბოლოოდ 2011 ნელს განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანიც ქართველ და ოს მეცნიერებს შორის ნდობის აღდგენა გახლდათ. მუშაობა გასული წლის მარტის თვიდან დავიწყეთ და დღეს ჩვენ უკვე გვაქვს თანამედროვე ლექსიკოგრაფიული ტენდენციების გათვალისწინებით შედგენილი ლექსიკონი. გამოცემაში განმარტებული გვაქვს სხვადასხვა სახის ტექნიკური კატეგორიები, ბიოლოგიური, ქიმიური ტერმინები. ლექსიკონს დართული აქვს ქართული ენის გრამატიკული ნარკვევი, რომელიც სპეციალურად ამ გამოცემისთვის აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა შექმნა. ეს ლექსიკონი ჩვენ ცხინვალშიც და ვლადიკავკაზშიც მივაწოდეთ, რასაც ძალიან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. ენა ცოცხალი ორგანიზმია და ის მუდმივად განიცდის ცვლილებებს, ამიტომ ვაპირებთ ლექსიკონზე მუშაობა მომავალშიც გავაგრძელოთ“, — განაცხადა თსუ-ის პროფესორმა ნინო პოპიაშვილმა.

სიმპოზიუმზე ქართველ ლექსიკოგრაფებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ უცხოელი კოლეგების საქმიანობასაც. მაგალითად, ჰოლანდიის ფრიზული აკადემიის წარმომადგენელმა ანე დეიკსტრამ მოხსენება თანამედროვე დასავლურ-ფრიზული ლექსიკოგრაფიის შესახებ წარმოადგინა, სანქტ-პეტერბურგის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებმა ლუდმილა კრიგლიკოვამ დანასტასია შიმორინამ კი რუსული ენის ახალი აკადემიური ლექსიკონის შესახებ ისაუბრეს, რომლის გამოცემაც 2004 წლიდან დაიწყო, უკვე 19 ტომია გამოცემული.

სიმპოზიუმზე შეკრებილ საზოგადოებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ქართული ენის სამმართველოს უფროსმა მარიკა ოძელმა წარმოუდგინა პრეზენტაცია „ქართულის, როგორც უცხო ენის სტანდარტი“. სტანდარტი შედგება 7 ბლოკისაგან: ქართული, როგორც უცხო ენა, ენის ფლობის 6 დონე, სამეტყველო საშუალებები, გრამატიკა, ტექსტები, სტრატეგიები. საქართველოს განათლების სისტემაში სტანდარტი ელექტრონული სახით პირველადაა წარმოდგენილი, მისი მობილური პროგრამა საშუალებას იძლევა, რომ დიდი ენობრივი და სოციოკულტურული ინფორმაცია, რომელსაც იგი შეიცავს, ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული და მარტივად მოხდეს ერთი ინფორმაციიდან მეორეზე გადასვლა.

ქართული ენის ეროვნული კორპუსის შექმნის ინიციატივა

XX საუკუნის ბოლოდან მსოფლიოს ყველა განვითარებულ სახელმწიფოებში დაიწყო ეროვნული კორპუსების შექმნის ტენდენცია. ელექტრონულ კორპუსებში (დიაქრონიული, ლინგვისტური და ა.შ.) თავსდება ერის ენობრივი მემკვიდრეობა, მისი ისტორიის მანძილზე შექმნილი ყველა სახის ლიტერატურული ნაწარმოები, სამეცნიერო და სხვა სახის ნაშრომები. შედეგად კი იქმნება ეროვნული კორპუსი, რომელიც ლექსიკოგრაფიულ მუშაობასა და ზოგადად, ენის განვითარების კვლევას უწყობს ხელს.

დღეს ქართველი ლექსიკოგრაფების მუშაობა, შეიძლება ითქვას, ჩიხში შევიდა, რადგან საქართველოში ეროვნული კორპუსი არ არსებობს. ლექსიკოგრაფთა ბათუმის II საერთაშორისო სიმპოზიუმზე გაიმართა მრგვალი მაგიდა, სადაც სპეციალისტებმა ამ მიმართულებით შექმნილი პრობლემატიკა გააანალიზეს და მისი მოგვარების გზები დასახეს. გადაწყდა სპეციალური მიმართვის მიღება, რომელიც საქართველოს მთავრობასა და სამეცნიერო საზოგადოებას გადაეგზავნება. მიმართვაში დარგის განვითარებისთვის ხელისშემშლელი პრობლემებია დასმული და ქართული ენის ეროვნული კორპუსის შექმნის აუცილებლობაზეა საუბარი.

„ჩვენს სიმპოზიუმზე პრიორიტეტულ პრობლემად გამოიკვეთა საქართველოში ელექტრონული კორპუსების შექმნა და მისი გამოყენების პერსპექტივა ქართულ ლექსიკოგრაფიაში და ენების კვლევაში. მინდა გითხრათ, რომ ქართული ლექსიკოგრაფია, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოექცევა ჩიხში თუ ასეთი რესურსი არ შეიქმნა. ჩვენ უნივერსიტეტში ხელს შევუწყობთ დარგის განვითარებას, მაგრამ ქართული ენის ეროვნული კორპუსი იმდენად დიდი და რთული საქმეა, რომ ამას ცალკე აღებული არც ერთი ინსტიტუცია და უნივერსიტეტი არ ეყოფა. ამ იდეის ირგვლივ მთელი საქართველო უნდა გაერთიანდეს,“ — განაცხადა თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელმა თინათინ მარგალიტაძემ.

როგორც სიმპოზიუმზე განაცხადეს, ეროვნული კორპუსის შექმნას მეცნიერების კოორდინირებული მუშაობა და აქტიური სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდება. ქართული ენაზე შექმნილი ნერილობითი ძეგლების, მხატვრული ლიტერატურის, სამეცნიერო ტექსტების და ა.შ. ერთ ბაზაში მოქცევა, სპეციალისტების ცოდნის გარდა, დიდ ფინანსურ რესურსებსაც მოითხოვს.

„კონფერენციის მსვლელობამ პრაქტიკულად ლოგიკურად მიგვიყვანა იმ იდეამდე, რომ ლექსიკოგრაფიის წამყვან დარგად ჩამოსაყალიბებლად გვჭირდება ქართული ენის ეროვნული კორპუსის შექმნა. მისი რესურსების გარეშე სრულყოფილი განმარტებითი თუ ორენოვანი ლექსიკონების შედგენა შეუძლებელია. ლექსიკონი მაშინ გამოიყენება, როდესაც ის ენის სრულყოფილ რეესტრს ასახავს. ენის ეროვნული კორპუსი — ეს არის ცივილიზებული ერის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი, ისეთივე, როგორიცაა დროშა, ჰიმნი და ასე შემდეგ,“ — აღნიშნა ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორმა, კავკასიური ენების მიმართულებით მანანა თანდაშვილმა.

ქართული ენის ეროვნული კორპუსის შესაქმნელად მხარდაჭერა გამოთქვა მაინის ფრნაკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორმა იოსტ გიპერტმა. მან სიმპოზიუმზე ნაშრომიც წარმოადგინა სახელწოდებით „დიაქრონიული ეროვნული კორპუსის საფუძვლები“. მოხსენებაში საუბარი იყო მთელ რიგ საკითხებზე, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ დიაქრონიული ეროვნული კორპუსის შედგენისათვის და რომლებიც ლექსიკოგრაფიული კვლევებისთვის მნიშვნელოვანი საფუძველია. იოსტ გიპერტმა ისაუბრა „სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის“ ამჟამად შემუშავების პროცესში მყოფ ენობივი კოდების სტანდარტის შესახებაც.

მე-11 გვერდზე

„კორპუსული რევოლუციის“ აუცილებლობა ლექსიკოგრაფიაში

მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი

მეათე გვერდიდან

„თანამედროვე ლექსიკოგრაფიის საფუძველი ელექტრონული კორპუსების შექმნაა. ეს ძალიან ძნელია საქმეა, რადგან დიაქრონიული კორპუსი ნიშნავს, რომ ძველი და თანამედროვე ლიტერატურული ტექსტები მასში უნდა გაერთიანდეს. ჩემს პრეზენტაციაში იყო ერთი სიტყვა, რომელიც არ არსებობს ახალ ქართულ ენაში. ის არსებობდა მხოლოდ V-IX საუკუნეებში. ეს სიტყვა გახლავთ „კომსი“. იგი აღნიშნავდა პერსონაჟს, რომელიც მეფესთან მუშაობდა. ქართული ენის ეროვნულ კორპუსში უნდა შევიდეს ის სიტყვებიც, რომლებიც იყო ძველ ქართულში და ამჟამად აღარ გამოიყენება“, — განაცხადა იოსტ გიპერტმა.

სიმპოზიუმზე ეროვნული კორპუსის შექმნისა და მისი გამოყენების შესახებ ისაუბრა უკრაინული ენის ინსტიტუტის თანამშრომელმა დიმიტრი სიჭინავამაც. მან ქართველ ლექსიკოგრაფებსა და ენათმეცნიერებს დიაქრონიული კორპუსის შედგენის პროცესში თანამშრომლობაც შესთავაზა.

„ძალიან მიხარია, რომ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა ასე ბევრი ლექსიკოგრაფია. სიმპოზიუმზე სხვადასხვა დარგის ლექსიკონების შესახებ მოვისმინეთ მოხსენებები. ჩატარდა მრგვალი მაგიდა ქართული ენის ეროვნული კორპუსის შესახებ. დღეს ლექსიკონების შექმნა ელექტრონული კორპუსების გარეშე აღარ შეიძლება და ძალიან კარგია, რომ საქართველოში ამ მხრივ მუშაობა დაიწყება. ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში ვეცდები კონსულტაციები გავუწიო ქართველ კოლეგებს. ასევე მიხარია, რომ სახელმწიფო ლექსიკოგრაფიის დარგის განვითარებისთვის სახსრებს პოულობს. ვიცი, რომ შექმნილია სახელმწიფო კომისია, რომელიც სამეცნიერო დონეზე მუშაობს, “ — გვითხრა დიმიტრი სიჭინავამ.

სიმპოზიუმზე ელექტრონული კორპუსებისა და მასზე დაყრდნობით ლექსიკოგრაფიის დარგის განვითარების შესახებ მოხსენება წარმოადგინეს თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა მარინა ბერიძემ, ლიანა ლორთქიფანიძემ და დავით ნადარაიამ. მათ ინსტიტუტში შექმნილი ქართული დიალექტური კორპუსი წარმოადგინეს, რომელიც ორი სახის ლექსიკოგრაფიულ ინფორმაციას მოიცავს: არსებულ დიალექტურ ლექსიკონებს და ლექსიკურ მასალას.

კონფერენციის მსვლელობამ პრაქტიკულად ლოგიკურად მიგვიყვანა იმ იდეამდე, რომ ლექსიკოგრაფიის წამყვან დარგად ჩამოსაყალიბებლად გვჭირდება ქართული ენის ეროვნული კორპუსის შექმნა. მისი რესურსების გარეშე სრულყოფილი განმარტებითი თუ ორენოვანი ლექსიკონების შედგენა შეუძლებელია. ლექსიკონი მაშინ გამოიყენება, როდესაც ის ენის სრულყოფილ რეესტრს ასახავს. ენის ეროვნული კორპუსი — ეს არის ცივილიზებული ერის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი, ისეთივე, როგორიცაა დროშა, ჰიმნი და ასე შემდეგ

ქართული ტერმინთშემოქმედების განვითარება

საქართველოში ტერმინების შექმნის პროცესი 20-ე საუკუნის 20-იანი წლებიდან მიმდინარეობს. დღევანდელ დღეს ეს პროცესი ემყარება უკვე არსებულ, შემუშავებულ პრინციპებს. უცხო ქვეყნებთან კონტაქტებმა მრავალი ახალი ცნება და შესაბამისი ტერმინი დაამკვიდრა. ახლად დამკვიდრებული ტერმინები გაფორმების სიჭრელით გამოირჩევა და ქაოსურად მკვიდრდება. ტერმინთა შემოჭრის ახალი ტალღა კი, ძირითადად, ინგლისურ ტერმინებს ეყრდნობა.

„ქართული ტერმინთშემოქმედება, ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა. საქართველოში ძალიან აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა ამ კუთხით, იქმნებოდა ქართული ტერმინოლოგია, მუშაობდა სახელმწიფო ტერმინოლოგიური კომისია. ჩვენი სიმპოზიუმის მიმდინარეობისას გამოიკვეთა აუცილებლობა, რომ ამ კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა აღადგინოს მუშაობა. ქართული ტერმინთშემოქმედება უნდა გაგრძელდეს, გადაისინჯოს ის მეთოდები, რომლითაც ყალიბდებოდა ქართული ტერმინები და შევიმუშაოთ ახალი რეკომენდაციებიც. საქართველოში სხვადასხვა დარგის ტერმინების შექმნა აუცილებელია“, — ეს განცხადება თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელმა თინათინ მარგალიტაძემ ლექსიკოგრაფების II სიმპოზიუმზე გააკეთა. ქართული ტერმინითშემოქმედების პრობლემა, მეცნიერების საერთაშორისო ფორუმზე დასმული მეორე ყველაზე აქტუალური პრობლემა გახლავთ. ამ საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობდა სექციაში „დარგობრივი ტერმინოლოგია და სპეციალური ენები, ლექსიკოგრაფიის ისტორია“. საინტერესო გახლდათ თინათინ ბელიაშვილის (თსუ) მოხსენება — „ანგლიციზმები თანამედროვე მედიადისკურსში“; ციცინო კვანტალიანის და რუსუდან ლანდიას (თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი) — „ზმნური კომპონენტი ტერმინოლოგიურ ლექსიკაში „შინამრეწველობის მასალების“ მიხედვით“; ნათელა მუზაშვილის და ინგა ჯიბუტის (არნოლდ ჩიქობავას სახლობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი) — „ტერმინოლოგიური სიტყვათწარმოებისათვის“; მერი ციცაძისა და მაია ბარამიძის (შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი) — „სიტყვათა მყარი შეხამებანი ქართული პრესის ენაში“ და ა.შ.

„საქართველოში, სამწუხაროდ, ტერმინოლოგიური მუშაობა არ არის კოორდინირებული, რაც ძალიან ცუდ შედეგებს გვაძლევს. ყველა სახელმძღვანელოში სხვადასხვა ტერმინი გვხვდება ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავად. ამის შესახებ ბევრი ლაპარაკობს და აღნიშნავს. უკვე ყველა დარგის წარმომადგენლებს აწუხებთ, ერთი მხრივ, ტერმინოლოგიის სიჭრელე და მეორე მხრივ, ინგლისურენოვანი ტერმინების საოცარი მოჭარბება. ამ ტერმინის გამომყენებელი ძალიან ხშირად არ იაზრებს, რომ ამის შესატყვისი ქართული სიტყვა გვაქვს. უპირველესად აუცილებელია აღდგეს ტერმინთშემოქმედებაზე კოორდინირებული მუშაობა. არ შეიძლება ერთი დარგის ტერმინოლოგიას რამდენიმე ჯგუფი აკეთებდეს ისე, რომ ერთმანეთის შესახებ არ იცოდნენ“, — აღნიშნა თსუ-ის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა, ენათმეცნიერების მეცნიერებათა დოქტორმა ლია ქაროსანიძემ.

ქართული ტერმინთშემოქმედების საკითხი ქართველი ლექსიკოგრაფების მიმართვაში სასწავლო დანიშნულების ლექსიკოგრაფიის განვითარების პრობლემასთან ერთად აისახა.

ლექსიკოგრაფთა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის მიმართვა საქართველოს მთავრობისა და აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლებს უახლოეს მომავალში გადაეგზავნებათ. მიმართვის ავტორები, დოკუმენტში ასახულ საკითხებზე მუშაობის დაწყების შემთხვევაში, ისეთი აქტუალური პრობლემების მოგვარებასაც ვარაუდობენ, როგორიცაა ახალგაზრდების მეტყველებაში ბარბარიზმების გამოყენების შემცირება, მშობლიური და უცხო ენების უკეთ შესწავლა, მედიის წარმომადგენლების ლექსიკის დახვეწა და ა.შ.

„სიმპოზიუმმა ძალიან მაღალ დონეზე ჩაიარა. მე მიხარია, რომ ჩვენი ევროპელი კოლეგებიც ასე აფასებენ საერთაშორისო ფორუმს. ჩვენ მივიღეთ ქართველი ლექსიკოგრაფების მეორე მიმართვა, სადაც შეჯამებულია ის პრიორიტეტები, რაც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა. ეს გახლავთ ქართული ტერმინთშემოქმედება, ქართული ენის ნაციონალური კორპუსის შექმნა და აკადემიური ლექსიკონების ენების სწავლებისათვის აქტიური გამოყენება. ლექსიკოგრაფიის, როგორც დარგის, იგნორირებამ ბევრი რამ გააფუჭა, უპირველესად კი უცხო ენების შესწავლის საკითხი და ასევე მშობლიური ენისაც. ჩვენმა ახალგაზრდებისთვის უცხოა რუსული ენა, არ იციან კარგად ინგლისური ან რომელიმე სხვა ევროპული ენა, რომელიც ამ დანაკლისს შეუვსებს. მათ ასევე არ იციან ლექსიკონების გამოყენებაც. ამ პრობლემას მე პირადად ვაწყდები სკოლებში, როდესაც მასწავლებლებთან ვატარებ ტრენინგებს. ჩვენს რეკომენდაციებს ამ პრობლემების მოსაგვარებლად ლექსიკოგრაფიის სახელმწიფო კომისიას გადავცემთ,“ — აღნიშნა თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელმა თინათინ მარგალიტაძემ.

II საერთაშორისო სიმპოზიუმზე ლექსიკოგრაფიაში ქართველ ლექსიკოგრაფთა ასოციაციის ჩამოყალიბების იდეაც გაჟღერდა. ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი თინათინ მარგალიტაძის, ავთანდილ არაბულისა და იოსტ გიპერტის შემადგენლობით. უკვე ცნობილია, რომ ქართველ ლექსიკოგრაფთა ასოციაციას ექნება თავისი ვებ-გვერდი, სადაც ქართული ლექსიკოგრაფიის სიახლეების, ახალი ლექსიკონების შესახებ ინფორმაცია დაიდება. ასევე, გამოქვეყნდება ლექსიკოგრაფიის თემაზე შესრულებული ნაშრომები. გაიმართება სამუშაო შეხვედრები და მასტერკლასები ახალგაზრდა მკვლევრებისთვის.

ლექსიკოგრაფთა II საერთაშორისო სიმპოზიუმის მიმართვა

„ლექსიკოგრაფების გათუმის II საერთაშორისო სიმპოზიუმზე სამი მტკივნეული პრობლემა გამოიკვეთა:

- აუცილებლობა ქართული ეროვნული კორპუსის შექმნისა, რის გარეშეც შეუძლებელია ქართული ენის ფუნქციონირების უზრუნველყოფა თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაბამისად;
- თანამედროვე ტერმინოლოგიური და ნორმატიული სამუშაოების სათანადო ორგანიზება და წარმართვა;
- სასწავლო დანიშნულების ლექსიკოგრაფიის განვითარება და აკადემიური ლექსიკონების გამოყენება სასწავლო პროცესში.

სიმპოზიუმის მონაწილეები კიდევ ერთხელ შეახსენებენ საზოგადოებას, რომ ენა ეროვნული კულტურის ფუნდამენტური ღირებულებაა.

დღეს ჩვენი ენა ახალი გამოწვევების წინაშე დგას.

ჯერ კიდევ ორი წლის წინ გათუმში, ლექსიკოგრაფთა პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე ცხადად გამოიკვეთა ეროვნული კორპუსების მომზადების მნიშვნელობა არა მხოლოდ ლექსიკოგრაფიის, არამედ ლინგვისტიკის ყველა სხვა დარგისთვის.

ლექსიკოგრაფთა რიგით მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მეცნიერთა სულ უფრო დიდი ნაწილი სისხლხორცეულად უკავშირებს თავის მომავალ სამუშაოს ტექსტურ კორპუსებს, აღიარებს „კორპუსული რევოლუციის“ აუცილებლობას. „ქართული ეროვნული კორპუსის“ იდეა არ არის მხოლოდ ლინგვისტური პრიორიტეტი — ის ქართული ენის სრულფასოვანი განვითარების გარანტიაა.

სიმპოზიუმის მონაწილენი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ლექსიკოგრაფიის კომისიის შექმნის შესახებ და იმედს გამოთქვამენ, რომ ასეთსავე სახელმწიფო მხარდაჭერას მოიპოვებს ქართული ენის ეროვნული კორპუსის შექმნის იდეა, აღდგება ტერმინოლოგიური ნორმირების ინსტიტუციური სახელმწიფო მხარდაჭერა.

სახელმწიფო ნებამ უნდა გააერთიანოს ამ პრობლემაზე მომუშავე ყველა სამეცნიერო ჯგუფი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.“

ეთნოლოგიური ცოდნა

დღეს აღარავის აეჭვებს, რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის ისეთი მრავალმხრივი დარგის შესწავლა, როგორიც ეთნოლოგიაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესვეურებს ეს იმთავითვე კარდად ჰქონდათ გააზრებული და ამ დარგის განვითარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ეთნოლოგიის კათედრა, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო ერთეული, უნივერსიტეტში 1939 წლიდან არსებობს. აქ ეთნოლოგთა მთელი თაობები აღიზარდნენ. ეთნოლოგიის კათედრაზე მოღვაწეობდნენ ისეთი გამოჩენილი ეთნოლოგები, როგორიც იყვნენ — ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი გიორგი ჩიტაია, ეთნო – ეკოლოგიური მიმართულების ფუძემდებელი მიხეილ გეგეშიძე, გერცელ ჩაჩაშვილი, ანდრო ლეკიაშვილი, ვახტანგ შამილაძე, სოსო ჭანტურიშვილი და სხვები.

თსუ-ის ეთნოლოგიის ინსტიტუტი დღეისთვის მთელ რიგ ეთნოლოგიურ პრობლემებზე მუშაობს, რომელთა სპექტრიც საკმაოდ ფართოა. კერძოდ: ზოგად თეორიული პრობლემები, როგორიცაა ეთნოლოგიური კვლევისა და სწავლების მეთოდიკა, რელიგიის ანთროპოლოგიური კვლევის საკითხები, იდენტობის პრობლემა, ეთნოლოგიის თეორიული საკითხები, ჩვეულებითი სამართლის საკითხები, ეთნოლოგიური მუზეუმოლოგიის საკითხები, რეგიონალური ეთნოლოგიური საკითხები, როგორიცაა საქართველოს მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესები, სხვადასხვა ეთნიკურ ერთეულთა საქართველოში დასახლებისა და ქართველებთან მათი ურთიერთობის პრობლემები, ოსთა მიგრაცია საქართველოში და ქართულ-ოსური კულტურულ-ისტორიული საკითხები, ქართული გვარ-სახელების ისტორიულ-ეთნოლოგიური ასპექტები, ქართველთა ეთნიკური ისტორია, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფები, კავკასიის ეთნოლოგიის საკითხები, ტრადიციული ქართული მატერიალური, სულიერი და სოციალური კულტურის საკითხები, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თურქეთის რესპუბლიკის ეთნიკურ ქართველთა ტრადიციული ყოფისა და კულტურის საკითხები.

ეთნოლოგიის ინსტიტუტში განხორციელებული პროექტებისა და სწავლების მეთოდიკაზე ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ქეთევან ხუციშვილი *გვესაუბრება:*

— 2007 წლიდან თსუ-ის ეთნოლოგიის ინსტიტუტში მრავალი საინტერესო პროექტი განხორციელდა, ყოველწლიურად ტარდება რამდენიმე სამეცნიერო კონფერენცია, მათ შორის აღსანიშნავია: კონფერენცია „ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება?!”, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობდა დისკუსია ეთნოლოგიის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესახებ. ასევე გამოვყოფდი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას: „ეთნოგრაფიული აჭარა”, სტუდენტთა II ინტერდისციპლინარულ კონფერენციას: „ტრადიცია და თანამედროვეობა”, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის დეპარტამენტისა და ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას: „ვერა ბარდაველიძე – 110”, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის დეპარტამენტისა და ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ერთობლივ სემინარს: „ურბანული ცენტრები კავკასიაში: დედაქალაქების ტრანსფორმაცია“, ეს სემინარი უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა, იმ მხრივაც, რომ ქართულ ეთნოლოგიურ სივრცეში დაიწყო დისკუსია ურბანული ანთროპოლოგიის სფეროში. სემინარში მონაწილეობას იღებდნენ თსუ-ის ეთნოლოგიის მიმართულების სტუდენტებიც. მნიშვნელოვანი იყო, ასევე, საქართვე-

მე-12 გვერდზე

„გეოეკოლოგიური უსაფრთხოების დადგენაც შეგვიძლია“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შემოერთებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის არის საქართველოში ერთერთი ყველაზე ძველი და მდიდარი სამეცნიერო ისტორიის მქონე მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი.

ეს ინსტიტუტი მემკვიდრეა დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორიისა, რომელიც 1844 წელს გაიხსნა. სხვათა შორის, ამ ინსტიტუტში, სანამ რევოლუციურ მოღვაწეობას დაიწყებდა, უმუშავია იოსებ ჯუღაშვილს, რომელიც დაკვირვებების შედეგებს თურმე მაგნიტურ ლენტებზე იწერდა. მისი ხელმოწერილი ლენტები ინსტიტუტში ახლაც შემონახულია.

თავად ინსტიტუტი 1933 წელს დაარსდა. აქ მოღვაწეობდნენ მსოფლიო დონის ქართველი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები: ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ვიქტორ კუპრაძე, ბენო ბალავაძე, მერაბ ალექსიძე და სხვები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს გეოფიზიკური კვლევების განხორციელებაში.

რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს გეოფიზიკის ინსტიტუტი და როგორ მოახერხეს მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრაცია — ამ საკითხებზე გვესაუბრება ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი **თამაზ ჭელიძე**:

თამაზ ჭელიძე

მაია ტორაძე

— ბატონო თამაზ, რა კვლევით არეალს მოიცავს დღეისთვის გეოფიზიკის ინსტიტუტი?

— ამ ინსტიტუტის კვლევების არეალი ძალიან ფართოა — ეს არის დედამიწის სიღრმეები, ოკეანის დინამიკა, ატმოსფეროს ფიზიკა, კოსმოსური კვლევები და სხვა მიმართულებები, რასაც გეოფიზიკა, როგორც მეცნიერება, ეყრდნობა.

პრობლემატიკა, რომელზეც ინსტიტუტი დღეს მუშაობს, ასევე, ბევრის მომცველია. ესენია: საქართველოს ტერიტორიაზე გეოფიზიკური ველების კარტირება და მონიტორინგი; დედამიწის სტრუქტურის, დინამიკისა და ევოლუციის მოდელები; სეისმური საშიშროებისა და რისკის შეფასება და მიწისძვრების პროგნოზი; ზღვისა და ატმოსფეროს დინამიკა და ეკოლოგიური სისტემების მოდელირება; ატმოსფეროს, ღრუბლების და აეროზოლების ფიზიკა, ამინდის მოდიფიკაცია; მზე-დედამიწის კავშირები; საინჟინრო, საძიებო და ეკოლოგიური გეოფიზიკა, არქეოგეოფიზიკა, ჰიდროგეოფიზიკა, დიდი საინჟინრო ობიექტების მონიტორინგი და სხვა.

— რა სამეცნიერო პროექტებს ახორციელებთ ამჟამად?

— ინსტიტუტმა ბოლო 12 წელიწადში 40-მდე საერთაშორისო პროექტი განახორციელა მსოფლიოს სხვადასხვა გეოფიზიკურ ცენტრთან ერთად.

ამჟამად ხორციელდება რამდენიმე პროექტი — ერთი შეეხება მიწისძვრების საშიშროებას შავი ზღვის რეგიონში. ამ პროექტში 12 ქვეყანაა ჩართული და მათ შორის ჩვენც — ვაკეთებთ მაგნიტურ ქსელს და სხვადასხვა დაკვირვებებს მიწისძვრებთან დაკავშირებით. ასევე ხორციელდება პროექტები — მილსადენების სეისმური საშიშროების დაზუსტება და შუა აღმოსავლეთის მიწისძვრების მოდელი, რომელიც ითვალისწინებს სეისმური შეფასების ხელახალ დაზუსტებას. სულ ინსტიტუტში 7 პროექტი ხორციელდება. მათ შორის ერთი პროექტი დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.

— ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამეცნიერო პროექტების გამოყენებით მხარეს. არის თუ არა თქვენს ინსტიტუტში ამგვარი პროექტების განხორციელების პოტენციალი?

— ჩვენ ასეთ პროექტებს ვახორციელებთ სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითად, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ არქეოლოგებთან, ბატონ დავით ლორთქიფანიძესთან და კიაზო ფიცხელაურთან. ჩვენ გვაქვს თანამედროვე ხელსაწყო – გეორადარი, რომლითაც შეგვიძლია დავადგინოთ, რა არის მიწის ქვეშ. ეს ძალიან ხელსაყრელია არქეოლოგებისთვის, რომელთაც წინასწარ ეცოდინებათ, არის თუ არა მათ მიერ მონიშნულ ტერიტორიაზე სამარხი, რომელიც შესაძლოა გაითხაროს.

ასევე შეგვიძლია გეოეკოლოგიური უსაფრთხოების დადგენა. კერძოდ, მშენებლობების წამოწყებისას შეგვიძლია დავადგინოთ, რამდენად მდგრადია სამშენებლო მოედანი ან შენობა მიწისძვრებისა.

დაინტერესებულ პირებს ასევე ვთავაზობთ გეოფიზიკურ კვლევებს, რომელიც მოიცავს შენობების, საავტომობილო გზების, რკინიგზების, ხიდების, მილსადენების, გვირაბების, კაშხლების, მცირე ჰესების და სხვა საინჟინრო ობიექტების სამშენებლო მოედნების გეოლოგიურ-გეოფიზიკური ჭრილების აგებას; მდინარეების ნაპირების კვლევას; წიაღისეული საბადოების ძიებას და მარაგების დადგენას და ა.შ.

ამდენად, ჩვენი ინსტიტუტი არის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომლის სამეცნიერო პოტენციალიც ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში ძალიან ბევრი მიმართულებით შეიძლება იქნას გამოყენებული.

— ერთი წელია გეოფიზიკის ინსტიტუტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში გადმოვიდა. ცხადია, ეს არ არის დიდი დრო იმისთვის, რომ მთლიანი ინტეგრაცია მოხდეს საუნივერსიტეტო სივრცეში, მაგრამ რა შეიცვალა ამ ერთი წლის განმავლობაში? როგორ მიმდინარეობს ინტეგრაციის პროცესი?

— ჩვენ ყველანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოვდივართ და ამიტომ ენთუზიაზმით შევხვდით დადგენილებას უნივერსიტეტთან მიერთების შესახებ. ესეც არ იყოს, კვლევითი ინსტიტუტის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მიერთება მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია და უნივერსიტეტთან ერთად კვლევების განხორციელება და ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალის სასწავლო პროცესში გამოყენება, კარგი შედეგის მომტანი იქნება. თუმცა ეს მაინც საწყისი ეტაპია და ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს დასადგენი და გასაკეთებელი. ჩემი აზრით, ზედმეტად ცენტრალიზებულია ადმინისტრაციული მართვა, რაც ხელს გვიშლის პროექტების განხორციელებაში. ჯერჯერობით არც წესდება გვაქვს, რომლითაც შეიძლება ვიხელმძღვანელოთ.

თუმცა, ვიმეორებ, მხოლოდ საწყისი ეტაპია და ვიმედოვნებთ, რომ წესდებაც იქნება მიღებული და ჩვენს პოტენციალს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესშიც გამოიყენებენ.

ეთნოლოგიური ცოდნა

მეთერთმეტე გვერდიდან

ლოს უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის დეპარტამენტის ერთობლივი საერთაშორისო სემინარი: „თანამედროვე ანთროპოლოგია: პრობლემები და პერსპექტივები“, სადაც ქართველ კოლეგებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ჰარვარდის უნივერსიტეტისა და აარუსის უნივერსიტეტის პროფესორები.

ინსტიტუტში ტრადიციად იქცა ევროპის წამყვანი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მოწვევაც, რომლებიც ქართველი სტუდენტებისთვის საჯარო ლექციებს კითხულობენ. მაგალითად, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის დეპარტამენტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა ორგანიზებით გაიმართა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორების მაიკლ ჰერცფილდისა და ლაურა ადამსის საჯარო ლექციები, რომლებმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ეთნოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა ვარშავის უნივერსიტეტის ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის ინსტიტუტისა პროფესორთა ლექციების ციკლი: „თანამედროვე ანთროპოლოგის პრობლემები და მისი მიმართება სხვა დისციპლინებთან“. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორები ლეხ მროზი, იერჟი ვასილევსკი, ივონა კვალიშევსკა და მაცეი ზაბეკი კითხულობდნენ ლექციებს იდენტობის, გლობალიზაციის, მიგრაციების, რელიგიის საკითხებზე.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის მნიშვნელოვანი იყო ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ჰარვარდის დევისის ცენტრის ცენტრალური აზიისა და კავკასიის პროგრამის დირექტორის ჯონ შობერლაინის ლექციების ციკლი: „პრობლემაზე ორიენტირებული კვლევა და ანთროპოლოგიური მიდგომები სპეციფიკური თემებისადმი“. წელს, სტუდენტებისთვის სალექციო კურსს — „კვლევის თვისებრივი მეთოდები“ სიტლის უნივერსიტეტის დოქტორი მანუჩერ შივა კითხულობს. ასევე დაგეგმილია ამსტერდამის ტავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორ ფრანც უაზა კომპანიენის ლექციათა ციკლი „კულტურის კვლევითი მეთოდოლოგია“.

— როგორც საუბრისას აღნიშნეთ, ინსტიტუტმა რამდენიმე მნიშვნელოვანი გრანტიც მოიპოვა...

— ინსტიტუტმა მოიპოვა ღია საზოგადოების ინსტიტუტის (ბუდაპეშტი) უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის გრანტი სწავლების გაუმჯობესების რეგიონალური სემინარის პროგრამის ფარგლებში: „ანთროპოლოგიური მიდგომები რელიგიისა და სეკულარიზმის მიმართ“ პროექტის ფარგლებში უკვე ჩატარდა 4 სემინარი, 9-19 აგვისტოს დაგეგმილია V საზაფხულო სემინარის გამართვა თბილისში. პროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ რელიგიის სწავლებით დაკავებული პროფესორებისთვის მომზადდეს სემინარები მათი სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალისა და სილაბუსების გაუმჯობესების მიზნით. პროექტში ჩართულია 10 ქვეყნის 34 წარმომადგენელი.

ქეთევან ხუციშვილი

წელს გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის მიერ დაფინანსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და მარბურგის ფილიპსის უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო-სასწავლო პროექტი „კონფლიქტების გადაწყვეტა ქვემოდან: ინტერეთნიკური კონფლიქტები სამხრეთ კავკასიის სასაზღვრო სოფლებში“. რომლის მიზანია კონფლიქტების ანთროპოლოგიისა და პრევენციის საკითხებით სტუდენტთა დაინტერესება და მათი მომზადება საველე სამუშაოებისთვის. პროექტის ფარგლებში, აგვისტოში შედგება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენელ სტუდენტთა და პროფესორთა ერთობლივი საველე სამუშაოები და კონფერენცია.

გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის მიერ დაფინანსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და მარბურგის ფილიპსის უნივერსიტეტის ერთობლივი პირველი სიმპოზიუმი „კავკასია, კონფლიქტი, კულტურა: კონფლიქტების ანთროპოლოგია და პრევენცია სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში“, სიმპოზიუმს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის წარმომადგენელ პროფესორებსა და სტუდენტებს მიეცათ საშუალება შეხვედროდნენ ერთმანეთს და აკადემიურ გარემოში ემსჯელათ მწვავე კონფლიქტების შესახებ.

ინსტიტუტის თანამშრომლები სხვა სამეცნიერო - სასწავლო საგრანტო პროექტებშიც ვმონაწილეობთ. ამჟამად ჩართული ვარ ორ საერთაშორისო პროექტში: ღია საზოგადოების ინსტიტუტის (ბუდაპეშტი) უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტში: „ანთროპოლოგიური მიდგომები რელიგიისა და სეკულარიზმის მიმართ“ და შვეიცარიის კავკასიის ქსელისა და გებერტის ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში „რელიგია, დემოკრატია და ნაცია სამხრეთ კავკასიაში“, ასევე ინსტიტუტის პროფესორები ჩართული ვართ რუსთაველის ფონდის მიერ ერთობლივად დაფინანსებულ საგრანტო პროექტში — „თურქეთის ქართველები: ისტორია, სულიერი და მატერიალური კულტურა, ენობრივი ვითარება“.

ეთნოლოგიის ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომლობს ევროპისა და ამერიკის წამყვან სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან, როგორიცაა ჰარვარდის უნივერსიტეტი (აშშ), ბერგენის უნივერსიტეტი (ნორვეგია), აარუსის უნივერსიტეტი (დანია), ტორონტოს უნივერსიტეტი (კანადა), ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი (გერმანია), მარბურგის ფილიპსის უნივერსიტეტი (გერმანია), ტიუბინგენის უნივერსიტეტი (გერმანია), ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი) და სხვ.

— რამდენად პრიორიტეტულია ინსტიტუტისათვის პედაგოგიურ-სამეცნიერო მუშაობის თვალსაზრისით სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობის ინტერნაციონალიზაცია და სახელმძღვანელოების მომზადება?

— ამ მიმართულებით ინსტიტუტში მართლაც ბევრი რამ გაკეთდა. ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა 2011 წელს მომზადეს 4 სახელმძღვანელო. დაიბეჭდა 60–ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია. ამჯერად ისინი მონაწილეობენ და წარმართავენ 3 მიმდინარე საგრანტო პროექტს (მათგან 2-ს უცხოური დონორი ორგანიზაცია აფინანსებს). ინსტიტუტის თანამშრომლები მუდმივად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე და, ამავე დროს, თავად არიან ორგანიზატორები სამეცნიერო და სასწავლო საერთაშორისო ღონისძიებისა, პარალელურად მიმდინარეობს ინტენსიური საველე სამუშაოები, ყველა ამ პროცესში სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი. ჩვენი ინსტიტუტი ყოველწლიურად ახორციელებს საველე–ეთნოგრაფიულ ექსპედიციებსა და პრაქტიკას, რისი შედეგებიც განიხილება სამეცნიერო კონფერენციებზე და მზადდება საანგარიშო პუბლიკაციები.

— ქალბატონო ქეთევან, დღეს ეთნოლოგია დასავლეთშიც ერთერთ წამყვან მეცნიერებად არის აღიარებული. რამ განაპირობა დარგის მიმართ ამგვარი ინტერესი?

— ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის მიმართ ინტერესი დასავლეთის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებში, მართლაც, საგრძნობლად გაიზარდა. ერიკ ვოლფის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ — „ ეთნოლოგია არის ყველაზე ჰუმანიტარული მეცნიერებათა შორის და ყველაზე მეცნიერული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შორის“, რუთ ბენედიქტის აზრით, კი, ეს არის დისციპლინა, რომელიც კულტურათა მრავალფეროვნების დაცვას ემსახურება, საინტერესოა მაიკლ შიფერის მოსაზრებაც: „ეს არის ერთადერთი დისციპლინა, რომელსაც გააჩნია წვდომა პლანეტაზე კაცობრიობის არსებობის მთელი გამოცდილებისადმი“, ამ მიზეზების გამო მზარდად ინტერდისციპლინური და ჰოლისტური დარგი, თავისი უნიკალური მეთოდიკითა და თეორიული მიდგომებით, ძალიან აქტუალურია თანამედროვე საუნივერსიტეტო სივრცეში.

პირველ კორპუსში განთავსებული იყო დარბაზში, სადაც გვქონდა ეთნოგრაფიული საგამოფენო კუთხე და ეთნოგრაფიული თვალსაჩინოებები (საქართველოს რუკაზე დატანილი საცხოვრებლის ტიპები, ცალკე წარმოდგენილი, სამეურნეო იარაღების, ჭურჭლისა და ტანსაცმლის ნიმუშები), სამწუხაროდ, დღეს ჩვენს სივრცეს წარმოადგენს მხოლოდ პატარა ოთახი VIII კორპუსში, რომელიც არ არის საკმარისი არც სალექციო საათების ჩატარებისთვის, არც სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობისათვის, არც ჩვენს პარტნიორთა მიღებისათვის და არც პროფესორთა მუშაობისავის.

მიმაჩნია, რომ თუ რომელიმე მიმართულება შეიძლება იყოს პრიორიტეტული უნივერსიტეტისთვის, ერთერთი, ჩვენი მიმართულებაც გახლავთ. რამდენიმე მიზეზის, უპირველეს ყოვლისა, ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური მიმართულების გამო. ვერც ერთი ქართველოლოგიური მიმართულების მქონე ფილოლოგიური, ისტორიული თუ ინტერდისციპლინური პროგრამა ვერ იქნება სრულყოფილი ეთნოლოგიური ცოდნის გარეშე. სწორედ, მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასალაა ის უნიკალური განძი, რაც საინტერესოს და მიმზიდველს ხდის საქართველოსა და ზოგადად კავკასიას მსოფლიოსთვის. ამ უნიკალურ ცოდნას შენახვა-გადაცემა სჭირდება. ამ ცოდნის ფლობის გამო იწვევენ დაინტერესებული სახელმწიფო, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებს ექსპერტებად.

მოამზადა
შურთხია ბეროშვილმა

სიახლე გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში

22 მაისს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებას შეხვდნენ და წელს, აპრილში გამოცხადებული საგრანტო კონკურსში დადგენილი სიახლეები გააცნეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის მოადგილე თინა ბოჭორიშვილი, სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ნოსელიძე, მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი მირიან ბიჭიკაშვილი და სამეცნიერო დეპარტამენტის ახალგაზრდა მეცნიერთა პროგრამების კოორდინატორი ნანა ქაჯაია.

მაია ტორაძე

შეხვედრა გახსნა თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ღვედაშვილმა.

სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ნოსელიძემ დეტალურად განიხილა ყველა ის სიახლე, რაც მიმდინარე კონკურსში იქნება გათვალისწინებული. მისი თქმით, სიახლეები შეეხო გამოყენებით და ფუნდამენტურ კვლევებს, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივ კვლევებს და ახალგაზრდა მეცნიერთათვის გამოცხადებულ კონკურსს პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების მისაღებად;

„იმის გამო, რომ გამოყენებით და ფუნდამენტურ კვლევებს შორის ცალსახა ზღვარი არ არსებობს და გასული წლის გამოცდილებაც გვაქვს, მიმდინარე კონკურსზე გვსურს მკვეთრად გაიმიჯნოს — კვლევა ფუნდამენტურ მეცნიერებას ეკუთვნის თუ გამოყენებით მეცნიერებას. ფუნდამენტური კვლევების რაობას მთავრობის დადგენილება განსაზღვრავს, ამიტომ, საწყის ეტაპზე, როცა პროექტი ორ ექსპერტს გაეგზავნება, სანამ ის შეფასებას და ქულების დაწერას დაიწყებს, უნდა მიუთითოს — არის თუ არა ეს ნაშრომი ფუნდამენტური ხასიათის. იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიჩნევს, რომ კვლევა არ ეკუთვნის ფუნდამენტურ მეცნიერებას, წარდგენილ პროექტს დანარჩენი კრიტერიუმით აღარ აფასებს“, — განაცხადა მან. აქვე აღინიშნა, რომ თუ ორმა ექსპერტმა დაადგინა, რომ პროექტი არ შეესაბამება ფუნდამენტური კვლევის განმარტებას, ნაშრომი იხსნება კონკურსიდან, ხოლო თუ ერთმა ჩათვალა, რომ ის ფუნდამენტურია და მეორემ — არა, მაშინ პროექტი ეგზავნება მესამე ექსპერტს და მისი დასკვნა უკვე გადამწყვეტად ჩაითვლება.

მიმდინარე კონკურსში პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა არ შეცვლილა. კვლევა უნდა დასრულდეს 6-12-18-24-30 ან 36 თვის განმავლობაში. მეცნიერებს შეუძლიათ წლიურად მოითხოვონ 50 000 ლარი, ხოლო პროექტის დაფინანსება შესაძლებელი იქნება მინიმუმ 86 ქულის დაგროვების შემთხვევაში.

რაც შეეხება გამოყენებით კვლევებს, მისი განმარტება იგივეა, რაც წინა კონკურსზე: ეს არის კვლევა, რომელიც საბოლოოდ უნდა იძლეოდეს ახალი პროგრამული უზრუნველყოფის, ახალი მასალის, სამკურნალო საშუალების, გაუმჯობესებული დეტალების ან მსგავსი გამოყენებითი პროდუქტის შექმნას ან ტექნოლოგიის გაუმჯობესებას.

„გამოყენებითი მეცნიერების კვლევების მიმართულებით სიახლეა ის, რომ შარშან პროექტის თანადაფინანსების აუცილებელი კომპონენტი იყო მისი ღირებულების 15%. წელს ეს წილი გაიზარდა და 20% გახდა. შეზღუდვა, რომ თანადაფინანსება მაინცდამაინც ბიზნეს-კომპანიისგან უნდა იყოს, არ არსებობს, ანუ შესაძლებელია ისევ უნივერსიტეტები გახდნენ პროექტების თანადამფინანსებლები“, — აღნიშნა ირაკლი ნოსელიძემ.

გამოყენებითი სამეცნიერო პროექტის ხანგრძლივობა წელიწადნახევარი-ორი წელია და ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს, რასაც 20% თანადაფინანსების თანხა დაემატება.

შეხვედრაზე აღინიშნა იმ სიახლეების შესახებაც, რომელიც უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეებთან ერთობლივი პროექტების განხორციელებისთვის დადგინდა. კერძოდ, შარშან პროექტში მონაწილე ბაკალავრიატის სტუდენტისთვის დადგენილი იყო მინიმალური კრედიტების რაოდენობა — 180 კრედიტი. კრედიტების ამ რაოდენობის მოთხოვნამ გარკვეული სირთულეები გამოიწვია, რადგან პროექტის შედგენა ძირითადად ზაფხულში ხდება და ამ დროისთვის დეკანატების მიერ არ არის დასრულებული კრედიტების დათვლა. ირაკლი ნოსელიძის თქმით, ამ მიზეზის გამო წელს კონკურსში შევიდა სიახლე — ბაკალავრიატის სტუდენტისთვის აუცილებელი და მინიმალური კრედიტის რაოდენობა განისაზღვრა 120 კრედიტით, რაც ნიშნავს, რომ ორი კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს უკვე შეუძლია პროექტში მონაწილეობა ძირითადი პერსონალის სახით.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სამივე პროექტისთვის დაწესებულია ერთნაირი შეზღუდვა, რომელიც შეეხება ხელფასებს. დებულების თანახმად, პროექტში მონაწილეთა ხელფასი არ უნდა აღემატებოდეს 1250 ლარს.

სამეცნიერო კონკურსების ახალი დებულებით, შეზღუდვა დაწესდა პროექტის ხელმძღვანელობაზე და პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობაზე. აღინიშნა, რომ შარშანდელთან შედარებით ამ მიმართულებით მდგომარეობა გამარტივებულია. კერძოდ, შარშან არ შეიძლებოდა ერთი პირის ჩართვა 3 თვეზე მეტი ხანგრძლივობის ნებისმიერ 2 პროექტზე მეტში. წელს უკვე საუბარია არა ნებისმიერ პროექტზე, არამედ პროექტებზე, რომელიც მხოლოდ ფუნდამენტურ, გამოყენებით და დიასპორას სამეცნიერო კონკურსებშია წარდგენილი.

მიმდინარე წელს არ შეიძლება ერთი პირი იყოს ერთზე მეტი პროექტის ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი, ასევე, დაუშვებელია იგი 2 პროექტზე მეტში მონაწილეობდეს ძირითადი პერსონალის სტატუსით. „ეს ეხება შემოტანილ პროექტებსაც. მაგალითად, თუ თქვენ, როგორც ხელმძღვანელმა, შარშან მიიღეთ გრანტი, მაშინ წელს, როგორც ხელმძღვანელი, ან თანახელმძღვანელი, პროექტს ვერ შემოიტანთ. ან თუ შარშან გამარჯვებული ხართ, როგორც ძირითადი პერსონალი, წელს თქვენი გვარი არ შეიძლება მოხვდეს ამ სამ კონკურსიდან ერთზე მეტ პროექტში. ამგვარი შემთხვევა შეიძლება პროექტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველი გახდეს“, — აღნიშნა ირაკლი ნოსელიძემ.

მიმდინარე კონკურსში კონკურსანტს საშუალება აქვს, მიუთითოს 3 არასასურველი ექსპერტი, ვისაც პროექტი არ გაეგზავნება.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს იმ სიახლეებზე, რომლებიც ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებშია. კერძოდ, ამ მიმართულებებზე კონკურსანტს თავად შეუძლია შეფასების პირველ საფეხურზე აირჩიოს შერეული (ნაშრომის გაგზავნა, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ექსპერტებთან) ან უცხოური ექსპერტიზა. „ეს ეხება ქართველოლოგიას, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებს. ამის მიზეზია, რომ ქართველოლოგიის მიმართულების რამდენიმე მეცნიერი წინა კონკურსზე წინააღმდეგი იყო, ნაშრომი უცხოელ მეცნიერს შეეფასებინა, რადგან, მათი აზრით, უცხოელს შესაძლოა გაუჭირდეს ქართველოლოგიისთვის საჭირო სიღრმეებში ჩაწვდომა. ამდენად, წელს მეცნიერს თავად შეუძლია მიანიშნოს, სურს თუ არა მას ექსპერტიზაში უცხოელის ჩართვა,“ — აღინიშნა შეხვედრაზე.

მიმდინარე კონკურსზე მეცნიერებს, რომლებიც ფუნდამენტურ მეცნიერებებში წარადგენენ პროექტებს, შეუძლიათ შეინარჩუნონ 2011 წლის შეფასება. თუ მათ სურთ, საგრანტო კონკურსში წელსაც იგივე პროექტით მიიღონ მონაწილეობა და გასულ კონკურსში ექსპერტების მიერ მიღებული შეფასება შეინარჩუნონ, შეუძლიათ ამის შესახებ მიუთითონ სპეციალურ გრაფაში. ამ შემთხვევაში პროექტის ხელახალი ატვირთვა საჭირო აღარ არის. პროექტი იმ ქულით ჩაჯდება რანჟირებულ სიაში, რაც მას გასულ კონკურსზე ჰქონდა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ეს სიახლე არ ეხება გამოყენებითი კვლევების კონკურსს და გათვალისწინებულია მხოლოდ 2011 წელს მიღებული ქულა.

ახალგაზრდა მეცნიერებისთვის (35 წლამდე) ორი პარალელური კონკურსი ტარდება. ერთი შეეხება დოქტორის ხარისხის მქონე მეცნიერებს, ხოლო მეორე — მაგისტრის ხარისხის მქონეებსა და დოქტორანტებს. „ეს არის ინდივიდუალური გრანტი, ანუ მკვლევარს არ მოეთხოვება, პროექტი რომელიმე ორგანიზაციის ბაზაზე განახორციელოს. ამასთან, მას შეუძლია აიყვანოს დამხმარე პერსონალი, ოღონდ ის არ უნდა იყოს სამეცნიერო სტატუსით უფრო მაღალი, ვიდრე პროექტის წარმომდგენი“, — აღნიშნა ირაკლი ნოსელიძემ.

ამ კონკურსში სიახლეა ისიც, რომ ახალგაზრდა მეცნიერს გრანტით გამოყოფილი თანხა შეუძლია გამოიყენოს უცხოეთში 3-4 თვიანი სტაჟირებისთვის, რაც აღნიშნული უნდა იყოს პროექტში.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ასევე შეფასების თავისებურებებს. კერძოდ, თუ ფუნდამენტურ კვლევებსა და უცხოელ თანამემამულეებთან ერთობლივი კვლევების კონკურსში ორი ექსპერტის შეფასებებს შორის განსხვავება იქნება 15 ქულა და მეტი, ის საბოლოო შეფასებისთვის გაეგზავნება მესამე ექსპერტს. რაც შეეხება გამოყენებითი კვლევების კონკურსს, აქ სხვაობა უნდა იყოს 25 ქულა და მეტი, რის შემდეგაც მესამე ექსპერტი გადაწყვეტს, საბოლოოდ რა შეფასება მიეცემა პროექტს. აღნიშნული წესი ეხება ასევე ახალგაზრდა მეცნიერთა კონკურსს საპრეზიდენტო გრანტების მოსაპოვებლად, რომელშიც ეს ქულათა შორის განსხვავება 20 და მეტი ქულა უნდა იყოს.

შეხვედრაზე პროექტის ბიუჯეტის შედგენის თავისებურებებზე ისაუბრა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა მირიან ბიჭიკაშვილმა. მან მეცნიერებს ის დეტალები გააცნო, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია სამეცნიერო პროექტების ბიუჯეტის შედგენისას.

გარემოს დაცვისთვის ბრძოლაში

ეკოლოგიური კატასტროფები გლობალური პრობლემაა, რაც გარემოს დამცველთა საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს. საქართველოში ამ კუთხით სერიოზული საფრთხეები არსებობს, განსაკუთრებით მტკივნეულ საკითხად კი გარემოს დაბინძურება რჩება. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით ხელისუფლებამ გარკვეული ზომები გაატარა და მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა — ჯერ კიდევ 2010 წელს საქართველო შეუერთდა აქციას „დავასუფთაოთ მსოფლიო“, მაგრამ მსგავსი აქტივობების მიუხედავად, ნაგავსაყრელები და ნარჩენების მართვა ჯერ კიდევ ქართველებისთვის „აქილევსის ქუსლად“ რჩება.

თსუ-ის „სადისკუსიო კლუბმა“ გარემოს დაცვის საკითხებზე სასაუბროდ თსუ-ში მწვანეთა მოძრაობის თანა-თავმჯდომარე **ნინო ჩხობაძე** *მოიწვია, რომელმაც შეხვედრაზე ვრცლად მიმოიხილა მსოფლიოში და კერძოდ, საქართველოში მიმდინარე გარემოსდაცვითი პრობლემები და სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.*

შურთხია გეროშვილი

სტუდენტები დაინტერესდნენ, თუ რა საფრთხეებს წარმოშობს ნარჩენები და როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება.

ნინო ჩხობაძის აზრით, ნარჩენების გაზრდილი მოცულობა და მისი გატანა დღეს საქართველოში სერიოზული პრობლემაა და დროა, ეს საკითხი საზოგადოების სასიკეთოდ მოგვარდეს. მისი ინფორმაციით, ერთჯერადი აქციებით პრობლემა ვერ გადაიჭრება. „ჩვენთან, როგორც წესი, ნაგავი იყრება მდინარეებში, იმ იმედით, რომ „წყალი წაიღებს“, ამიტომ ვყრით პლასტმასის ბოთლებს, პოლიეთილენის პარკებს, პამპერსებს, სამშენებლო მასალებს და სხვა. ამიტომ, როდესაც ძლიერი წვიმების დროს მდინარეები დიდდება, ნაგავი იჭედება ტურბინებში, რამდენჯერმე ამან სავალალო შედეგიც მოიტანა. თბილისში ნაგავი მშრალ ხეობებშიც იყრება. ევროპის ქვეყნებმა დიდი ხანია მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 2015 წლისვის არანაირი ნარჩენი არ გავიდეს ნაგავსაყრელზე და მოხდეს მისი სეპარირება, რეციკლირება, მეორადი გამოყენება და ხელმეორედ პროდუქციის მიღება. დღეს, ნებისმიერი ქვეყნისთვის, ყველაზე ღირებული არის მიწა და ყველაზე მეტი ზიანი, რაც შეიძლება მივაყენოთ საკუთარ ქვეყანას, არის ნარჩენების მიწაზე გაჩერება. აქედან გამომდინარე, ევროპის პოლიტიკა, ევროგაერთიანების გადაწყვეტილება პრაქტიკულად იმისკენ არის მიმართული, რომ ყველაფერი გადამუშავდეს, თუმცა, ჩვენთან ეს პრობლემა კვლავ მწვავედ დგას“, — აღნიშნა ნინო ჩხობაძემ.

სტუდენტების კითხვას, რა იწვევს გლობალურ დათბობას და არის თუ არა ეს პრობლემა კავშირში ნარჩენების დამუშავებასთან, ნინო ჩხობაძემ უპასუხა:

„გლობალური დათბობა დღეს მთელ მსოფლიოს აშფოთებს. თუმცა ამ შემთხვევაში სპეციალისტების აზრი იყოფა — ერთი მხარე ამტკიცებს, რომ დედამიწა ყოველთვის თბებოდა და ცივდებოდა და ამიტომ ეს კანონზომიერი მოვლენაა, თუმცა, უფრო რეალური მეორე მხარის მოსაზრებაა: — ადამიანმა თავად დააჩქარა პროცესები. სხვათა შორის, პირველად საბჭოთა მეცნიერებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ კლიმატის ცვლილება დაახლოებით 2050 წლისთვის მოხდებოდა, თუმცა, პროცესი XX საუკუნის ბოლოს უკვე დაიწყო და დღეს შეშფოთების სერიოზული მიზეზი არსებობს. ნაგავსაყრელები ამ მხრივ ძალიან სერიოზულ საფრთხეს ქმნიან, რადგან იმ ადგილზე გამოიყოფა ტოქსიკური გაზები, მათ შორის მეთანი, რომელიც ცვლის ატმოსფეროს და იწვევს სათბურის ეფექტს. გარდა სათბური გაზებისა, არსებობს ტროპოსფერული ოზონი, რომელიც ზოგადად, ძალიან მავნებელია. ამიტომ ვემხრობი იმ მოსაზრებას, რომ საერთო ჯამში, ადამიანის ნამოქმედარი, ბუნების ნამოქმედარს აღემატება. ეს არც თუ ისე უწყინარი პრობლემა შეიძლება ჩენთვის ფატალურიც კი აღმოჩნდეს.

შეხვედრის ორგანიზატორის გიორგი გრიგოლაშვილის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამ პრობლემების მოგვარების კუთხით მცდელობები არის, საზოგადოებას ჯერ კიდევ არა აქვს გათვითცნობიერებული ის პრობლემა, როგორიც არის ხე-ტყის არასწორი ჭრა, წყლის დაბინძურება ნაგვის დაყრა და .ა.შ. ამიტომ სტუდენტთა ჩართულობა ამ პროექტებში მნიშვნელოვანია.

სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მომავალში თავადაც აქტიურად ჩაერთონ გარემოს დაცვისთვის ბრძოლაში და აქტიური მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქციებსა და პროექტებში.

ПРОФИЛИ

ეკონომისტის ალღო — მორგებული დასავლურ ფორმულაზე

დიმიტრი უზნაძე წერილში — „ცხოვრების აზრი“ წერდა, რომ ადამიანის გონება მხოლოდ ისეთ პიროვნებებს თვლის ყურადღებისა და თაყვანისცემის ღირსად, რომელნიც მთელ თავიანთ ძალ-ღონეს წინაპართა მიერ დაწყებული შენობის აგებას ახმარენ, ხოლო ისეთნი, რომელთაც ამგვარი შენება სისულელედ და სიგიჟედ მიაჩნიათ, მეხსიერებიდან უკვალოდ ქრებიან.

უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორთან, იური ანანიაშვილთან საუბარში წინაპართა მიმართ მოკრძალება და მათი ნაკვალევის პატივისცემა იმდენად საცნაურია, რომ გრძნობ — შენ წინ ზის ადამიანი, რომელსაც ცხოვრების აზრად მართლაც იმ შენობის აგება გაუხდია, რომლისთვისაც მის ოჯახს ჯავახეთის რაიონის სოფელ კოთელიაში ჩაუყრია საფუძველი.

მაია ტორაძე

იური ანანიაშვილი

ახალქალაქის პატარა ქართულ სოფელში — კოთელიაში, სადაც რეგიონის ორი ქართული საშუალო სკოლიდან ერთერთი სწორედ ამ სოფელში მდებარეობდა, ანანიაშვილების ოჯახი ღირსებას, პატივისცემას, პატიოსნებასა და შრომას აჩვევდა სამ შვილს. „მამაჩემი, შალვა ანანიაშვილი, სკოლის მასწავლებელი იყო. როგორც ყველა ფილოლოგი, დიდი პატრიოტი გახლდათ და სოფლის საგანმანათლებლო საქმეში დიდ როლს ასრულებდა. ჩვენი ოჯახი სოფელსა და რეგიონში განთქმული იყო. როდესაც თბილისიდან ვინმე ჩამოდიოდა, აუცილებლად ჩვენს ოჯახში მოდიოდა და ეს მამაჩემის დამსახურება იყო. მაგონდება, რომ ერთხელ, ქართველი მწერლების მთელი პლეადა ჩამოვიდა სოფელში. სუფრა ჩვენს ოჯახში გაიშალა. თამადად დანიშნეს იოსებ ნონეშვილი, რომელსაც შვილიც ახლდა — ჩემი ტოლი ბიჭი. პატარა კი ვიყავი, მაგრამ მახსოვს, ნონეშვილის შვილი ამბობდა — „ახლა მამაჩემი დათვრება და იმდენს ილაპარაკებს, იმდენ ლექსებს მოყვება, ვეღარავინ გააჩერებსო“... სამწუხაროდ, მამა მე არ მასწავლიდა... სამი შვილი ვყავდით, მაგრამ შეგნებულად არ შემოვიდა არც ერთის კლასში,“ — გვიყვება ბატონი იური.

სინათლისკენ ამოზრდილი ქართული ნერგი

ტრადიციულად, იქ, სადაც ქართული გარემოს ნაკლებობაა, ჩნდება ოაზისები, სადაც ქართველები თავისუფლად სუნთქვას სწავლობენ. როგორც ჩანს, ასეთი ოაზისი იყო კოთელიაში ანანიაშვილების ოჯახი, სადაც დიდი ბიბლიოთეკა ინახებოდა და რომელსაც ქართულ ლიტერატურას დანატრებული ადამიანები ხშირად სტუმრობდნენ. ამ გარემომ ბატონ იურიზეც იქონია გავლენა: „დავაკვირდი, რომ ჩემს სოფელში და საერთოდ იქ, სადაც ინფორმაციული ვაკუუმია შექმნილი, ადამიანები სწავლას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ამას ვხედავდი საინგილოდან ჩამოსულ სტუდენტებშიც და სხვა მთის სოფლებშიც. ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ მარტო ჩემი სოფლიდან ამ კათედრაზე ორი პროფესორი ვმოღვაწეობდით. სოფლის ხალხს ეს ეამაყებოდა და მეც მეამაყება, რომ ასეთ სოფელში გავიზარდე“, — იხსენებს ბატონი იური და განსაკუთრებული სითბოთი გვესაუბრება მამაზე, რომელსაც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაუსრულებია და სიცოცხლის ბოლომდე ამაყობდა ცნობილი ქართველოლოგების მოწაფეობით. ეს სიყვარული უნივერსიტეტისადმი ბატონ იურისაც გამოჰყოლია და ახლა სიამაყით გვიცხადებს, რომ მთელი ცხოვრება უნივერსიტეტს შეალია: „მეშვიდე კლასი რომ დავამთავრე, მამამ პირველად ჩამომიყვანა თბილისში და უნივერსიტეტი დამათვალიერებინა. მაშინ დავინახე, რაოდენ დიდი სიყვარული და მოწიწება გააჩნდა მას ამ კედლებისადმი და გადავწყვიტე, რომ აქ მესწავლა. შემდეგ ისე მოხდა, რომ მთელი ჩემი ცხოვრება უნივერსიტეტს დაუკავშირდა“, — გვიამბობს იგი.

ბატონ იურის სხვაც ბევრი აქვს გასახსენებელი — როგორ შეუმოწმა უკვე სკოლადამთავრებულს ცოდნა პროფესორმა ლევან ჟიჟიაშვილმა, როგორ ეძახდა ბატონი ვანო კიღურაძე „კი ბიჭს“ იმის გამო, რომ კითხვაზე: — იცოდა თუ არა ესა თუ ის საკითხი მათემატიკაში? — ყოველთვის ჰქონდა მომზადებული პასუხი — კი!

სხვათაშორის, მისაღები გამოცდების წინ მხოლოდ ის სცოდნია, რომ მისი მომავალი ფიზიკა-მათემატიკას უნდა დაკავშირებოდა, მატარებელში შემთხვევით წაკითხულ საგაზეთო მასალას კი მის ცხოვრებაში ყველაფერი შეუცვლია — „გაზეთში წავიკითხე ახალი სპეციალობის, ეკონომიკური კიბერნეტიკის შესახებ, რომელიც სულ 2 წლის გახსნილი იყო. იმ პერიოდში აქტიურად დაიწყო ეკონომიკურ-მათემატიკური მიმართულების განვითარება და, შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებლებშიც შეიქმნა ეს სპეციალობები, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი იყო კავშირის მასშტაბით. ისე ჩავაბარე ამ სპეციალობაზე, არ ვიცოდი, რა გამოვიდოდი, მაგრამ მივხვდი, რომ კარგად ესადაგებოდა ჩემს თვისებებსა და შესაძლებლობებს. ეს სპეციალობა ერთმანეთთან ახამებდა მათემატიკას და ეკონომიკას, რომელიც, იმდროინდელი იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად, საინტერესო იყო, რადგან მეცნიერება მაინც მეცნიერებაა, როგორი იდეოლოგიის ქვეშაც არ უნდა იყოს მოქცეული,“ — იხსენებს იური ანანიაშვილი აბიტურიენტობის წლებს და ხვდები, რომ იგი კოთელიის მძლავრ ფესვებზე ამოზრდილი ის ნერგია, რომელიც მუდმივად სინათლისკენ ისწრაფვის...

ეკონომიკის რთული სამყარო და კანონები, რომლებიც მუდმივად იცვლება

მისი სტუდენტობა იმ წლებში წარიმართა, როცა სპეციალობის საგნებთან ერთად ახალგაზრდებს ბევრ სხვა რამესაც ასწავლიდნენ, მაგალითად, პარტისტორიას, მეცნიერულ კომუნიზმს, კომუნისტური პარტიის ყრილობებს, ლენინის შრომებს, რომელთა კითხვაც ბევრ დროს ართმევდათ... ბატონი იური დღეს უსიამოვნოდ იხსენებს ამ საგნებს, მაგრამ სტუდენტობა, წიგნებზე გათენებული ღამეები, შრომა და სამეცნიერო სტატიების წერა მისთვის დიდი საუნივერსიტეტო სკოლა იყო, საიდანაც მეოთხე კურსის წარჩინებული სტუდენტი მოსკოვში, ცენტრალურ ეკონომიკურ-მათემატიკურ ინსტიტუტში მიავლინეს ნახევარი წლით სადიპლომო პრაქტიკაზე.

1975 წელს იური ანანიაშვილმა ასპირანტურაშიც მოსკოვში ჩააბარა. 1978 წელს იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც დარგთაშორის ბალანსს ეხებოდა. ნაშრომში მან განიხილა დინამიკური მოდელების გამოყენება ეკონომიკაში, რაც მაშინ სიახლე იყო და მეცნიერთა ყურადღებაც დაიმსახურა, როგორც ერთერთმა წარმატებულმა დისერტაციამ.

1978 წლიდან იური ანანიაშვილი უკვე უნივერსიტეტის ლექტორია და თითქმის 34 წელია მომავალ ეკონომისტებს ზრდის. მისი თქმით, ეკონომიკა რთული სამყაროა: „არსებობს სამუელსონის ცნობილი სახელმძღვანელო „ეკონომიქსი”, რომლის შესავალშიც მოყვანილია სხვადასხვა მეცნიერთა გამონათქვამი. ერთნი ამბობენ, რომ ეკონომიკა იმდენად მარტივი აღმოჩნდა მათთვის, რომ ვერაფერი საინტერესო ვერ დაინახეს, ხოლო მეორენი ამტკიცებენ, რომ ეს სფერო იმდენად რთულია, რომ იქ ვერაფერს ვერ მიაღწევ. თუ ამ ორ უკიდურესობას დავაკვირდებით, უნდა ვიფიქროთ, რომ სადღაც არსებობს შუალედი, რომელიც ვიღაცამ უნდა დაინახოს. ამ შუალედს პოულობენ ის ადამიანები, რომლებიც საბოლოოდ ეკონომიკის მიმართულებით მიდიან. მეც ეს გზა ავირჩიე, რადგან, მიმაჩნია, რომ ეკონომიკა მართლაც რთული, მაგრამ საინტერესო მეცნიერებაა“, — ასე ხედავს ბატონი იური ეკონომიკას, როგორც დარგს და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან მისი შედარების დროს საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს: „თუ აიღებთ ფიზიკას, ან სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, იქ მეტნაკლებად ყველაფერი გარკვეულია, რადგანაც იქ კანონი კანონია და თუ ერთხელ გამოვლინდება რაღაც, ის ნებისმიერ სხვა შემთხვევაში მუშაობს. ეკონომიკაში კი, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ეს კანონები მუდმივად იცვლება. იმდენი შემთხვევითი, გაუთვალისწინებელი ფაქტორი მოქმედებს, რომ მოვლენების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი ხდება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ იქ არ შეიძლება კანონზომიერებების დანახვა. ის პროფილი, რომელიც მე მაქვს არჩეული, საბედნიეროდ, სწორედ ასეთი კანონზომიერებების დანახვის საშუალებას იძლევა. ეკონომიკაში საქმე გვაქვს ტენდენციებთან, რომლებიც ზოგადად გამოვლინდება, თუმცა, არა ყოველთვის. ზოგჯერ, ერთი მაჩვენებლის დანახვა და დადგენაც კი ძალიან საინტერესოა“.

სადოქტორო დისერტაცია მოგვიანებით დაიცვა, 1998 წელს, და ამ ფაქტს ცხოვრებისეულ კანონზომიერებას უკავშირებს — საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობას და პასუხისმგებლობის გაძლიერებულ გრძნობას: „მიმაჩნია, რომ წლების განმავლობაში უნდა დაგროვდეს გარკვეული პროდუქცია და როცა ჩათვლი, რომ ის პროდუქცია ღირებულს წარმოადგენს, მერე უნდა გააკეთო განაცხადი. ჩემი სადოქტორო სწორედ ამ სახის იყო და ეძღვნებოდა აგრეგირებული, ანუ გამსხვილებული დარგთაშორისი კავშირების გამოკვლევას“, — გვითხრა მან.

„ეკონომიკა მეცნიერებაა, ბიზნესი კი ემპირიულ აღწერილობებს ემყარება...“

მიმართულება, რომელშიც ბატონი იური დღეს მუშაობს, თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების საფუძველთა საფუძველია, რადგანაც ეკონომეტრიკის გარეშე შეუძლებელია, ერთი მხრივ, რაოდენობრივი ეკონომიკური კავშირების გამოვლენა, გაზომვა და შეფასება, მეორე მხრივ კი თეორიული მოსაზრებების მართებულობის ემპირული მონაცემებით შემოწმება – დადასტურება ან უარყოფა.

ბატონი იური საფუძვლიანი განმარტებებით და მაგალითებით შეეცადა ჩვენც „შეგვეგრძნო“ ამ საგნის ხიბლი. ჩვენ დაწვრილებით მოგვყავს საუბრის ის ნაწილი, რომელშიც პროფესორი ეკონომეტრიკის, როგორც ეკონომიკის გაზომვის საშუალებაზე საუბრობს: „ეკონომისტებს აინტერესებთ, როგორი რიცხვობრივი დამოკიდებულება არსებობს ეკონომიკის პოტენციურად შესაძლო გამოშვებიდან ფაქტობრივი გამოშვების ჩამორჩენის სიდიდესა და უმუშევრობის დონეს შორის? შეიძლება თუ არა ეს რიცხვობრივად გამოვსახოთ? ეკონომეტრიკა, რომელსაც, მე ვემსახურები, ასეთი გაზომვის საშუალებას იძლევა.

არსებობს მოსაზრება, რომ დღეს ამერიკის ეკონომიკაში უმუშევრობის ბუნებრივი, ანუ ნორმალური დონის ზემოთ, ფაქტობრივი უმუშევრობის დონის ყოველი ერთი პროცენტით გაზრდის შემთხვევაში, პოტენციური გამოშვებიდან ჩამორჩენის სიდიდე საშუალოდ 2%-ით იზრდება. არის თუ არა ეს რიცხვი სამართლიანი? ჩემში ეს მონაცემი დიდი ხანი იწვევდა ეჭვს და ბოლო შრომებში შესაბამისი ეკონომეტრიკული მოდელის აგებისა და გამოკვლევის შედეგად მივედი დასკვნამდე, რომ ეს რიცხვი დაახლოებით 4-ჯერ აღემატება იმას, რაც რეალურად შეიძლება იყოს. ეს შედეგი თავისი თეორიული და მოდელური დასაბუთებით ლადო პაპავასთან ერთად გამოვაქვეყნე ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალში. ამჟამად ვამზადებთ წიგნს აშშ-ში გამოსაცემად, რომელშიც ამ პრობლემასთან ერთად ასახვას ჰპოვებს ეკონომეტრიკული მოდელებით გამოკვლეული რამდენიმე საინტერესო საკითხი,“ — განგვიმარტა ბატონმა იურიმ.

საბჭოთა სისტემამ მეცნიერებსა და მეცნიერებებზე თავისი კვალი დატოვა. ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლის შედეგად მათემატიკოსებისათვის დიდი ცვლილებები არ მომხდარა, ასევე ნაკლებად შეეხო ეს პრობლემა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ჰუმანიტარებს. რაც შეეხება ეკონომისტებსა და საზოგადოებრივ მეცნიერებებს, ამ სფეროებში ლექტორებს მთლიანად გადამზადება, ყველაფრის თავიდან სწავლა მოუწიათ.

იური ანანიაშვილი იმ მეცნიერთა შორის აღმოჩნდა, რომლებმაც ადვილად აუღეს ალღო ეკონომიკის დასავლურ ფორმულას და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ის საგნები დანერგეს, რომლის გარეშეც თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკა აღარ ისწავლება: „არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი ფაქტი: პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისში ეკონომიკური სისტემის დაშლა ჯავახიშვილის უნივერსიტეტზეც ბუნებრივად აისახა. პირველ რიგში, როგორც წესი, ამ ცვლილებებს სტუდენტები აღიქვამენ ხოლმე. ამიტომ მათ წინაშე დადგა საკითხი — უნდა გაეგრძელებინათ ძველი საგნების სწავლა თუ უნდა შეცვლილიყო ყველაფერი? მოხდა გარკვეული გარდატეხა — ვინაიდან არ შეეძლოთ ერთდროულად შეეცვალათ ყველა სპეციალობა და ყველა საგანი, ჩამოაყალიბეს მაკროეკონომიკის სპეცჯგუფი, რომელიც დააკომპლექტეს 13-14 გამორჩეული, აქტიური სტუდენტისაგან, ამ სტუდენტებს სათავეში ედგნენ ბატონი ლადო პაპავა და იმდროინდელი ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, ბატონი ელგუჯა მექვაბიშვილი. მათი თაოსნობით, ამ ჯგუფმა თავად შეადგინა სასწავლო გეგმა მოწინავე უცხოური უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების მიხედვით. ერთერთი ამ ახალ საგანთაგანი იყო მაკროეკონომიკა და ამ საგნის წასაკითხად მე მიმიწვიეს. შეიძლება ითქვას, თანამედროვე მაკროეკონომიკის მიმართულებას საფუძველი საქართველოში მე ჩავუყარე, რაც ძალიან მეამაყება“, — ამბობს იგი.

კითხვებზე — განვითარების რა ფაზაშია საქართველოს ეკონომიკა დღეს? მართლა არის თუ არა ეკონომიკური წინსვლა და თუკი არის, რატომ ვერ გრძნობს ამას საზოგადოება? იური ანანიაშვილი კვალიფიციურ პასუხს იძლევა: „ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის შესახებ შეიძლება რამოდენიმე მაჩვენებლის მიხედვით ვიმსჯელოთ: პირველ რიგში, შევხედოთ საქართველოში წლების განმავლობაში არსებულ უმუშევრობის დონეს, რომელიც ძალიან მაღალია (ოფიციალური მაჩვენებლით საშუალოდ 13-14 %-ია). თანაც ამ მაჩვენებლის მიღმა რჩებიან ე.წ. „თვითდასაქმებულები” — ადამიანები, რომელთა დიდი ნაწილი სოფლად რაღაცას თავისთვის აკეთებს და დასაქმებულად ითვლება, რაც არასწორია. ჩემი გაანგარიშებით, ეკონომიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქართველოსთვის ბუნებრივი ანუ ნორმალური უმუშევრობის დონე დაახლოებით 9% შეადგენს. უმუშევრობის დონის 4%-ით შემცირება მთლიანი შიგა პროდუქტის მატების ტემპს არსებულთან შედარებით საშუალოდ 2-3 პროცენტით გაზრდის, რაც ჩვენ ეკონომიკას ძალიან სჭირდება.

ადვილად რომ მივხვდეთ, სად ვართ, ერთ მარტივ მაგალითს მოვიყვან — ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ვინც საბჭოთა დროინდელ დონეს ჯერ კიდევ ვერ მიაღწია.“

პრობლემებზე საუბარმა ეკონომიკური განათლების მაღალი ხარისხის საჭიროებამდე მიგვიყვანა. იური ანანიაშვილს მიაჩნია, რომ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი დღეს სწორედ ხარისხიან განათლებას აძლევს სტუდენტებს, რადგანაც ფაკულტეტი განვითარდა, შეიცვალა და ჩამოყალიბდა, როგორც ევროპული ტიპის სწავლების კერა. „მიმაჩნია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი ყოველთვის მოწინავე იყო და ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალშიც ასეთი იქნება. თუ ვისაუბრებთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შესახებ, საერთოდ, ეს ფაკულტეტი, გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, პრესტიჟული არ იყო. დღეს კი ის ერთ-ერთ წამყვან ფაკულტეტად არის აღიარებული უნივერსიტეტისა და ქვეყნის მასშტაბით. ზუსტად ვიცი, რომ ჩვენს ფაკულტეტს, განსაკუთრებით ეკონომიკის მიმართულებას, საქართველოში დღეს კონკურენტი არ ჰყავს“, — აცხადებს იგი

ნოსტალგია

„თუკი ადამიანს რაღაც ინტერესი აქვს, ეს მხოლოდ ერთი მხრივ განვითარებულ ნიჭში არ გამოიხატება. ბავშვობაში ძალიან მიტაცებდა ხატვა. მე-7-მე-8 კლასში იმასაც ვფიქრობდი, სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარებ-მეთქი. ახლა უკვე აღარ ვხატავ, დრო აღარ მაქვს. ეგ კი არადა, მხატვრული ლიტერატურის წასაკითხადაც ველარ ვიცლი.

ფეხბურთიც მიტაცებდა. მამამ თბილისში რომ ჩამომიყვანა, ჯერ კომაროვის მათემატიკურ სკოლაში ჩავაბარე და მიმიღეს, მერე საფეხბურთო სკოლაში, მაგრამ არცერთში არ მისწავლია. მეშვიდე კლასში ვიყავი და დედამ ვერ გამიმეტა მარტო საცხოვრებლად,“ — უბრუნდება ბატონი იური ბავშვობას და მშობლების გახსენებაზე დიდხანს დუმს... ცრემლი ადგება.

ალბათ ეს ემოცია — მშობლებისადმი თბილი დამოკიდებულება და მოგონებებია ის, რაც ბატონ იურის დღესაც მშობლიური სოფლისკენ იზიდავს. ახლა იქ აღარავინ ცხოვრობს, მაგრამ როცა კი დროს იპოვის, სამ შვილთან ერთად იმ სანახებისკენ მიემართება, სადაც ფესვებია, სადაც ჯერ კიდევ შესაძლებელია ბავშვობის ლანდებთან ლაციცი.

იუბილარი

ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოხვედრილი ქართულ ირანისტიკაში

1963 წლის ზაფხული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე აბიტურიენტთა საბუთების მიმღები პასუხისმგებელი მდივნის თამარ ხუბუას ყურადღება მომხიბვლელმა ქალიშვილმა მიიპყრო — მას განცხადება არაბული ენისა და ლიტერატურის განხრით ჰქონდა შევსებული. თამარ ხუბუა, რომელიც საქართველოში ირანისტთა ერთერთი პირველი თაობის წარმომადგენლის მაკარ ხუბუას ქალიშვილი გახლდათ და თავადაც ირანისტი იყო, ხანგრძლივად ესაუბრა გოგონას და მისი დაჟინებული რჩევით, კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ, ქალიშვილმა ხელახლა შეავსო განცხადება, ამჯერად სპარსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე.

— ამ ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოვიდა ქალბატონი ლილი ჟორჟოლიანი ქართულ ირანისტიკაში, დღეს უკვე სახელოვანი ირანისტი, ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, რომელიც 2006 წლიდან სათავეში უდგას და წარმატებით ხელმძღვანელობს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ირანისტიკის დეპარტამენტს. ქალბატონი ლილი თავის წარმატებებს იმ არაჩვეულებრივ პედაგოგთა დამსახურებად მიიჩნევს, რომელთა გვერდით ყოფნა და მუშაობა, მისივე თქმით, ღვთისგან ბოძებული ყველაზე დიდი ჯილდო იყო. განსაკუთრებული პატივისცემითა და სითბოთი იგი საუბრობს ქალბატონ ლეილა თუშიშვილზე, რომელმაც შეასწავლა სპარსული ენის ანბანი. მასთან ერთად იყვნენ ისეთი დიდი კორიფეები, როგორებიც არიან: დავით კობიძე, მზია ანდრონიკაშვილი, კოტე ფაღავა, ალექსანდრე გვახარია, ვახუშტი კოტეტიშვილი, ჯემშიდ გიუნაშვილი და სხვანი.

დიდი ძალისხმევისა და შრომის გარეშე არაფერი მოდის. ჯერ კიდევ მესამე კურსის სტუდენტი მაშინდელმა კათედრის გამგემ დავით კობიძემ გამოარჩია თავისი მუყაითობითა და პასუხისმგებლობით და შეჰპირდა, რომ იზრუნებდა მისთვის ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებაზე. ქალბატონი ლილი იხსენებს, რომ ეს განცხადება სერიოზულად არ აღუქვამს და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მშვიდად წასულა დასასვენებლად. ბატონი დავითი თავისი სიტყვის ერთგული აღმოჩნდა და დეპეშით ამცნო, რომ გამოცხადებულიყო ასპირანტურაში გამოცდების ჩასაბარებლად. საინტერესო ფაქტია, რომ უნივერსიტეტის დამთავრების თარიღი — 1968 წელი, დაემთხვა უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავს და ყველა ფრიადოსან კურსდამთავრებულს გადაეცა საჩუქრად „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურული გამოცემა, რომელიც ქალბატონი ლილის პირველ დამსახურებულ ჯილდოს და უსაყვარლეს რელიქვიას წარმოადგენს.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 1971-1973 წლებში მოსკოვის საკავშირო გაერთიანება „ტიაჟპრომექსპორტის“ მხრიდან მიავლინეს ირანში სპარსული ენის თარჯიმნად.

1974 წლიდან მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1977-1980 წლებში პარალელურად მუშაობდა I საშუალო სკოლაში სპარსული ენის მასწავლებლად.

1978 წელს აზერბაიჯანში, ქ. ბაქოში, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია აკადემიკოს დავით კობიძის ხელმძღვანელობით.

ქალბატონი ლილი ჟორჟოლიანის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფეროს ფირდოუსის „შაჰ-ნამესა“ და მისი ქართული თარგმანების (ვერსიების) სხვადასხვა საკითხთა ენათმეცნიერული, ტექსტოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით შესწავლა წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად, მისი საკვლევი თემატიკა მოიცავს: „შაჰ-ნამეს“ ცალკეული დასთანების სპარსული და ქართული ვერსიების შესწავლას, „შაჰ-ნამეს“ მხატვრული დროის თავისებურებათა კვლევას, „შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმანების ხელნაწერებისა და გამოცემების კრიტიკულ ანალიზს, „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ონომასტიკონის სპარსული ტექსტის მონაცემებთან შეპირისპირებით შესწავლას და ა.შ.

ქალბატონი ლილი 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მათ შორის გამოქვეყნებული აქვს 3 მონოგრაფია: „ზააქიანის“ სპარსული და ქართული ვერსიები, მხატვრული დროის პრობლემისათვის ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“, დაკვირვებანი „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების პირის საკუთარ სახელებზე; 2 სახელმძღვანელო: სპარსული ენა, სახელმძღვანელო ქართული სკოლების III კლასისთვის (თანაავტორი ჯ. გიუნაშვილი), სპარსული ქრესტომათია, ტ. III (ახალი სპარსული ლიტერატურის ნიმუშები XX ს-ის II ნახევრიდან დღემდე), (თანაავტორები: მ. ბურჯანაძე, მ. ალექსიძე, თ. შურღაია); ერთი სამეცნიერო თარგმანი — ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, შერჩევითი თარგმანი ხუთტომიანი სამეცნიერო ნაშრომიდან (ფრაგმენტები საქართველოსა და ქართველების შესახებ, ჯ. სტეფნაძის წინასიტყვაობითა და კომენტარებით). იგი პერმანენტულად მონაწილეობს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო კონფერენციებში, თანამშრომლობს უცხოურ პერიოდულ გამოცემებთან.

ქალბატონი ლილი ავტორია ასევე თანამედროვე სპარსული პროზის ნიმუშების შესანიშნავი თარგმანებისა, რომლებსაც თავი მოუყარა წიგნში — „სპარსული პროზის თაიგული“. 2003 წელს ყოლამ-ჰოსეინ საედის „ციებ-ცხელების“ თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ გაზეთ „ჩვენს მწერლობაში“ დაიბეჭდა გიორგი ლობჟანიძის გამოხმაურება (ფსევდონიმით ლუკა ავალიშვილი) „უჯრათა გამოხსნის ჟამი“, სადაც იგი აღნიშნავს: „აქამდე მას, როგორც „შაჰ-ნამეს“ ლექსიკისა და მხატვრული ასპექტების ჩინებულ მკვლევარს, ისე უფრო ვიცნობდით. თარგმანების გამოქვეყნებას კი არ ჩქარობდა და, ვფიქრობ, ჩვენ, თავის მოწაფეებსა და უმცროს კოლეგებს, პროფესიონალისთვის დამახასიათებელი ამ სიდინჯითაც მოგვცა საკუთარი საქმის სიყვარულისა და ნებისმიერ პროფესიაში განვითარებისთვის აუცილებელი თვითდაჭვების კარგი მაგალითი. თორემ საჭოჭმანო რა სჭირდა ამ მართლაც, ჩინებულ თარგმანს, ქალბატონ ლილის ლამის

ლილი ჟორჟოლიანი

სტუდენტობიდან მოკიდებული რომ უჯრაში შეუნახავს...

თუ დღეის შემდეგ სპარსულიდან თარგმნილი მასალის ბოლოში ლილი ჟორჟოლიანის გვარ-სახელს წაიკითხავთ, შეგიძლიათ, წინასწარ იცოდეთ, რომ მასალა ფაქიზად შერჩეული, თარგმანი კი ზუსტი, უბადლო და პროფესიონალური იქნება.

ასეთი რუდუნებითა და ერთგულებით ეკიდება ქალბატონი ლილი ნებისმიერ საქმეს, რასაც ხელს მოკიდებს. ზედაპირულობა მას არაფერში სჩვევია. მისი ხელმძღვანელობით წარმატებითაა დაცული მრავალი საკურსო, სადიპლომო თუ სამაგისტრო ნაშრომი. მისმა ერთერთმა ასპირანტმა დაიცვა დისერტაცია ქართულ ირანისტიკაში მანამდე სრულიად შეუსწავლელი ირანელი პოეტი ქალის ფ. ფაროხზადის შემოქმედების შესახებ. იგი არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა და წიგნის რეცენზენტი და რედაქტორი. ცალკე მინდა გამოვყო მისი დიდი ძალისხმევითა და მონდომებით და საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელის ეჰსან ხაზაის მხარდაჭერით გამოცემული ბელა შალვაშვილის მიერ შესრულებული ათასგვერდიანი ქართული თარგმანი ფირდოუსის „შაჰ-ნამესი“, რომლის რედაქტორიც ქალბატონი ლილი გახლდათ. ეს თარგმანი საუკეთესოდ აღიარეს და ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა უმაღლესი პრემიით დააჯილდოვა.

ქალბატონ ლილის 2005 წელს ირანის საელჩომ მიანიჭა სპარსული ენისა და ლიტერატურის წლის საუკეთესო ლექტორის საპატიო წოდება, გადაეცა სიგელი და „შაჰ-ნამეს“ უძვირფასესი სპეციალური სასაჩუქრე გამოცემა.

როდესაც ქალბატონ ლილიზე საუბრობ, არ შეიძლება არ აღნიშნო მისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი. დასამალი არ არის, რომ უმაღლესი განათლების სისტემაში გატარებული რეფორმის შემდეგ უნივერსიტეტში რამდენიმე ფაკულტეტის ერთ მსხვილ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტად გაერთიანების შედეგად ირანისტიკა, ზოგიერთი სხვა მიმართულების მსგავსად, არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. სტუდენტთა ნაკადმა საგანგაშოდ იკლო. ქალბატონი ლილის მიზანმიმართული მუშაობისა და დეპარტამენტის თანამშრომელთა შორის ფუნქციათა სწორად გადანაწილების შედეგად სპარსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე წელს სავარაუდოზე მეტი სტუდენტი მოვიდა. პირველკურსელთა დაინტერესებისა და ინფორმირების მიზნით იგი ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილებასთან ერთად ბევრ საინტერესო ღონისძიებას მართავს: აწყობს პოეზიის საღამოებს, ირანული ფილმების ჩვენებას და ა.შ. სკოლის მოსწავლეთათვის გათვლილ ექსკურსიაზე ირანში შეძლო სტუდენტთა ჩართვაც. მისი თხოვნით, საელჩომ ი. აბულაძის სახელობის კაბინეტი ახალი ავეჯითა და ტექნიკით აღჭურვა...

მომავალ თაობაზე ზრუნვის პარალელურად ქალბატონი ლილი დიდი მადლიერების გრძნობით მიაგებს პატივს თავისი მასწავლებლების ხსოვნას. მისი ინიციატივით გაიმართა დავით კობიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ასევე, კოტე ფაღავას 90 და ალექსანდრე გვახარიას 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციები.

და მაინც, ქალბატონი ლილი, უპირველეს ყოვლისა, არის პედაგოგი: ზომიერად მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, მიუკერძოებელი და ყველასთვის კეთილმოსურნე. შეიძლება, მავანს თავიდან შიშისმაგვარი გრძნობაც დაუფლება მის მიმართ, თუმცა, თუ საადის დავესესხებით, „მამის ფერებას სჯობს ათასჯერაც, თუ მასწავლებლის რისხვაა ბრძნული“. ახლოს გაცნობის შემდეგ კი ყველა ხვდება, რომ ქალბატონი ლილის სახით უფროსი მეგობარი შეიძინა, რომლისთვისაც სხვათა მომავალზე ზრუნვა ცხოვრების წესია. ამის განცხადება თამამად შემიძლია, რადგანაც, თუ ვინმეს მისი სიყვარული და მშობელივით გულწრფელი გულშემატკივრობა უგრძვნია, ერთერთი მათგანი ამ წერილის ავტორი გახლავთ. ეს თვისებაც მემკვიდრეობით დაჰყვა თავისი დიდი მასწავლებლებისგან, რადგან ირანული ფილოლოგიის კათედრა მუდამ გამოირჩეოდა განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობებით. ქალბატონი ლილი თითოეული სტუდენტის სულში იხედება, თითოეულის ბედით ინტერესდება და შემდეგ საჭიროებისამებრ ირჯება. ასე მოუპოვა მან ბატონი ეჰსან ხაზაის დახმარებით მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის რამდენიმე სტუდენტს სწავლების დაფინანსება.

მინდა ქალბატონ ლილის მივულოცო 70 წლის იუბილე, ვუსურვო ჯანმრთელობა, შემდგომი წარმატებები და ახალგაზრდული ენერგია, რათა კიდევ ბევრი თაობა ეზიაროს იმ მადლს, რასაც ჭეშმარიტ აღმზრდელებთან ურთიერთობა ბადებს.

ქეთევან მეგრელიშვილი

საბერძნეთში სწავლის პერიოდში შეძენილი ცოდნა და წეს-ჩვეულება

უმაღლესი განათლების სფეროში ევროკავშირის თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამა — „ერასმუს მუნდუსში“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე რამდენიმე წელია, რაც აქტიურად მონაწილეობს. ევროკავშირის სტიპენდიის მოსაპოვებლად ყოველწლიურად ცხადდება კონკურსი, რომელშიც თსუ-ის სტუდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი იღებს მონაწილეობას, ხოლო გამარჯვებულებს შეუძლიათ 10 თვიანი პროგრამით სწავლა გააგრძელონ ერასმუსში მონაწილე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. პროგრამა „ერასმუს მუნდუსი“ დაიწყო საბერძნეთმა და, შესაბამისად, კონკურსში გამარჯვებულთა უდიდეს ნაწილს საბერძნეთი მასპინძლობს. ქალაქ თესალონიკში ქართველი სტუდენტები პროფესიების შესაბამისად გადანაწილებულნი არიან სხვადასხვა უნივერსიტეტებში. ისინი გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით და პროგრამის კულტურულ ნაწილში აქტიური მონაწილეობით.

საბერძნეთში საკმაოდ დიდი ქართული დიასპორა არსებობს და, აქედან გამომდინარე, ყოველწლიურად საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა უკვე ტრადიციულ სახეს ატარებს. თესალონიკში მოქმედებს საქართველოს გენერალური საკონსულო, რომლის ორგანიზებითაც საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით შედგა დიპლომატიური საღამო. წლევანდელი 26 მაისი განსაკუთრებულად საზეიმოდ აღინიშნა, რადგან სწორედ წელს შესრულდა საქართველოსა და საბერძნეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 20 წლისთავი და ქალაქ თესალონიკის გათავისუფლების 100 წლისთავი. საღამოს ესწრებოდა თესალონიკის მერი იანის ბუტარისი, თესალონიკში მყოფი გენერალური და საპატიო კონსულები, საბერძნეთის სამხედრო სარდლობა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები. დიპლომატიურ მიღებაზე საქართველოს გენერალურმა კონსულმა ნიკოლოზ გოგიტიძემ თესალონიკში მყოფი თსუ-ის სტუდენტებიც მოიწვია.

„განათლების ამ გაცვლით პროგრამაში ქართველი სტუდენტების მონაწილეობა ძალიან მისასალმებელია, ვინაიდან ეს ჩვენს ახალგაზრდობას აძლევს საშუალებას არა მარტო ცოდნას დაეუფლოს საუკეთესო ევროპულ უნივერსიტეტებში, არამედ გაეცნონ ამ ქვეყნებს, მათ წეს–ჩვეულებებს, შეიძინონ ახალი მეგობრები. მიმაჩნია, რომ ეს პროგრამა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. სტუდენტების წლევანდელი ნაკადი საბერძნეთში უდავოდ გამოირჩეოდა საზოგადოებრივი აქტიურობით, ეს ეხება, როგორც ადგილობრივ ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან, ასევე, გენერალურ საკონსულოსთან და საელჩოსთან თანამშრომლობას. მჯერა, რომ საბერძნეთში სწავლის პერიოდში შეძენილი ცოდნა გამოადგებათ ჩვენს ახალგაზრდებს“, — განაცხადა საქართველოს გენერალურმა კონსულმა ნიკოლოზ გოგიტიძემ.

„პირველ რიგში, მინდა, აღვნიშნო, რომ „ერასმუს მუნდუსი“ ძალიან დიდი გამოცდილება და შესაძლებლობაა ქართველი სტუდენტებისათვის. ვფიქრობ, თსუ საკმაოდ კარგად ამზადებს სტუდენტებს, რათა თავისუფლად დაძლიონ ევროპის უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამა. ჩვენს შემთხვევაშიც ყოველთვის აღინიშნება ჩვენი წარმატებები აკადემიური კუთხით. პროგრამა იმითაც არის განსაკუთრებული, რომ აქ უდიდეს კულტურულ გამოცდილებას ვიღებთ. გარდა იმისა, რომ თვითონ უნივერსიტეტი გვიწყობს ექსკურსიებს და სხვადასხვა ღონისძიებებს საბერძნეთის ისტორიისა და კულტურის უკეთ გასაცნობად, ამასთანავე, გვიწევს დაახლოებით 20 ქვეყნის წარმომადგენელ სტუდენტებთან ერთად სწავლა და ყოველდღიურად მათთან კულტურული გამოცდილების გაზიარება. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ნამდვილად გააზრებული გვაქვს საქართველოს მოქალაქეობრივი ვალდებულება და პასუხისმგებლობა. რომ საბერძნეთში საკმაოდ დიდი ქართული დიასპორა მოქმედებს, და ჩვენც აქტიურად ვართ ჩართული ყველა იმ პროექტსა და ღონისძიებაში, რომელიც ქართული კულტურის პოპულარიზაციას ემსახურება.

26 მაისისადმი მიძღვნილ დიპლომატიურ მიღებაზე მოწვევა საქართველოს გენერალური კონსულისგან ნიკოლოზ გოგიტიძისგან მივიღეთ.

3 ივნისს თესალონიკის ქართული კონფედერაციის ორგანიზებით შედგება ემიგრანტთა საერთაშორისო ფესტივალი „ელადა +“, რომელიც საქართველოსა და საბერძნეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 20 წლისთავს ეძღვნება. კონფედერაციის თხოვნით, ფესტივალს მე წარვუძღვები და დარწმუნებული ვარ, ამ პროექტით კიდევ ერთ ქმედით ნაბიჯს გადავდგამთ საქართველოსა და საბერძნეთის თანამეგობრობის გასაღრმავებლად.

თინათინ ახვლედიანი,
2011-2012 სასწავლო წლის „ერასმუს მუნდუსის“ კონკურსის გამარჯვებული, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი

„საქართველოს ისტორია“, რომელიც გამოცემისთანავე გაიყიდა

საქართველოს წარსული და აწმყო ახლახან გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულში აისახა, რომელმაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია და ბევრისთვის უკვე „სამაგიდო წიგნად“ იქცა.

ოთხტომეული მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ადამიანის ისტორიას მისი პირველად გამოჩენის დროიდან, ვიდრე ქართული ეთნოსის წარმოქმნის ხანამდე და ამ პერიოდიდან პირველი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულების ჩამოყალიბებამდე — ეს დროის უზარმაზარი მონაკვეთია, რომელიც აღსავსეა უმნიშვნელოვანესი მოვლენებით. I ტომში შესულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე, II ტომი მოიცავს IV-XIII საუკუნეებს, III ტომი — XIII-XIX საუკუნეებს, ხოლო IV ტომი — XIX-XX საუკუნეებს.

„საქართველოს ისტორიას“ 13 ავტორი ჰყავს, რომელთა შორის არიან მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ოთარ ჯაფარიძე, მიხეილ სამსონაძე და სხვანი.

როგორ იწერებოდა თანამედროვე ეპოქაში საქართველოს ისტორია და რა ეტაპები გაიარეს ქართველმა ისტორიკოსებმა ამ კეთილშობილური იდეის განხორციელებისას? — ამის შესახებ ოთხტომეულის სარედაქციო საბჭოს ხელმძღვანელი, აკადემიკოსი, თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი მარიამ ლორთქიფანიძე *გვესაუბრება:*

— საქართველოს ისტორიის ოთხტომეულზე მუშაობა ჯერ კიდევ 20 წლის წინ, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, ცნობილი მეცნიერის, ალბერტ თავხელიძის ინიციატივით დაიწყო. მისი მთავარი მიზანი გახლდათ — დაწერილიყო საქართველოს ისტორია პოპულარულ ენაზე, რათა იგი საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლისთვის გასაგები და ხელმისაწვდომი ყოფილიყო. მისი პრეზიდენტობის დროს პირველი ორი ტომი მომზადდა, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო მისი გამოცემა ვერ მოხერხდა და ეს საქმე დიდი ხნით გადაიდო. შემდგომში, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ კვლავ გამოიჩინა კეთილი ნება და წიგნზე მუშაობა ისეთივე მეთოდით გააგრძელა, როგორც ეს ალბერტ თავხელიძეს ჰქონდა განსაზღვრული.

როინ მეტრეველი

მარიამ ლორთქიფანიძე

აღსანიშნავია, რომ წიგნის გამოცემისას ვისარგებლეთ „საქართველოს ისტორიის“ რვატომეულით, რომელშიც, შეიძლება ითქვას, ფუნდამენტურად შესწავლილი იყო საქართველოს ისტორიის ის პერიოდები, რომელიც ოთხტომეულში შევიდა. ჩვენ ასევე შევეცადეთ, ის ახალი ლიტერატურა გამოგვეყენებინა, რომელიც რვატომეულის გამოცემის შემდეგ გამოვიდა. ჩვენი სურვილი იყო, ისტორიის ყველა პერიოდზე, შეძლებისდაგვარად, დაეწერა იმ მეცნიერს, ვინც ამ საკითხზე ხანგრძლივად მუშაობდა.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნზე 13 მეცნიერი მუშაობდა, შეიძლება რამე გამოგვრჩა, რადგან, ბუნებრივია, როდესაც ხელს ამხელა საქმეს ჰკიდებ, შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა.

ჩემი აზრით, ყველაზე რთული იყო IV ტომზე მუშაობა, რომელიც XIX—XX საუკუნეებს მოიცავს. ამას, რა თქმა უნდა, თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. მე, როგორც მედიევისტი ისტორიკოსი, შესაძლოა, ჩემი პროფესიული თვისებიდან გამომდინარე, ვთვლი, რომ ისტორიას ყოველთვის „შორიდან“ უნდა შევხედოთ. რა თქმა უნდა, რაც უახლოეს წარსულში მოხდა და რაც ხდება დღეს, ამის დაწერაც აუცილებელია, მაგრამ მაინც, მიმაჩნია, როდესაც ასეთი ისტორია იწერება, გარკვეული დროის გასვლაა საჭირო, რადგან ჯერ კიდევ არ არის ადვილი მოვლენების ობიექტურად შეფასება.

წიგნს გამოსვლის შემდეგ კრიტიკაც მოჰყვა და ქებაც. გვსაყვედურობენ, რომ წიგნში არ არის საკმარისი ილუსტრაციები. ამ შემთხვევაში კრიტიკას ვერ მივიღებ, რადგან ამ საქმეში მეცნიერებს მონაწილეობა არ მიგვიღია.

დიდ მადლობას ვუხდით გამომცემლობას, რომელმაც დიდი საქმე გააკეთა, მაგრამ გვაქვს შენიშვნაც იმის გამო, რომ წიგნი გამოცემისთანავე გაიყიდა, გამომცემლობამ ის მეორედ დაბეჭდა და დააწერა მეორე გამოცემა, რაც არასწორია, რადგან ეს მეორე ტირაჟია. თუმცა ასეთი დიდი გამოცემა ხარვეზების გარეშე წარმოუდგენელია. რამდენად მოვახერხეთ მოვლენების ობიექტურად ასახვა, ამას დრო გვიჩვენებს. ერთი რამ კი ცხადია — ამ წიგნის გამოცემით კარგი საქმე გაკეთდა.

ესაუბრა
ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲐᲠᲡ ᲛᲘᲚᲛᲐ...

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲑᲔᲥᲐ ᲑᲔᲜᲓᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲠᲝ ᲐᲠ ᲠᲩᲔᲑᲐ. ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲐ, ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲘᲒᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲘᲐᲚᲨᲘ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲡᲬᲠᲔᲑᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡᲐᲪ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲘᲒᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲙᲐᲠᲡ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲪᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛᲐᲨᲘ ᲑᲔᲥᲐ ᲑᲔᲜᲓᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲓᲐᲠᲬᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ:

— როგორ ატარებ თავისუფალ დროს?

— თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ვატარებ. საერთოდ ძალიან დატვირთული გრაფიკი მაქვს და, შესაბამისად, ეს იშვიათად ხდება.

— სპორტულ ღონისძიებებში თუ იღებ მონაწილეობას?

— ვიდრე სტუდენტური თვითმმართველობის წევრი გავხდებოდი, ვმონაწილეობდი სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში, რაც სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ტარდებოდა. ამ ეტაპზე სპორტში აქტიურად აღარ ვარ ჩართული. ბავშვობაში კარატეზე და ჭიდაობაზე დავდიოდი.

— მუსიკას თუ უსმენ?

— ძალიან ხშირად...

— რომელი მწერალი გიყვარს?

— ქართველი მწერლებიდან გამოვარჩევ გურამ დოჩანაშვილს, ჭაბუა ამირეჯიბს, უცხოელებიდან კი ვკითხულობ მიშელ უილბეკს.

ᲡᲝᲤᲘᲝ ᲩᲘᲢᲐᲫᲔ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲘᲗ ᲘᲧᲠᲝᲑᲓᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲒᲔᲕᲠᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ. ᲡᲝᲤᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲙᲣᲠᲡᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲨᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲡᲔ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲔᲕᲖᲘ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ. ᲪᲣᲠᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲧᲘᲜᲣᲚᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲡᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ — ᲐᲛᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲛᲝᲜᲐᲧᲝᲚᲛᲐᲪ ᲓᲐᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲐ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲗᲥᲕᲔᲜᲪ ᲒᲐᲘᲪᲐᲜᲘᲗ ᲛᲝᲪᲘᲒᲣᲠᲐᲕᲔ — ᲡᲝᲤᲘᲝ ᲩᲘᲢᲐᲫᲔ.

— ფიგურული სრიალით უკვე 17 წელია ვარ დაკავებული. ეს ჩემი მეორე ცხოვრებაა. ოფიციალურად ვარ სახელმწიფო დასში — „შოუ ყინულზე“. სინქრონში სხვადასხვა ნაციონალურ ცეკვებს ვასრულებთ 10 გოგონა, გვაქვს ჩვენი შოუ პროგრამაც... გვქონდა რამდენიმე მიწვევა, ვიყავით ბაქოში, სადაც ოლიმპიურ ჩემპიონებთან ერთად ვსრიალებდით ყინულზე. მაშინ საციგურაო სპორტული დარბაზი თბილისში არ იყო და ბაქოში პირველად ვნახეთ სტანდარტული მოედანი, რის გამოც ემოციებს ვერ ვმალავდით.

ძალიან გადატვირთული გრაფიკი მაქვს, სახლში პრაქტიკულად არ ვარ. სამწუხაროდ, ჩემი საგანმანათლებლო თვითშემეცნება მხოლოდ ლექციებისა და სემინარებისთვის მომზადებას გულისხმობს. ვცდილობ, კარგად ვისწავლო, კარგი ქულები და მაღალი აკადემიური მოსწრება მაქვს, მაგრამ თავისუფალი დროის სიმწირის გამო მეტი განათლების მიღებას ვეღარ ვახერხებ. ყინულზე სრიალი და კონცერტები მართალია ფიზიკურად მღლის, მაგრა ეს ჩემთვის ერთგვარი განტვირთვაცაა.

ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ. ᲗᲡᲣ-ᲨᲘ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲣᲠᲡᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲪ ᲙᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲫᲚᲝᲓᲐ, ᲛᲐᲚᲔ ᲓᲐᲐᲜᲔᲑᲐ ᲖᲔᲓᲛᲔᲢ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲛᲣᲙᲑᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡᲐᲪ ᲐᲜᲐᲪᲕᲐᲚᲐ.

— 7 წლიდან წყალბურთს ვთამაშობდი. სამწუხაროდ, ეროვნული გამოცდების პერიოდში იმდენად დატვირთული ვიყავი, რომ ამ სპორტს ჩამოვშორდი. უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ გავიგე, რომ აქ რაგბის გუნდი არსებობდა. ვეცადე მევარჯიშა და ამ ჯგუფში მოვხვედრილიყავი. გავხდი კიდეც თსუ-ის „შვიდკაცა ნაკრების“ გუნდის წევრი. ახლა იქაც ვეღარ ვახერხებ ვარჯიშს. ძირითადად, დაკავებული ვარ სტუდენტური საქმიანობით და ჩემს მომავალს სისხლის სამართლის მიმართულებით ვხედავ.

მიყვარს პოეზია. ვწერდი კიდეც ერთი პერიოდი. გამარჯვებულიც ვარ რაღაც-რაღაც ნომინაციებში. გიორგი მარგიანი — არის ასეთი ადამიანი, რომელიც ჩემი შთაგონების წყარო გახლავთ და სადაც ხმა მიმიწვდება, ყველგან ვამბობ, რომ ეს არის ჩემი საყვარელი პოეტი. იგი 25 წლისა გარდაიცვალა, მაგრამ, საბედნიეროდ, მოასწრო თავისი ლექსების დატოვება და მეც ჩამივარდა ხელში. მიყვარს სერგეი ესენინი, ვგიჟდები მის პოეზიაზე... ასე რომ, ბევრი გატაცება მაქვს — მთავარია გამოვძებნო დრო ამისთვის...

მოამზადა **ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐᲛ**

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ	**ნინო კაკულია**	ᲠᲔᲓᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ:	ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ	**მაია ტორაძე**	**რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, თეა ჯუღელი**	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ᵃ (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ	**მანანა ჯურხაძე**		
ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ	**ლიკა პეტრიაშვილი**		
ᲙᲝᲛᲞ. ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ	**ზაზა გულაშვილი**		2 22 36 62